საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (481)
20 - 26 მარტი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ვოლკერი თბილისში და სუბმარინის აჩრდილი ანაკლიაში 16



## რისთვის შეხვდა უნისეფის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს?! 6

## როგორ განვითარდება ხელისუფლებისა და საპატრიარქოს ურთიერთობა? 9

ზემოქმედება და გავლენა, რომელიც იუნისეფის მსგავს გლობალისტურ ორგანიზაციებს აქვთ საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებაზე

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გააცნობიერა, რა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ როლს ასრულებს ეკლესია საქართველოში

## აქა ამბავი ჩახდილი შარვლებით რუსის ჯართან მებრძოლი «პატრიოტებისა» 2



რას «ახურებენ» ხურვალეთში ქაცარავას «ქაცარები»?

## 3 «ქაცარავა და მისნაირები პროვოკატორები არიან და მადლობა მათ, ვინც აღკვეთა ეს პროვოკაცია!»

## თუ ასე გაგრძელდება, კაბინეტებში მოგაკითხავენ და ქეჩოთი გამოგათრევენ გარეთ! 17




## სატელევიზიო «პატრიოტიზმი» და «ტვინით რემბო» 4 სიცოცხლის დაზღვევით!



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხურვალეთის მკვიდრთ ხურვალეთში „გახურების“ უფლება დავით ქაცარავასთვის არ მიუციათ. მეტიც, ისინი დასანახავად ვერ იტანენ „ძალადმაცხონე, არამკითხე მოამბე“ ქაცარავასა და მის ამქარს და „რუსეთთან მებრძოლ“ „ქაცარებს“ დაემუქრნენ: ხურვალეთში არ შეგიშვებთო!**

# აქა ამბავი ჩახდილი შარვლებით რუსის ჯართან მებრძოლი «პატრიოტებისა»

## რას «ახურებენ» ხურვალეთში ქაცარავას «ქაცარები»?

**გასული კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენა ე.წ. საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფელ ხურვალეთში ისედაც პერმანენტულად დაძაბული ვითარების ხელოვნურად კიდევ უფრო დაძაბვის არცთუ წარუმატებელი მცდელობა იყო; მცდელობა, რომელშიც „მთავარ ოპოზიციურ“ ძალად ევრო თუ მიშნაცებთან ერთად ჩართული იყო ე.წ. მესამე, არასამთავრობო (ასო) სექტორი სახალხო დამცველთან და ლიბერასტულ ტელევიზიებთან („რუსთავი 2“, „ტვ პირველი“) ალიანსში.**

მეორე, უმთავრესი თუ არა, არცთუ უმნიშვნელო თემა გასული კვირისა ქვეყანაში კრიმინალის გააქტიურება გახდა, რაც კიდევ ერთი მიზეზ-საბაბი აღმოჩნდა ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალისთვის“ ქოცების გაკოტრებულ ხელისუფლებაზე იერიშის მისატანად; თემა, რომელიც, ხურვალეთში „გახურებისგან“ განსხვავებით, ნაცების მიერ აშკარად ხელოვნურადაა პოლიტიზებული უტიფარ-უნამუსო (თუ რატომ უტიფარ-უნამუსო, ამაზე ქვემოთ) ლოზუნგით — „ჩვენი (ნაცების) ხელისუფლების დროს კრიმინალი არ იყო“(?!). ხურვალეთში „გახურებაზე“ საუბრით სტატიის დამთავრება მაქვს განზრახული და ამიტომ ჯერ გააქტიურებული თუ, საზოგადოდ, დამძიმებული კრიმინალური ვითარების თემა ამოვწუროთ... ყაჩაღი, ქურდი, ავაზაკი, მკვლელი და ა.შ. — ყველა კრიმინალი ციხეში უნდა იჯდეს. ამაზე დასაბამიდანაა შეთანხმებული კაცობრიობა, მაგრამ რის ფასად? — დასვა კითხვა საზოგადოებრივი მოწყობის ახალმა ფორმაციამ — დემოკრატიამ და თვითვე უპასუხა დასმულ კითხვას: „სჯობს, ათასი დამნაშავე გარეთ იყოს, ვიდრე თუნდაც ერთი უდანაშაულო იჯდეს ციხეში“.

არ ვიცი, კონკრეტულად ვის ეკუთვნის ეს ჰუმანური გამონათქვამი, მაგრამ სწორედ ეს სენტენციადქცეული ჭეშმარიტება რომ უდევს საფუძვლად სამართლიან მართლმსაჯულებას, ამაზე არავინ დავობს იმ დასავლეთში, რომლისკენაც ვითომ მიისწრაფვის საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატია. ამ სენტენციის პრაქტიკული გამოყენების გამო ჰყავთ დასავლური დემოკრატიების ქვეყნებში ავტორიტარული (რომ არაფერი ვთქვათ ტოტალიტარულზე) მმართველობის სახელმწიფოებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობის პატიმრები და, შესაბამისად, მეტი კრიმინალია ციხის გარეთ.

ფაშისტურ გერმანიაში უამრავი პოლიტპატიმარი ჰყავდათ, ხოლო კრიმინალი — თითო-ოროლა. ეს ისე, ცნობისთვის და ზემოხსენებულ უტიფარ-უნამუსოებისთვის იმის შესახსენებლად, როგორ იღრიალა პარლამენტის ტრიბუნიდან გერმანელი ჰიტლერის ქართველმა კლონმა და უტიფარ-უნამუსო ნაცების ბელადმა მიშა სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან: **„ყველანი ციხეში!“**. ეს ჰუმანური სენტენციის საპირისპიროს ნიშნავდა: სჯობს, ათასი უდანაშაულო იჯდეს ციხეში, ვიდრე ერთი დამნაშავე იყოს გარეთ. ბელადის ამ კაცთმოძულე მოწოდებას — **„ყველანი ციხეში!“** — ფეხზე ამდგარი ოვაციებით მიესალმა უტიფარ-უნამუსო პარლამენტართა არმია.

**რაც მოჰყვა ამ ოვაციებს, კარგად გვახსოვს: უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა; ე.წ. შეკრებითობის კანონის ძალით მრავალი ახალგაზრდისთვის პრაქტიკულად სამუდამო პატიმრობის მისჯა; პატიმრების მასობრივი წამება, გაუპატიურებები, მკვლელობები და რა ვიცი, ვინ მოთვლის იმ ჯოჯოხეთის დეტალებს, რომლებსაც ყველას ერთად ქართველთმოძულე ნაცების 9-წლიანი ფაშიზმი, სადისტური რეჟიმი ერქვა. და ეს უტიფარ-უნამუსონი ბედავენ და ამბობენ: „ჩვენ დროს კრიმინალი არ იყოო“.**

რის ფასად? ყოველივე ზემოთქმული და ართქმული საშინელებების ფასად?

ნახევარი საქართველო დაჭერილი ჰყავდათ, მეორე ნახევარი პრობაციონერი იყო და კრიმინალს ვინღა ჩაიდენდა?! ამ ხუმრობაში სიმართლის მწარე მარცვალი ურევია...

კრიმინალი ყველგან არსებობს და კრიმინოგენული ვითარების სიმძიმე-სიმსუბუქე, დანაშაულთა რაოდენობით კი არა, გახსნილი საქმეების რაოდენობით ფასდება; კომპონენტით, რომლის მიხედვით, არა მგონია, საქართველო ბოლო ადგილს იკავებდეს ევრაზიის კონტინენტზე.

ძველი, თაროზე შემოდებული საქმეების გამოძიების პოლიტიკური ნება, ანუ სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება არ არსებობს, თორემ, ვიმეორებ, დღევანდელ რეალობაში ქართველ სამართალდამცავთა ქმედებები კრიმინალის მიმართ და, საერთოდ, კრიმინოგენური ვითარების მაჩვენებლები, არა მგონია, საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს არ სჯობდეს.

**ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ რეალური, საფუძვლიანი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ნამდვილად აქვს რესურსი, ამ ღვთით დალოცვილ მიწაზე არავის შიოდეს, არავის სწყუროდეს, არავის სციოდეს და ა.შ. ელემენტარული, სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოს სახელმწიფომ მოსახლეობა,** მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამაზე — სხვა დროს. ახლა კი დავუბრუნდეთ წინამდებარე წერილის მთავარ თემას.

ქაცარი მეგრულად თხას (თხის შვილს) ნიშნავს; ცხოველს, რომელიც, ჭკუით კი არა, სიჯიუტით არის გამორჩეული. აბა, უჭკუო თხის გარდა, ვინ ჩაიდენდა ხურვალეთში იმ საქციელს, რომელსაც რუსი ოკუპანტებისთვის შიშველი უკანალების ჩვენება ჰქვია?!

რას მივაღწევთ მსგავსი „პერფორმანსებით“, გარდა იმისა, რომ რუსი ოკუპანტები კიდევ უფრო გადმოიწევენ აქეთ?

და საერთოდ, **ვინ მისცა დავით ქაცარავას იმის უფლება, რომ ლამის მთელი ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს და „იცავს“ კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებს რუსი ოკუპანტების შემოჭრისგან?**





**ახლა «ნავაროჩენი» ჯიპით რომ დაქრის, რომელსაც ქართულად აწერია «რუსეთი ოკუპანტია», 2013-2017 წლებში, როდესაც რუსები კინოში იღებდნენ და ჰონორარებსაც უხდიდნენ, არ იცოდა თხის ჭკუის მქონე კინოვარსკვლავმა ქაცარავამ, რომ რუსეთი ოკუპანტი იყო?**

როგორც ხურვალეთის ინციდენტმა დაგვანახვა, **ხურვალეთის მკვიდრთ ხურვალეთში „გახურების“ უფლება დავით ქაცარავასთვის არ მიუციათ. მეტიც, ისინი დასანახავად ვერ იტანენ „ძალადმაცხონე, არამკითხე მოამბე“ ქაცარავასა და მის ამქარს და „რუსეთთან მებრძოლ“ „ქაცარებს“ დაემუქრნენ: ხურვალეთში არ შეგიშვებთო!**

ზემოთ „რუსთავი 2“ და „ტვ პირველი“ ვახსენე და სწორედ ამ ტელევიზიებმა ამოჭრეს დავით ქაცარავას, მისი გუნდისა და ქართველი ჟურნალისტების მიმართ ხურვალეთელების აგრესიული დამოკიდებულების ამსახველი კადრები — რა გინდათ, თავი დაგვანებეთ, რუსები არაფერს გვიშავებენ და მოშორდით აქედანო, მოთქვამდნენ ხანში შესული ქალები. ერთმა ახალგაზრდა კაცმა პოპულიზმში დასდო ბრალი ქაცარავას: მაგას თავის გამოჩენა უნდა. კი, რუსი ოკუპანტია, მაგრამ რა ვქნათ?! ქაცარავა რომ ჩაიხდის და უკანალს დაანახვებს რუსებს, ამით წართმეულ მიწებს დაგვიბრუნებენო? ციტირებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შინაარსობრივად ზუსტად ასე თქვა ხურვალეთელმა ახალგაზრდა კაცმა.

მოკლედ, **ხურვალეთელთა (და არა მხოლოდ) პოზიცია ასეთია — არამკითხე მოამბეებმა და ძალადმაცხონე ქაცარებმა თავი დაგვანებეთ; თავის გამოჩენის მცდელობაში რაღაც უბედურებას დაატრიალებთ, თქვენ გაიქცევით და რუსებთან პირისპირ ისევ ჩვენ, ადგილობრივი მოსახლეობა, დავრჩებითო. რა, 2008-ში ამის მწარე გამოცდილება არ აქვს სრულიად შიდა ქართლს?**

წინამდებარე წერილზე მუშაობისას, რომ იტყვიან, დავგუგლე „მებრძოლი რაინდი“ დავით ქაცარავა და, ჰოი, საკვირველებავ, ისეთ ინფორმაციას წავაწყდი, მოულოდნელობისგან ლამის სკამიდან გადმოვვარდი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი და ხურვალეთში რუსებისთვის ყველაზე მაგრად „გამხურებელი“ ქაცარავა 2013-2017 წლებში ხუთ რუსულ მხატვრულ ფილმში ყოფილა გადაღებული. მართალია, იმ ფილმების რეჟისორ-პროდიუსერები, ძირითადად, სომეხიეროვნებისანი არიან, მაგრამ მერე რა?! ჯერ ერთი, ეს ფილმები რუსეთში, რუსული ფულითა და რუსულ თემატიკაზეა გადაღებული; მეორე და, ჩემი აზრით, უმთავრესი — რუსი და სომეხი ხალხები პოლიტიკურ-იდეოლოგიურად ვის გაუყვია?! ისინი ხომ სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთის სტრატეგიული მოკავშირეები არიან?!

მინდა, რუსული კინემატოგრაფის ამომავალ თუ უკვე ამოსულ ვარსკვლავს შეკითხვა დავუსვა: **როგორც ამბობენ, ახლა „ნავაროჩენი“ ჯიპით რომ დაქრის, რომელსაც ქართულად აწერია „რუსეთი ოკუპანტია“, 2013-2017 წლებში, როდესაც რუსები კინოში იღებდნენ და ჰონორარებსაც უხდიდნენ, მაშინ არ იცოდა თხის ჭკუის მქონე კინოვარსკვლავმა ქაცარავამ, რომ რუსეთი ოკუპანტი იყო?**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველმა თავად განსაჯოს, რა უნდოდა რეალურად ქაცარავას, როცა ხურვალეთში „გაახურა“, ადგილობრივი მცხოვრებლების დაცვა რუსი ოკუპანტებისგან თუ ისეთი პროვოკაციის მოწყობა ხურვალეთში, დასაცავიც აღარავინ და არაფერი დარჩენილიყო და არა მხოლოდ ხურვალეთში, არამედ ჯერ კიდევ ჩვენად სახელდებულ დანარჩენ შიდა ქართლში.

**დავით მხეიძე**

**P.S. მივმართავ ცვედან ხელისუფლებას! თუ იმის ერთი ადგილი არ გაქვთ, რომ რუსეთთან დიალოგი დაიწყოთ, ის მაინც გააკეთეთ, რომ ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში, ძალოვანი სტრუქტურების ოფიციალურ წარმომადგენელთა გარდა, ვერანაირი „ქაცარები“ ველარ შევიდნენ ჩახდილი შარვლებით რუსის ჯართან საბრძოლველად!**

„ხურვალეთში მოსახლეობის 80 პროცენტს შერეული ოჯახები აქვთ. გახსოვთ, ალბათ, 90-იანი წლებში ათასი ბანდფორმირება იყო, მაგრამ მოსახლეობის აწიოკების მიზნით ხურვალეთში არ შედიოდნენ, ოსები იცავდნენ ტერიტორიებს. ქართველები და ოსები მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს. ვერავინ იტყვის, რომ ხურვალეთიდან ვინმე გაიტაცეს. შუღლს ხურვალეთის მოსახლეობაში ვერავინ ჩამოაგდებს“.

აურზაური არაფრის გამო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გივი ვანიშვილი:

# ქაცარავა და მისნაირები პროვოკატორები არიან და მადლობა მათ, ვინც აღკვეთა ეს პროვოკაცია!

**რამდენიმე დღის წინათ სოფელ ხურვალეთის პოლიციის საგუშაგოსთან იმყოფებოდნენ წარმომადგენლები ე.წ. ანტისაოკუპაციო მოძრაობისა „ძალა ერთობაშია“. მათ ხურვალეთში რუსი სამხედროების შესვლის გამო განგაში ატეხეს. მსახიობ დავით ქაცარავას ინფორმაციით, რუსმა ოკუპანტებმა ერთ-ერთი მოქალაქის ბაღი დაიკავეს. ქაცარავა მთავრობის წევრებს ადგილზე ჩასვლისკენ მოუწოდებდა.**

„გვაქვს ინფორმაცია, რომ რუსები შემოვიდნენ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, იქ, სადაც რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ჩვეულებრივად შევდიოდით, სადაც მოქალაქეები და მოსახლეობა მუშაობდა, შედიოდა თავის ბაღებში – დღეს იქ უკვე რუსები არიან. სურათებიც კი არ გადააღებინეს ქალბატონს, რომ გადმოეგზავნა და ეჩვენებინა ჩვენთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასკვნით, რომ სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია, უკიდურესად რთულია. შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ მთავრობის შემადგენლობის, სამოქალაქო სექტორს აქ ჩამოსვლას იმიტომ, რომ რუსები გვართმევენ მიწებს“, — განაცხადა ქაცარავამ.

საგუშაგოსთან, აგრეთვე, იმყოფებოდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. „საოკუპაციო ხაზთან ქაოსი და პანიკაა, სოფელ ხურვალეთში რუსი ოკუპანტების დამატებითი დანაყოფები გადაისროლეს. რუსმა ჯარისკაცებმა მავთულხლართები გადმოლახეს და ერთ-ერთი ადგილობრივის ბაღში დაბანაკდნენ. ჩახერგეს მათ მიერვე ცოტა ხნის წინათ აშენებული სათვალთვალო საგუშაგომდე მისასვლელი გზა“, — აცხადებდნენ ე.წ. აქციის მონაწილეები

**სოფელ ხურვალეთში რამდენიმე დღის წინათ მომხდარ ინციდენტზე გვესაუბრება ვიცე-პოლკოვნიკი გივი ვანიშვილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა. 2008 წლის ომის შემდეგ მან პროტესტი გამოთქვა დანაშაულებრივი ომის გამო, რომელიც სააკაშვილმა შიდა ქართლში გააჩაღა. გივი ვანიშვილი შიდა ქართლის მკვიდრია, ის სოფელ ხურვალეთში ცხოვრობდა, მისი მშობლები დაკრძალულნი არიან ამავე სოფელში, ე.წ. გამყოფ ხაზს იქით და მათ მხოლოდ აღდგომას შეუძლიათ საფლავზე მისვლა.**

**— ბატონო გივი, რა მოხდა სოფელ ხურვალეთში?**

— ოსურმა მხარემ საგუშაგო ააშენა, იქ არის მონაკვეთი, რომელზეც მავთულხლართია გაბმული. სწორედ იმ ადგილას გამოჩნდნენ ფორმიანი ადამიანები, ზუსტად თქმა არ შემიძლია, ოსები იყვნენ თუ რუსი სამხედროები. ხუთი ჯარისკაცი რამდენიმე მეტრით გადმოვიდა (ათი მეტრითაც არა) და ორ წუთში უკან გაბრუნდა. მათი გადმოსვლა სოფლის მოსახლეობას არც შეუმჩნევია. ჩემი ბიძაშვილი, **დათო ვანიშვილი,** იქითა მხარეს არის დარჩენილი, ის მუდმივად გადმოდის აქეთ, არჩევნებშიც მონაწილეობს, საქართველოს მოქალაქეა, მას არ მიუღია ოსეთის მოქალაქეობა. დათოს არც რუსები სძულს და არც ოსები. 72 წლის კაცია, იმ ეპოქაშია გაზრდილი, ახლა ავადსახსენებელს რომ უწოდებენ... რუსეთში მუშაობდა, ხურვალეთში არც უმუშავია. მის სახლს ხშირად აჩვენებენ ტელეეკრანზე, საზღვართან ახლოს არის, ორსართულიანი სახლია, ეს სახლი იმ „კარგ“ დროს აქვს აშენებული. ტკბილად ცხოვრობდა. ხურვალეთში არასოდეს მომხდარა დაპირისპირება, შუღლი...

**— ჩვენ ვიცით, რომ პატარ-პატარა უსიამოვნებები ყოველთვის იყო ოსსა და ქართველ ხალხებს შორის...**

— 1990-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის დროს, ხურვალეთისა და შავშვების ეროვნული კონგრესის არჩევნებს მე ვატარებდი, როდესაც ხურვალეთში ჩავედი, მითხრეს, რომ არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, თქვეს: მალე ჩვენი არჩევნები ჩატარდება და იქ მივიღებთ მონაწილეობასო. მოკლედ, იყვნენ იქაც ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ.

ხურვალეთში მოსახლეობის 80 პროცენტს შერეული ოჯახები აქვთ. გახსოვთ, ალბათ, 90-იანი წლებში ათასი ბანდფორმირება იყო, მაგრამ მოსახლეობის აწიოკების მიზნით ხურვალეთში არ შედიოდნენ, ოსები იცავდნენ ტერიტორიებს. ქართველები და ოსები მუდამ მხარში ედგნენ ერთმენთს. ვერავინ იტყვის, რომ ხურვალეთიდან ვინმე გაიტაცეს. შუღლს ხურვალეთის მოსახლეობაში ვერავინ ჩამოაგდებს.




**«ერგნეთის ბაზრობა, რომელმაც ქართველი და ოსი მოსახლეობა შეარიგა, ქაცარავასნაირმა პროვოკატორებმა მოსპეს; არ სურთ ორი მხარის შერიგება და ურთიერთობის გაღრმავება. მათ ძალიან კარგად იციან, რომ, დღეს თუ არა, ხვალ ჩვენ მაინც შევრიგდებით»**




**— ხურვალეთში ხუთი ფორმიანი ადამიანის შესვლამ გამოიწვია ასეთი ხმაური და სურდათ, ახალი დაპირისპირების კერა გაეხსნათ?**

— ქაცარავა და მისნაირები პროვოკატორები არიან და მადლობა მათ, ვინც აღკვეთა ეს პროვოკაცია.

**— მაინც რატომ გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე ის ფორმიანები? ყველაფერში ქაცარავას ნუ დავადანაშაულებთ...**

— ხშირად ეშლებათ გზა და საზღვარიც, რადგან მავთულხლართები არ არის მთელ პერიმეტრზე. ჩვენს მოსახლეობასაც ეშლება ხანდახან და გადადიან იქით მხარეს. სოფელ კნოლევისკენ, ავნევისკენ გადადიან. საზღვარი გავლებული არ არის, არც ბანერია, რომელიც გაგაფრთხილებს, რომ გადასვლა არ შეიძლება. ასე რომ, შემთხვევით ხდება ასეთი რამ. იქ არის ერთი ქალბატონი, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, მოხუცთა თავშესაფრის დირექტორია, თავშესაფარი **სააკაშვილის** აშენებულია. ამ ქალბატონის გვარია **სალია.** სწორედ ეს სალია ჰყავთ იქ, რომელიც იმ წუთშივე ატყობინებს ხოლმე ამბებს. ამჯერადაც მან დაურეკა და გააგებინა, რომ საზღვარზე გადმოვიდნენ, მაგრამ შეგნებულად არავინ გადმოსულა, ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

ტელეეკრანზე რასაც და ვისაც აჩვენებენ, არც ერთი არ არის ხურვალეთის მკვიდრი, არიან ერედვიდან, აჩაბეთიდან, კეხვიდან... მოკლედ, ესენი არიან ჩასახლებულები დევნილთა დასახლებაში, რომელიც ავტობანიდან 400 მეტრში მდებარეობს, ხოლო ხურვალეთი კილომეტრ-ნახევარშია ცენტრალური გზიდან; ადამიანები, რომლებიც ხურვალეთში მიმდინარე პროცესებზე საუბრობენ, ხურვალეთში არც ადიან.

**— რა დამოკიდებულება აქვს ხურვალეთის მოსახლეობას ქართველი სამართალდამცველების მიმართ? სოციალურ ქსელში წერენ, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ადგილობრივი მოსახლეობა დააშინეს, მოისყიდეს...**

— მსგავსი არაფერი ყოფილა. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ხურვალეთის მოსახლეობას და არა მხოლოდ მათ — ყველას, ვინც კონფლიქტის ზონასთან ახლოს ცხოვრობს. ასზე მეტი ღონისძიება ჩავატარე კონფლიქტის პირას მდებარე სოფლებში, ყველა სოფლის პრობლემა ვიცი. პოლიცია ყოველთვის მობილიზებულია, უსაფრთხოების სამსახურები მზად არიან და პროვოკატორებს ვითარების გამწვავების საშუალებას არ აძლევენ. სოციალურ ქსელშიც სწორედ გაღიზიანებული ხალხი წერს, ხალხი, რომელსაც პროვოკაციის საშუალება არ აქვს. ჩამობრძანდნენ ჟურნალისტები, შეხვდნენ მკვიდრ მოსახლეობას და ისინი თვითონ ეტყვიან ყველაფერს. სოფელ ხურვალეთის მოსახლეობას ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს სოფელ წინაგარის მოსახლეობასთან. ეს ოსური სოფელია, საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ. იქაურები აქეთ ეხმარებიან ქართულ მოსახლეობას, პროდუქტებს უგზავნიან. ეს ყველაფერი იციან ამ არაადამიანმა პროვოკატორებმა და სურთ ვითარების გამწვავება. **ერგნეთის ბაზრობა, რომელმაც ქართველი და ოსი მოსახლეობა შეარიგა, ქაცარავასნაირმა პროვოკატორებმა მოსპეს. არ სურთ ორი მხარის შერიგება და ურთიერთობის გაღრმავება. მათ ძალიან კარგად იციან, რომ, დღეს თუ არა, ხვალ ჩვენ მაინც შევრიგდებით.**

დღეს ქალაქ ცხინვალში 100-ზე მეტი ქართული ოჯახი ცხოვრობს. მათ ფეხი არ მოუცვლიათ იქიდან, არც ომის დროს გადმოსულან. როცა ვინმე გარდაიცვლება ან ქორწილია, იქ მცხოვრები ქართველები მოდიან მავთულხლართებამდე, ჩვენი პოლიცია აქეთ არ უშვებს. მათ უწევთ ვლადიკავკაზამდე ჩასვლა და იქიდან ჩამოდიან ხურვალეთში, გორში. წინაგარის მოსახლეობას ასი მეტრით არ შეუძლია გადმოსვლა. ფორმალობის გამო წვალობენ ქართველები. ჩვენ ცხინვალს ჩვენად ვთვლით, მაგრამ იქიდან ჩვენს ხალხს არ ვუშვებთ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს პრობლემა მოსაგვარებელია, არ ვიცი, ვის ეხება ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ, ვისაც ეხება, იქნებ გაითვალისწინოს ხალხის ტკივილი.

**«დღეს ქალაქ ცხინვალში 100-ზე მეტი ქართული ოჯახი ცხოვრობს. მათ ფეხი არ მოუცვლიათ იქიდან, არც ომის დროს გადმოსულან. როცა ვინმე გარდაიცვლება ან ქორწილია, იქ მცხოვრები ქართველები მოდიან მავთულხლართებამდე, ჩვენი პოლიცია აქეთ არ უშვებს. მათ უწევთ ვლადიკავკაზამდე ჩასვლა და იქიდან ჩამოდიან ხურვალეთში, გორში. ფორმალობის გამო წვალობენ ქართველები. ჩვენ ცხინვალს ჩვენად ვთვლით, მაგრამ იქიდან ჩვენს ხალხს არ ვუშვებთ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს პრობლემა მოსაგვარებელია»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ცრუ განგაშების ატეხვა კი ყოველდღიურად შეიძლება, თუკი მილიონებით დაფინანსებული, სპეციალურად ამისთვის შექმნილი მედიასაშუალებები უტიფრად გიჭერენ მხარს. სხვა რაღა უნდა ითქვას უტიფრობაზე, როდესაც საოკუპაციო ხაზთან ჩადის და იქ „პატრიოტობაზე“ თავს დებს ადამიანი, რომელიც ტელეეთერში თვითონვე აღიარებს: „პაციფისტი ვარ და არც რუსებს და არც არავის არასოდეს ვესვრი ტყვიას, სახლშიც რომ შემომივარდნენო“.**

**ატოცი — ახალი ტიპის ქართული „პატრიოტიზმის“ აკვანი! ეს სოფელი ისტორიაში იმით შევა, რომ აქ, ამ ადგილებში ჩაუყარა საფუძველი „სამოქალაქო აქტივისტმა“ დავით ქაცარავამ და მისმა ჯგუფმა სამშობლოს მტრისგან დაცვის ახალ მეთოდს — „დგომით პატრიოტიზმს“. მტერი შენს ტერიტორიაზე რომ არ შემოიჭრას, ამისთვის თურმე საჭიროა, გაშალო კარავი, იდგე ამ კარვის წინ უიარაღოდ და ხანდახან ბინოკლით გახედო იმ მიდამოს, რომელზეც ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო შენაერთები დგანან.**

# სატელევიზიო «პატრიოტიზმი» და «ტვინით რემბო» სიცოცხლის დაზღვევით!




მთელი ეს „პატრიოტული შაპიტო“ ისე პოპულარულია საზოგადოების გარკვეულ წრეებში, რომ თუნდაც სხვა თემაზე წერდე ან ამბობდე რამეს, ვინმე მატრაკვეცა „პატრიოტი“ მაინც აუცილებლად შეგეცმება პირში და დაგისვამს „ჩამჭრელ კითხვას“: ატოცში რატომ არ ხარ? მაგალითად, ამას წინათ, როდესაც მსოფლიოს „გლობალურ ათეულში“ მოხვედრილ ცნობილ პედაგოგ **ლადო აფხაზავაზე** დავწერე სოციალურ ქსელში, ერთი ქალბატონი „შემომიხტა“ და მომწერა: „თუ ასე მაგარი ხარ, წადი ატოცში და იქ დადექი **დავით ქაცარავასა** და სხვა ქართველი პატრიოტების გვერდით“-ო.

მართალია, მაშინ ვერაფრით გავიგე, რა შუაში იყო ყოველივე ეს ლადო აფხაზავასთან, მაგრამ ორიოდე დღეში გაირკვა, რა აკავშირებდა ატოცთან ლადო აფხაზავას. საქმე ისაა, რომ დავით ქაცარავას სოციალურ ქსელებში იმავე ადამიანთან ერთად გადაღებული ფოტო გაუვრცელეს, რომელთანაც მანამდე ლადო აფხაზავას ჰქონდა გადაღებული. ანუ, **ჩვენი „გმირი პატრიოტი“ ფოტოზე აღბეჭდილია ცნობილ ჰომოსექსუალთან და ყველაფერ ქართულის მაგინებელ კუკური ბარამიძესთან (იმავე „მანგოსთან“) ერთად ატოცში.**

სხვა თემაა, რა უნდოდა საოკუპაციო ზოლთან „მანგოს“, რომელიც მუდამ ამბობს, რომ „პაციფისტია“ და ტყვიას არც რუსს ესვრის არასოდეს, არც ოსმალოს და არც მონღოლს სულაც თბილისის ცენტრში რომ შემოიჭრას მტრული განზრახვით. მთავარია, **რატომ იღებენ ამ ჰომოსექსუალ ავანტიურისტ გამოშტერებულთან ეს ჩვენი „საამაყო პატრიოტები“ „სელფებს“?! როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება და „სადღაც იქ“ ზუსტად იციან, ვინ უნდა „გააპიარონ“, ვის რა „ფუნქცია“ დააკისრონ და ვინ რა პოზაში დაყენონ.**

სწორედ ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი იყო, ალბათ, ცხინვალის რეგიონში, სოფელ ხურვალეთის გარშემო ატეხილი დავიდარაბა. ბევრს გაახსენდებოდა მიშასდროინდელი „მოდელირებული ქრონიკა“, როდესაც დავით ქაცარავამ დასჭექა: „ხურვალეთში მტერია, რუსი მოდისო!“. საბოლოოდ გაირკვა, რომ რუსი სამხედროები არ გადმოსულან ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო აკონტროლებდა. ქაცარავას საბოლოო განცხადებაც კომიკური იყო: „მე ჩემი თვალით რუსები იქ არ მინახავს, ქალბატონ ლუდა სალიას სიტყვებს დავუჯერე“. **ეს ახალი „გმირი“ ქალბატონი სწორედ „ხურვალეთის კრიზისის“ დროს გაიცნო საქართველომ. მისი ეს ერთი განცხადება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თითქმის ყველა ქართულ ტელევიზიას აეტეხა პანიკა, დაეწყო „საგანგებო“ რეჟიმში მაუწყებლობა და დაეზაფრა მოსახლეობა.**

და აი, მივედით კიდეც მთავარ სათქმელთან, ანუ იმ რგოლთან, რომელიც კრავს კიდეც ამ ავანტიურისტული და სახელმწიფოსთვის ძალიან საშიში ჯაჭვის ორივე ბოლოს ერთმანეთთან. ეს არის როგორც აქამდე არსებული და მოსყიდული, აგრეთვე, ბოლო პერიოდში სპეციალურად ამისთვის შექმნილი ქართული ტელევიზიები.

დამეთანხმებით, ტელევიზიებმა რომ არ აიტაცონ და „საგანგებო რეჟიმით“ არ გადმოსცენ ხოლმე 24 საათის განმავლობაში ეს გამოგონილი მოვლენები და წამყვანებმა დამზაფრავი ხმით არ იხავლონ, — ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობააო, ვერც ლუდა სალიას განცხადებები გამოიწვევს ამხელა პანიკას და ვერც დათო ქაცარავას ისტერიკები.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად ასრულებს ამ ფუნქციას „ტვ-პირველი“ და მისი ლიდერი **ინგა გრიგოლია.** იმ საღამოს, როდესაც ლუდა სალიამ და დავით ქაცარავამ ერთი ამბავი ატეხეს,— არიქა, ხურვალეთი რუსებმა აიღესო, „ტვ პირველის“ ეთერში მორიგი დემაგოგიურ-ინტრიგნული შოუ მიჰყავდათ **ინგა გრიგოლიას, ვახო სანაიას, ნინო ჟიჟილაშვილსა** და **დიანა ტრაპაიძეს.** „ტვ-პირველით“ აი, რა მოვისმინეთ: **ინგა გრიგოლია: „მოვითხოვთ სახელმწიფო მინისტრისგან, გვითხრას გარკვევით, რა ხდება! მან გაავრცელა განცხადება, სადაც არის ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი. აი, მოისმინეთ: რუსმა სამხედროებმა უკვე დატოვეს ის ადგილები, სადაც იყვნენ განლაგებული. აი, ამას ამბობს განცხადების თავში ქეთევან ციხელაშვილი, ხოლო ბოლოში ამბობს: ევროკავშირის მისიამ არ დააფიქსირა რუსი სამხედროების საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლაო. უკაცრავად, ქალბატონო მინისტრო, თუკი ამბობთ, რომ უკვე დატოვეს ტერიტორია, მაშინ როგორ არ იყვნენ არ გადმოსული?! ანუ დასაწყისში ამბობთ, კი იყვნენ გადმოსულიო და ბოლოს ამბობთ: არ იყვნენო. ეს აბნევს ხალხს და ბუნებრივია, რომ ხალხი ამას აპროტესტებს და ხალხს უჩნდება გაბრაზებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის განცდა. აი, აქ ვსხედვართ ოთხი კვალიფიციური წამყვანი და მიპასუხეთ, გაიგეთ, რა თქვა თავის ამ განცხადებაში სახელმწიფო მინისტრმა?“**

ამის შემდეგ რიგრიგობით დაიდებილეს თავი ვახო სანაიამ, ნინო ჟიჟილაშვილმა და დიანა ტრაპაიძემ. მათი „ლოგიკა“ მდგომარეობდა იმაში, რომ თურმე ნათქვამიდან ვერაფერი გაიგეს და ხალხი აუცილებლად უნდა აღშფოთდეს.

**ბოლოს ისევ ინგა გრიგოლია ალაპარაკდა კოპებშეკრული და კატეგორიული, მომთხოვნი ტონით: „ახლა უნდა იდგეს ტრიბუნასთან მიყოლებით ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი და ზუსტ განმარტებებს აძლევდეს ხალხს!“** — დაგვიდგინა სრულიად სახელმწიფოს დღის წესრიგი, თანაც ისეთი ტონით, რომ დარწმუნებული იყო, ხალხმა მისი დემაგოგია და ავანტიურა „ჭამა“ და ვერავინ შენიშნა, რომ „ოთხმა კომპეტენტურმა“ შეგნებულად გამოტოვა მინისტრის განცხადებიდან კონკრეტული ფრაზები, თანაც ამაზე ლამის მთელი 10 წუთის განმავლობაში ლაპარაკობდნენ და მოსახლეობას „გაბრაზებისკენ“ მოუწოდებდნენ.

აი ქეთევან ციხელაშვილის განცხადებაც: **„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსმა ჯარისკაცებმა უკვე დატოვეს ის ადგილები, სადაც დღეს იყვნენ განლაგებული. ასევე, ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელეს განცხადებები, რომ არ დაფიქსირებულა ინცინდენტი მათი გადმოსვლის, წვდომის, ან რაიმე ტიპის დამატებითი ბარიკადების მშენებლობისა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტრიოლირებად ტერიტორიაზე. დიდ ხურვალეთში რუსი ოკუპანტები საოკუპაციო ხაზს მიღმა იდგნენ. სოფელთან ახლოს. რუსმა ჯარისკაცებმა უკვე დატოვეს ის ტერიტორიებიც, სადაც იყვნენ განლაგებული“.**

აბა, მითხარით, რა არის ამ განცხადებაში გაუგებარი ან რა არის აქ „ურთიერთგამომრიცხავი“?

და, **როდესაც ამ განცხადებას „ოთხი კომპეტენტური“ თურმე „ვერ იგებს“, რა შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს ნორმალურ ადამიანს? — მხოლოდ ის, რომ მათი მიზანია პანიკის გამოწვევა, ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილებისა და ნეგატივის გაზრდა და ქვეყანაში უმართავი პროცესების დაწყება.** რა ვქნა, ამ ოთხიდან არც ერთ „კომპეტენტურზე“ მაღალი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ არც იმ დონის დებილები მგონია, რომ ამ უმარტივესი განცხადებიდან აზრი ვერ გამოეტანათ. რეალურად, მათი მიზანია, ყველა ასეთ „ცრუ განგაშზე“ (იქნება ეს ვიღაცის მიერ ქსეროქსით გადაღებული ნაბეჭდი „მუქარის წერილის“ გავრცელება თუ ვინმე ლუდას მიერ ატეხილი უსაფუძვლო პანიკა), ხელისუფლებას ჩვეული სამუშაო რიტმი დაერღვეს, როგორც ინგამ პირდაპირ თქვა, „24 საათი ტრიბუნებიდან განცხადებები აკეთოს“ და ქვეყანაში ცოტა რამ მაინც თუ კეთდება რეალურად, ის საქმეც ველარ გაკეთდეს. **ასეთი ცრუ განგაშების ატეხვა კი ყოველდღიურად შეიძლება, თუკი მილიონებით დაფინანსებული, სპეციალურად ამისთვის შექმნილი მედიასაშულებები უტიფრად გიჭერენ მხარს. სხვა რაღა უნდა ითქვას უტიფრობაზე, როდესაც საოკუპაციო ხაზთან ჩადის და იქ „პატრიოტობაზე“ თავს დებს ადამიანი, რომელიც ტელეეთერში თვითონვე აღიარებს: „პაციფისტი ვარ და არც რუსებს და არც არავის არასოდეს ვესვრი ტყვიას, სახლშიც რომ შემომივარდნენო“.** პაციფისტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, თუ პაციფისტი ხარ, საოკუპაციო ხაზთან რა გინდა, შე კაი დედმამიშვილო?“ თუ გეი ხარ, „ვაჟკაცობაზე“ რატომ მელაპარაკები?! თუ ომში წამსვლელი არ ხარ, მაშინ რატომ იჭაჭები: არიქა, თუ საჭიროა, დავიწყოთ ეს ომიო?! სწორედ ამაზეა საუბარი, რომ დღეს ქართველ საზოგადოებაში ორმაგი სტანდარტებისა და იდიოტური განცხადებების კორიანტელია, რაშიც „ბლოგერად“ წოდებულმა **გურამ შეროზიამ** მართლაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა. „თუკი მექნება იმის გარანტია, რომ ცოცხალი დავრჩები, მხოლოდ ამ შემთხვევაში წავალ ომში“, — ამაყად განაცხადა მან ერთ-ერთ თოქშოუში.

მოგვიანებით კი, როდესაც ადამიანებმა ამაზე პასუხი მოსთხოვეს, უარესი შტერობით იმართლა თავი: **„მე ომისა და ოკუპანტების წინაშე თავის არდახრის მომხრე რომ ვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირადად ვიომებ ავტომატით. ყველამ იმ რესურსით უნდა იომოს, რაც უფრო კარგად გამოსდის. თქვენ ავტომატებით და ტყვიებით უნდა დაუხვდეთ მტერს, მე კი გაცილებით ძლიერი ტვინი მაქვს და ამ რესურსით დაგეხმარებით“...**

ბევრს გაეცინება, ბევრს გაუკვირდება, ბევრი ვერც კი გაიაზრებს კარგად, რა თქვა ამ „ტვინით რემბო“ რეგვენმა. აი, ასეთი „ვაჟკაცები“ ითხოვენ დღეს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას და ასეთები გვიწოდებენ ჩვენ „კრემლის აგენტებსა“ და „პუტინის მონებს“... თვითონ კი, პერიოდულად, როდესაც ხალხს დროებით მიავიწყდება ხოლმე, ატეხენ პანიკას:

„არიქა! რუსი მოდის!“ (გეგონება, რუსების რეალური შემოტევის შემთხვევაში მათი შემჩერებლები იყვნენ) და ამით თავს ახსენებენ საზოგადოებასაც და თავიანთ დამფინანსებლებსაც, — კიდევ მოგვეცით ფული, თორემ „მიიძინა“ თემამ!

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, როგორც ვხედავ, ქართველი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი კი არის ღირსი, მართლაც დაიწყოს ომი და ისინი მტრის პირისპირ ასეთი „ტვინით რემბოების“ იმედად დატოვო.

**ბოლოს ისევ ინგა გრიგოლია ალაპარაკდა კოპებშეკრული და კატეგორიული, მომთხოვნი ტონით: «ახლა უნდა იდგეს ტრიბუნასთან მიყოლებით ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი და ზუსტ განმარტებებს აძლევდეს ხალხს!» — დაგვიდგინა სრულიად სახელმწიფოს დღის წესრიგი, თანაც ისეთი ტონით, რომ დარწმუნებული იყო, ხალხმა მისი დემაგოგია და ავანტიურა «ჭამა» და ვერავინ შენიშნა, რომ «ოთხმა კომპეტენტურმა» შეგნებულად გამოტოვა მინისტრის განცხადებიდან კონკრეტული ფრაზები**

**დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რა ზიანის მოტანა შეუძლია ფაროსანას, თუმცა, როგორც გვეუბნებიან, ახლა ფაროსანაზე მეტი პრობლემებია მოსალოდნელი — არნახულად ცხელი ზაფხულის მოლოდინშია ცივილიზებული თუ ნაკლებად ცივილიზებული სამყარო, ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ. რატომ? რისთვის? შორს არის ზაფხული თუ, სანამ ცხვირით არ დავეჯახებით პრობლემას, მანამდე არაფერს ვიღონებთ?!**

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ხანია, საქართველოს ასეთი ზამთარი არ ახსოვს. ბოლოს როდის მოთოვა, სტაჟიანი თბილისელებიც ვერ იხსენებენ. მთის კურორტებზეც, სადაც აპრილის ბოლომდე თოვლი იდო ხოლმე და სეზონიც სწორედ აპრილის ბოლოს სრულდებოდა, სასტუმროების მეპატრონეებმა ფასები კატასტროფულად შეამცირეს. რატომ? იმიტომ, რომ თოვლი აღარ არის და ეგებ სუფთა ჰაერის ხათრით მაინც ამოვიდესო დამსვენებელი, მაგრამ სუფთა ჰაერი თოვლს სდევს თან, თოვლი ასუფთავებს, თოვლი ფილტრავს... თოვლს ვინ ჩივის, აღმოსავლეთ საქართველოსა და კახეთში წვიმასაც ნატრობენ.**

# სანამ ცხვირით არ დავეჯახებით პრობლემას, მანამდე არაფერს ვიღონებთ?!

ერთი შეხედვით, უნალექობამ ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობას პრობლემა არ უნდა შეუქმნას, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით, რადგან მარცვლეული კულტურები დათესილია და ხორბალი სწორედ თოვლის საფარქვეშ უნდა გაღივებულიყო, სწორედ თოვლის საფარქვეშ უნდა გამოეზამთრა და ნესტით გაჟღენთილ მიწაზე გაზაფხულზე აღმოცენებულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად — არც თოვლი, არც წვიმა და დათესილი ხორბლის 80% გახმა და გაოხრდა. მართალია, ამ საკითხზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო დუმს, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ფერმერებმა დახმარებისთვის მათაც მიმართეს და მელიორაციის სამსახურსაც, — ეგებ სარწყავ არხებში წყალი გამოუშვათ და ხორბლის მოსავალი როგორმე გადავარჩინოთო, მაგრამ მელიორაციამ რა ქნას?! ჯერ ერთი, მდინარეებში წყლის დონე დაკლებულია და, ძალიანაც რომ სურდეთ, სარწყავ არხებში ვერ გაუშვებენ, მეორე — მელიორაციის სამსახური სწორედ მარტში ასუფთავებს სარწყავ არხებს, რათა მთელი ზაფხული შეუფერხებლად იმუშაოს, ახლა კი...

უცხოელმა მეცნიერებმა განგაშის ზარებს შემოჰკრეს და გამოაცხადეს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად აისახება არამარტო მოსავალზე, არამედ, საზოგადოდ, გარემოსა და ადამიანებზე. ისინი ვარაუდობენ, რომ თბილი ზამთარი ხელს შეუწყობს ახალი ვირუსების გავრცელებას, მოსალოდნელია ეპიდემიები და ამიტომ ყველა ქვეყანას აფრთხილებენ, პროფილაქტიკური ღონისძიებები გაატარონ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის გერმანიამ 3 მილიარდი ევრო გამოყო სარეზერვო ფონდიდან; ამერიკის შეერთებულ შტატებში იმაზე მსჯელობენ, 10 მილიარდი იქნება საკმარისი თუ 15; ბრიტანეთში უკვე გადაწყვეტილია, რომ ვირუსების გავრცელების შემთხვევაში ქვეყანაში არ შეუშვან იმ სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებშიც ეპიდემია გავრცელდება, არამედ იმ ქვეყნის გემებსაც კი აუკრძალონ ბრიტანულ პორტებში შესვლა. და რა ხდება ამ დროს საქართველოში? ის, რაც ხდება, ერთადერთ სიტყვაში ეტევა — **არაფერი!**

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რა ზიანის მოტანა შეუძლია ფაროსანას, თუმცა, როგორც გვეუბნებიან, **ახლა ფაროსანაზე მეტი პრობლემებია მოსალოდნელი. არნახულად ცხელი ზაფხულის მოლოდინშია ცივილიზებული თუ ნაკლებად ცივილიზებული სამყარო, ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ. რატომ? რისთვის? შორს არის ზაფხული თუ, სანამ ცხვირით არ დავეჯახებით პრობლემას, მანამდე არაფერს ვიღონებთ?!** დღევანდელი მდგომარეობით, შემოტანილი (და არა საკუთარი) ხორბალი საქართველოს ბაზრებზე 70-80 თეთრი ღირს და უკვე ამბობენ, რომ ფასი ერთ ლარს გასცდება. ეს, პირველ რიგში, იმიტომ, **რომ ხორბლის უმსხვილესი მწარმოებლები — ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, აშშ, კანადა, საფრანგეთი — აცხადებენ, რომ ხორბლის ფასი ბირჟებზე არნახულად მოიმატებს და ყველა რეკორდს მოხსნის.**

სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებამ ამას წინათ გამოაცხადა, რომ იმ უცხოელებს, რომლებიც მიწას არ ამუშავებენ, მიწას ჩამოვართმევთ და იჯარით მათ გადავცემთ, ვისაც დამუშავების სურვილი აქვსო. არადა, ქვემო ქართლში, კახეთსა და სამეგრელოში, ანუ იმ რეგიონებში, რომლებშიც წინა ხელისუფლებამ ბურებს ათასობით ჰექტარი გადასცა, აქაოდა, სწორედ ბურები არიან ჩვენი გადამრჩენებიო, იცით, რა მდგომარეობაა? **ბურებმა სახელმწიფოსგან იჯარით აღებული მიწა იჯარითვე მისცეს ქართველებს და ახლა არიან მშვიდად თავიანთ ქვეყანაში, ქართველებზე გაქირავებული ქართული მიწით იღებენ შემოსავალს და წელიწადში ერთხელ ჩამოდიან ფულის ასაღებად.** ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, და შესადარებლად გეტყვით: მხოლოდ **ქვემო ქართლში ბურების სახელზე 2800 ჰექტარი მიწაა გაცემული, ისინი თითო ჰექტარს ქართველებს წლიურ 700 ლარად აძლევენ, რაც მთლიანობაში ორი მილიონი ლარი გამოდის და ეს მხოლოდ ქვემო ქართლში. ამ ორი მილიონიდან სახელმწიფო 126 ათასს იღებს ოფიციალურად, დანარჩენი კი ბურების მოგებაა.** ამას დაუმატეთ კახეთისა და სამეგრელოს რეგიონი, რომლებშიც არანაკლები ფართობები აქვთ და ვნახავთ, რომ ბურებს საქართველოს სამი რეგიონიდან 5 მილიონამდე ლარი მიაქვთ ყოველწლიურად, თანაც არაფერში. შედეგად, მიწა დამუშავებულია, იმიტომ, რომ ადგილობრივები ამუშავებენ, მაგრამ კაბალური პირობებით — ქვემოიჯარეები არიან, რაც მთავარია, უცხოელების ქვემოიჯარეები.




**სპეციალისტები საჯაროდ საუბრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, კონკრეტულად კი ფუტკრის ტკიპისა და კოლორადოს ხოჭოს გამრავლებაზე. ამ მწერებმა, საქართველოს კი არა, ისეთ ქვეყნებს შეუქმნეს პრობლემა, როგორიცაა ამერიკა, ჰოლანდია და საფრანგეთი. ჰოლანდიაში ფუტკრის ტკიპასთან საბრძოლველად სახელმწიფოს სპეციალური შტაბიც შექმნეს, ხოლო კოლორადოს ხოჭოს გასანადგურებლად ამერიკა წლების განმავლობაში სამხედრო ავიაციას იყენებდა**

სამაგიეროდ, ბურებისგან რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში არიან ადგილობრივები. თუ გახსოვთ, იმ წელს, როცა ბურები ჩამოვიდნენ საქართველოში და სიმინდი მოიყვანეს, ხელისუფლებამ ისევ ჩვენ გვაიძულა, ის სიმინდი შეგვესყიდა. აბა, უცხოელის მიერ წარმოებულ პროდუქტს გაუსაღებელს ხომ არ დავტოვებდით?! სამაგიეროდ, ქართველების მიერ წარმოებული პროდუქტი ახლა გაუყიდველი რჩება და... სახელმწიფომ ყველა პროგრამა და სუბსიდია შეაჩერა. ჰო, ისიც ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობაში ჩასადები მილიარდობით ლარი, რომელიც წინასაარჩევნო დაპირება იყო, ისევ „კასპში, ერთ დიდ კლდეში ძევსა..."

ცალკე თემაა საქართველოს მყინვარები. ქართველი გეოლოგების მიერ მყინვარების შესწავლის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და არავინ მალავს, რომ წელიწადში მყინვარის სისქეს 100-150 მეტრი აკლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 10 წელიწადში მხოლოდ წვერზე იქნება ყინული, დაბლობში კი... ეს ავტომატურად გამოიწვევს მდინარეებში წყლის შემცირებას, გაქრება ნაკადულები, წყაროები, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობს. **როგორც გეოლოგებმა გვითხრეს, იმიტომ არ საუბრობენ, რომ ხალხი არ დაიზაფროს, თორემ დასკვნები ისეთია, წესითა და რიგით, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადდესო.** იმითაც დავინტერესდით, არსებობს თუ არა რაიმე გეგმა, რომელიც ხელისუფლებას აქვს შემუშავებული გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად; ან თუ ფიქრობს ჯანდაცვის სამინისტრო იმაზე, რომ თოვლისა და ყინვის არარსებობის პირობებში, ზაფხული ვირუსებით რომ იქნება დატვირთული და რა პრევენციული ღონისძიებები გატარდება ამ მხრივ?! კომპეტენტურმა პირებმა გვითხრეს, რომ ხელისუფლებას აქვს ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველი წამალი შესყიდული და... და დამთავრდა, მეტი არაფერი. ეს მაშინ, როცა **სპეციალისტები საჯაროდ საუბრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, კონკრეტულად კი ფუტკრის ტკიპისა და კოლორადოს ხოჭოს გამრავლებაზე. ამ მწერებმა, საქართველოს კი არა, ისეთ ქვეყნებს შეუქმნეს პრობლემა, როგორიცაა ამერიკა, ჰოლანდია და საფრანგეთი.** ჰოლანდიაში ფუტკრის ტკიპასთან საბრძოლველად სახელმწიფოს სპეციალური შტაბიც შექმნეს, ხოლო კოლორადოს ხოჭოს გასანადგურებლად ამერიკა წლების განმავლობაში სამხედრო ავიაციას იყენებდა.

სიმართლე გითხრათ, ხანდახან გვგონია, რომ ხელისუფლება აღნიშნულ პრობლემებზე ყურადღებას სპეციალურად არ ამახვილებს, ინახავს პრობლემას, რათა შემდეგ, როცა პოლიტიკური კრიზისის გადასაფარად დასჭირდება, ყურადღება იმაზე გადაიტანოს, აქაოდა, რა დროს პოლიტიკაა, სოფლის მეურნეობა გვეღუპებაო. არადა, ძალიან მარტივად აგიხსნით, რა ხდება დღეს სოფლის მეურნეობაში. მაშინ, **როცა საქართველოში სოციალისტური წყობა იყო, კომუნისტები რომ მართავდნენ ქვეყანას, ახლა რომ ვაგინებთ, ჩვენი ქვეყნიდან მეზობელ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი გადიოდა, რადგან ჭარბად ვაწარმოებდით. ახლა კი იძულებულნი ვართ, პროდუქტები უცხოეთიდან შემოვიტანოთ, რადგან საქართველოში საკმარის რაოდენობას ვერ ვაწარმოებთ.** მიზეზი მარტივია — ადგილზე წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე შემოტანა. რატომ? იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობას დიდი ყურადღება ექცევა, მავნებლებისგან თავის დასაცავად წინასწარ ხდება ნიადაგის დამუშავებაც, შეწამვლაც და ჩვენთან გლეხს ამის საშუალება რომ არ აქვს, იმის იმედად, ეგებ წელს გადავრჩეო, მაინც თესავს. მერე უკვე, როცა მავნებელი შეესევა ნათეს-ნარგავებს, იწყებს შეწამვლას, უჯდება ორმაგი და სამმაგი და უძვირდება პროდუქცია, მერე აღარ ულირს საბითუმო ფასში ჩაბარება და... მეზობელ ქვეყნებს ულირთ... გადასახადების გადახდაც, განბაჟებაც, შემოტანაც...

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საგარეჯოს რაიონში ქართული ინვესტიცია განხორციელდა, ნუშის ნერგები დაირგო ათასობით ჰექტარზე და... 7 მილიონი ნერგიდან თითო უცხოეთიდან ოთხ ევროდ შემოიტანეს. იცოდით ამის შესახებ? ნეტავ, ხელისუფლებამ თუ იცის?! რომ არ ეხმარება ქართველ ფერმერს, გასაგებია, მაგრამ თუ იცის მაინც?!

**ბესო ბარბაქაძე**

**ბურებმა სახელმწიფოსგან იჯარით აღებული მიწა იჯარითვე მისცეს ქართველებს და ახლა მშვიდად არიან თავიანთ ქვეყანაში, ქართველებზე გაქირავებული ქართული მიწით იღებენ შემოსავალს და წელიწადში ერთხელ ჩამოდიან ფულის ასაღებად. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, და შესადარებლად გეტყვით: მხოლოდ ქვემო ქართლში ბურების სახელზე 2800 ჰექტარი მიწაა გაცემული, თითო ჰექტარს ქართველებს წლიურ 700 ლარად აძლევენ, რაც მთლიანობაში ორი მილიონი ლარი გამოდის და ეს მხოლოდ ქვემო ქართლში. ამ ორი მილიონიდან სახელმწიფო 126 ათასს იღებს ოფიციალურად, დანარჩენი კი ბურების მოგებაა**

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმძღვანელობს პრინციპით — სხვისი ჭირი, ღობის ჩხირი. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ პარლამენტის რომელიღაც კომიტეტში განხილული კანონპროექტი მას არ ეხება. არადა, სწორედ მას, რიგით მოქალაქეს, ეხება ეს ყველაფერი; სწორედ მასზე და მის გაკონტროლებაზეა გათვლილი მსგავსი ცვლილებები“.

# რისთვის შეხვდა უნისეფის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს?!



**მამა გიორგი (რაზმაძე):**

## ლიბერალურად განწყობილი სასულიერო პირები უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენენ დედაეკლესიისთვის, ვიდრე თვით ე.წ. ლიბერალური ელიტა

**რამდენიმე დღის წინათ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ღასან ხალილი, რომელმაც ბოლო ანგარიშში ტრადიციული ქართული ოჯახი ძალადობრივ ინსტიტუციად გამოაცხადა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდა და კანონმდებლობაში ადამიანის უფლებების კუთხით მიმდინარე ცვლილებებზე ესაუბრა. როგორც ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი, შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკთხები, როგორიცაა: ბავშვის უფლებების კოდექსი, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევების პრევენცია, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაცია და ოჯახების როლი ბავშვების ცხოვრებაში.**

შეხვედრის შემდეგ ღასან ხალილმა მედიასთან მოკლედ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერ საზოგადოებას ნიშნავს: „იუნისეფის“ აზრით, ოჯახი უმნიშვნელოვანესია ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. ძლიერი ოჯახი ძლიერ საზოგადოებას ნიშნავს“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კი ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა „იუნისეფის“ ოფიციალურ ვებგვერდზე მოგვიანებით განთავსებულ ცნობას თუ დავუჯერებთ, უწმინდესმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელსაც ახლა პარლამენტი განიხილავს, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია...

**რა მიზანს ემსახურებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის ვიზიტი საპატრიარქოში და რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ამ შეხვედრას? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, „იუნისეფის“ წარმომადგენლის შეხვედრა პატრიარქთან მედიით სათანადოდ არ გაშუქებულა, ითქვა მხოლოდ ის, რომ შეხვედრა ნაყოფიერი იყო. როგორ ფიქრობთ, ამ შეხვედრას რა მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა?**

— არ მაქვს დეტალური ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ, მაგრამ თავისთავად ფაქტია საინტერესო. წარმომადგენელი ორგანიზაციისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოსვლის დღიდან ებრძვის და აკრიტიკებს ტრადიციულ ფასეულობებს, ძალადობრივ ინსტიტუტად აცხადებს ოჯახს და ირიბად ეკლესიასაც ადანაშაულებს ამაში, მიდის და ხვდება ამ ეკლესიის საჭეთმპყრობელს. რა უნდა ვთქვა, არც ვიცი. ეს, ალბათ, არის მორიგი მცდელობა იმისა, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ შეცდომაში შეიყვანონ და შექმნან ილუზია, თითქოს ეს ორგანიზაცია ეკლესიასთან თანამშრომლობს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, პატრიარქი ნებისმიერ საკითხში, რომელიც ეხება ოჯახსა და ტრადიციებს, პრინციპული იქნებოდა და, როგორც ყოველთვის, უკომპრომისოც. ყოველ შემთხვევაში ის, რომ იქ რაღაც „ლიბერალური“ რეფორმების აუცილებლობა ყოფილიყო მთავარ საკითხად დაყენებული და ოჯახი ძალადობრივ ინსტიტუციად განხილული, გამორიცხულია. მისი უწმინდესობა, რა თქმა უნდა, არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ მსჯელობაში და არ გაიზიარებს ისეთ მოსაზრებას, რომელიც მიმართული იქნება სწორედ ამ ღირებულებებისა და ფასეულობების წინააღმდეგ.

**— შეხვედრის შემდეგ გაჩნდა ვერსიები, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი, შესაძლოა, გარკვეული ზეწოლას ცდილობდეს საპატრიარქოზე. რამდენად რეალურია ეს ვერსია?**

— გაეროს ბავშვთა ფონდი არის მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უზარმაზარი რესურსი საერთაშორისო დონეზე. ამ რესურსს ის სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფორმით იყენებს და მათ შორის, რა თქმა უნდა, არის ზეწოლაც. ახლა საქართველო ავიღოთ. გამოქვეყნდა კვლევა თუ ანგარიში იმის თაობაზე, რომ თურმე აქ მშობლების უმრავლესობა აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს და პარლამენტში მაშინვე დაფაცურდნენ. სხდომა სხდომაზე გაიმართა, განხილვა — განხილვაზე და უმოკლეს დროში, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მომზადდა კანონპროექტი სახელწოდებით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. ჩნდება მარტივი შეკითხვა: **რამდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს დღეს ქუჩაში რამე მოთხოვნით, რომ ხელისუფლებამ ასეთი რეკორდული სიჩქარით შეძლოს საკითხის განხილვა და დოკუმენტის მომზადება?** რამხელა მასშტაბის აქციები და პროტესტი იქნება საჭირო, რომ თუნდაც ერთი დეპუტატის დონეზე მიაქციონ ყურადღება ხალხის მოთხოვნას? **აი, აქ ჩანს ის ზეწოლა და გავლენა, რომელიც იუნისეფის მსგავს გლობალისტურ ორგანიზაციებს აქვთ საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებაზე.**

**რამდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს დღეს ქუჩაში რამე მოთხოვნით, რომ ხელისუფლებამ ასეთი რეკორდული სიჩქარით შეძლოს საკითხის განხილვა და დოკუმენტის მომზადება? რამხელა მასშტაბის აქციები და პროტესტი იქნება საჭირო, რომ თუნდაც ერთი დეპუტატის დონეზე მიაქციონ ყურადღება ხალხის მოთხოვნას? აი, აქ ჩანს ის ზემოქმედება და გავლენა, რომელიც იუნისეფის მსგავს გლობალისტურ ორგანიზაციებს აქვთ საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებაზე**

რაც შეეხება შეკითხვას, შეიძლება თუ არა პატრიარქთან შეხვედრის მიზანი რამე ზემოქმედება ყოფილიყო საპატრიარქოზე, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **რა ძალაც უნდა იყოს და რა მცდელობებიც, გამორიცხულია, უწმინდესს კომპრომისი დააშვებინონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტრადიციული ოჯახი, ფასეულობები და ღირებულებები...**

**— ისე, იუნისეფის წარმომადგენელმაც აღნიშნა შეხვედრის შემდეგ მედიასთან, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერ საზოგადოებას ნიშნავს.**

— რა თქმა უნდა, ეს ერთი შეხედვით ისეთი სიტყვებია, რომლის საწინააღმდეგოც თითქოს რა უნდა გქონდეს, მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც ამ საკითხზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. **თანამედროვე ლიბერალური გაგებით, ძლიერი და პროგრესული საზოგადოება ნიშნავს ისეთი ტიპის საზოგადოებას, რომელიც შორსაა ყოველგვარი ტრადიციების, ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობისგან. მათ გაგებაში ძლიერი და ცივილიზებული ნიშნავს, როცა საზოგადოება იღებს ლიბერალური დღის წესრიგით ნაკარნახევ ნებისმიერ ცვლილებას. უბრალოდ, ლიბერალური პროპაგანდა ისეთი ფორმით აწვდის ხალხს ამ ყველაფერს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს აღქმა, რეალურად რასთან აქვს საქმე.** ზუსტად ამიტომაა მუდმივად საჭირო განმარტება და საჯარო საუბრები იმაზე, რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს ესა თუ ის განცხადება; ამიტომაა მხილება და სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება აუცილებელი, რაც დასაწყისშივე გამორიცხავს საზოგადოების მოტყუების ნებისმიერ მცდელობას...

ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო, რაც ისევ და ისევ საზოგადოებასა და მასში არსებულ განწყობებს ეხება. სამწუხაროდ, **ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ბოლო პერიოდში ისეთი გულგრილი და ინერტული გახდა მიმდინარე პროცესებისადმი, რომ, ფაქტობრივად, რეაქცია აღარ აქვს არაფერზე. არანაირ ემოციას, მღელვარებასა და პროტესტს არ იწვევს ისეთი ფაქტები, როგორიცაა მაგალითად, პარლამენტის მიერ განსახილველად დამტკიცებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თითოეული ოჯახის, თითოეული მშობლის ტოტალურად გაკონტროლების მცდელობა — არ აღზარდოს შვილი.** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უცხოეთიდან დაფინანსებულმა ლგბტ ორგანიზაციებმა ზაფხულისთვის გეიაღლუმი დააანონსეს. რის თქმა მინდა: ყოველთვის, როცა დგება რაღაც პრობლემური საკითხი, გამოდის ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე ჯგუფი და მარტო იბრძვის...

**— თქვენი აზრით, რით არის ეს განპირობებული: საკმარისი საპროტესტო მუხტის არარსებობით თუ სხვა რამით?**

— მოსახლეობის უდიდეს ნაწილში არის უკმაყოფილება, მაგრამ ამ განწყობამ რეალურიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა, ამიტომაც ვამბობ ყოველთვის ხაზგასმით, რომ კი, კარგია სოციალურ ქსელებში აქტიურობა, კარგია სხვადასხვა საჯარო სივრცეში კრიტიკული კომენტარების წერა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბუნებრივია, ეს ვერ იქნება აღქმული პროტესტის იმ ფორმად, რომელმაც ქვეყანაში ფუნდამენტური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს. რაც შეეხება მიზეზს, თუ რით შეიძლება განპირობებული იყოს ეს გულგრილობა, საერთოდ, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმძღვანელობს პრინციპით — სხვისი ჭირი, ღობის ჩხირი. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ პარლამენტის რომელიღაც კომიტეტში განხილული კანონპროექტი მას არ ეხება. არადა, სწორედ მას, რიგით მოქალაქეს, ეხება ეს ყველაფერი. სწორედ მასზეა და მის გაკონტროლებაზე მსგავსი ცვლილებები გათვლილი...

**— თუმცა ეკლესიის წიაღშიც არიან კონკრეტული პირები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იზიარებენ უცხოეთიდან ნაკარნახევ დირექტივებს. ესენი, ძირითადად, არიან საზღვარგარეთის ეპარქიებში მოღვაწე სასულიერო პირები.**

— ეს მტკივნეული თემაა და ყველა შევთანხმდით, რომ მსგავს საკითხებზე ძალიან ფრთხილად უნდა ვისაუბროთ. თუმცა მე არ ვერიდები ამ თემაზე საჯაროდ ლაპარაკს და, მათ შორის, არც კონკრეტული სასულიერო პირების მისამართით რამის თქმას, როცა ამის აუცილებლობაა. ახლა — ვინ არიან ეს ადამიანები: დავიწყოთ იმით, რომ ისინი პირდაპირ ხელებში შეჰყურებენ თავიანთ დასავლელ მამა-მარჩენლებს და საკმარისია, მიიღონ ის, რაც ფიზიკური არსებობისთვის სჭირდებათ, მზად არიან, თვალი დახუჭონ ყველაფერზე. საერთოდ, მიმაჩნია, რომ, როდესაც სასულიერო პირი ცდილობს, მოდერნისტულად იაზროვნოს და თანამედროვეობის რაღაც ტენდენციებს აჰყვეს, ეს დამღუპველია, ოღონდ დამღუპველია არა მხოლოდ მისთვის, არამედ უამრავი ადამიანისთვის, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ჩემი აზრით, **ასეთი ადამიანები, როგორც დამნაშავეები ღვთის წინაშე, ეკლესიამ უნდა ამხილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება ისე დააკნინონ ეკლესიის ავტორიტეტი, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს.** მე თუ მკითხავთ, პროდასავლური ლიბერალური განწყობების მქონე სასულიერო პირები გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენენ დღეს დედაეკლესიისთვის, ვიდრე თვით ე.წ. ლიბერალური ელიტა. **ისინი გარედან გებრძვიან, როგორც ხილული მტრები; ესენი შიგნიდან ღრნიან, შიგნიდან ჭამენ და ასუსტებენ სამღვდელოებას.** ჩემი აზრით, ეს ადამიანები არც არიან სასულიერო პირები, ისინი დასავლეთის გლობალისტური ძალების მიერ შემოგზავნილი აგენტები არიან, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით — სიტყვით თუ საქმით ანგრევენ და ძირს უთხრიან ეკლესიას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე და სხვებიც ამბობენ, რომ აღნიშნული კანონი არის ზნეობისა და სახელმწიფოებრივად აზროვნების განვითარებისთვის. სინამდვილეში ეს არის სკოლებში ლგბტ თემის გააქტიურებისთვის გამიზნული. ეს კოდექსი, რომელსაც სოფო კილაძე „ზნეობის გაღვიძებას“ უწოდებს, ოჯახის დასანგრევადაა შექმნილი“.

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გურამ ქართველიშვილი:

# მთავრობას, რომელთანაც ყველა ქვეყნის აგენტი მუშაობს, გარდა ქართველისა, მთავრობა არ ჰქვია; შესაბამისად, არც ასეთი ქვეყანაა ქვეყანა

**2018 წლის 10 დეკემბერს მაროკოს ქალაქ მარაკეშში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს გაეროს მიგრაციის პაქტს ხელი მოაწერა ამ ორგანიზაციის წევრმა 164-მა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ. ამის შემდეგ ოთხმა ქართველმა — ისტორიკოსმა გურამ ქართველიშვილმა, პოლიტიკოსებმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, ლევან ჩაჩუამ და გურამ ფალავანდიშვილმა სრულიად საქართველო კარდაკარ მოიარეს, რათა ქვეყნის მოსახლეობისთვის აეხსნათ საქართველოს მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაული. ამ ადამიანებმა დაიწყეს, როგორც თვითონ ამბობენ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში ჩანერგილი უცხო ქვეყნის აგენტი პოლიტიკოსების მხილება, ბევრი სხვა დეტალიც სააშკარაოზე გამოიტანეს. ისინი ახერხებენ, დაესწრონ საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში ჩანიშნულ სხდომებს და სოციალური ქსელების მომხმარებლებს პირდაპირ ეთერში აჩვენონ პარლამენტარების ნამდვილი სახე. ჩვენ დავინტერესდით, რას გეგმავენ ზემოხსენებული ადამიანები მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს გააგებინეს მთავრობის ღალატის შესახებ; რა იქნება შემდეგი ნაბიჯი, რას ფიქრობს ხალხი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე? „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია ისტორიკოსი გურამ ქართველიშვილი:**

— ყველა პარტია, რომლებიც დღეს იქმნება, ხელოვნურია, რადგან ქვეყანა იმართება გარე ძალების მიერ. სწორედ გარე ძალები არიან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულნი.

ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენს ქვეყანაში ოცდაათი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს, მიხვდებოდა, რომ რეალური ძალა, რომელიც პარტიას შექმნის, არ არსებობს. ყველა, ვინც ვიღაცის ინტერესს ატარებს, სატელიტია. **მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში მიშისტები და ბიძინისტები იდეოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი ყველანი ერთნი არიან.**

ნეოლიბერალურ ძალებს, რომელთა აზრსაც ესენი ითვალისწინებენ, ძალიან უჭირთ, რადგან ნდობის რესურსი ამოეწურათ. მათ ადამიანური რესურსიც არ აქვთ და წრეზე ტრიალებენ.

კავკასია, საქართველო გზაგასაყარია აღმოსავლეთისა და დასავლეთის, რელიგიათა გზაგასაყარია. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული მნიშვნელობის მიწა, რომელიც ყველას სჭირდება, დღეს — განსაკუთრებით. მსოფლიოში რამდენიმე მოთამაშეა: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ევროკავშირი და ამერიკა, აგრეთვე, ჩინეთი. ამ სახელმწიფოებს სურთ, რაღაცნაირად ფეხი მოიკიდონ აქ. **ნეოლიბერალურმა მთავრობებმა მოახერხეს ისე, რომ თვითონ ქართველი არაფერში მონაწილეობს. ჩვენ განიარაღებულები ვართ ჩვენვე მთავრობის მიერ, რომელიც ასრულებს უცხო ქვეყნის დავალებებს, ამას მთავრობა არ ჰქვია. მთავრობას, რომელთანაც ყველა ქვეყნის აგენტი მუშაობს, გარდა ქართველისა, მთავრობა არ ჰქვია, შესაბამისად, არც ასეთი ქვეყანაა ქვეყანა.**

ყველა მედია, რომელიც თოქშოუებს გვიდგამს, ნეოლიბერალური ძალების გამყარებაზე მუშაობს.

რომ ვთქვათ, რომელიმე უცხო სახელმწიფოს ისეთი მთავრობა აძლევს ხელს საქართველოში, როგორიც გვყავს, შეცდომა იქნება, მათ ეს ადამიანები დროებით სჭირდებათ. მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რა გვჭირდება, იმაზე უნდა ვიფიქროთ...

ძნელია, იმდენ მოთამაშეს გვერდი ავუაროთ, რამდენიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მაგრამ მათ თამაშში ჩვენს ინტერესებს რომ გაატარებს, ხელისუფლებაში ისეთი ძალა გვჭირდება, ასეთი ძალა უნდა მოვიყვანოთ ქვეყნის სათავეში. ჩემს თავს არ ვგულისხმობ, ჩემი მიზანი არ არის პარლამენტში შესვლა, ყველა იმ ახალშექმნილი თუ ძველი პარტიების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, რომლებსაც მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აქვთ გათვლა. ჩვენ გვჭირდება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი, რათა შემდეგ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ჩავერთოთ და ორიენტირებულნი ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოს, მოსახლეობის კეთილდღეობაზე. თუ ასე არ გავაკეთეთ, დავიღუპებით, არაფერი გვიშველის.

**— თქვენ პარლამენტში კომიტეტის სხდომას დაესწარით და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის დამტკიცება გააპროტესტეთ...**

— იუნისეფის მიერ შემოთავაზებული იყო კანონპროექტი — ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსი, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, გაეროს ბავშვთა ფონდის თქმით, აღნიშნული კოდექსი მათი შემოთავაზებული არ არის.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **სოფო კილაძე** და სხვებიც ამბობენ, რომ **აღნიშნული კანონი არის ზნეობისა და სახელმწიფოებრივად აზროვნების განვითარებისთვის. სინამდვილეში ეს არის სკოლებში ლგბტ თემის გააქტიურებისთვის გამიზნული. ეს კოდექსი, რომელსაც სოფო კილაძე „ზნეობის გაღვიძებას“ უწოდებს, არის ოჯახის დასანგრევად შექმნილი.** კანონში წერია, რომ ქართველი მამა არ არის ტოლერანტული და შემწყნარებელი ქალიშვილის მიმართ. წერია, რომ ბავშვს პირადი სივრცე არ უნდა დაერღვეს, პირადი სივრცე კი არის ის, რომ ბავშვი გვიან ღამით თუ დაბრუნდება შინ, არ უნდა მისცე შენიშვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილს შესაბამისი სამსახურები წაგართმევენ. ასეთი რამ მოხდა შვედეთში, იქ ფეხმოკიდებულია ე.წ. იუვენალური სამართალი. ანალოგიურის გაკეთება სურთ აქაც. ჩვენ მივედით გაეროს ოფისში და დაგვემალნენ.

**— რა პასუხი გაგცათ კილაძემ?**

— რა პასუხი უნდა გაგვცეს?! მათ დიდძალი ფული უმაგრებს ზურგს.

ჩვენი მთავრობა აქცენტს გარყვნილებაზე აკეთებს და ამას ზნეობის სახელით ნიღბავს. მათ გარედან აქვთ დაკვეთა, რომ პატრიოტული სულისკვეთება მოიშალოს. ქართველებისგან უნდა დაიცალოს სახელმწიფო; ვინც დარჩება, ყველაფერს უნდა შეეგუოს. ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული, ერთ-ერთი მორიგი მოღალატეობრივი ქმედებაა მიგრანტთა პაქტზე ხელმოწერა. ასიათასობით ადამიანს შემოასახლებენ არაბული ქვეყნებიდან და ჩვენს ახალგაზრდებს ეს არ უნდა აწუხებდეთ.

ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი ეროვნულობა, ამიტომ საჭიროა ახალგაზრდების გადაგვარება, მათი გონებიდან ყველაფერი ქართულის ამოღება, სწორედ ამისთვის სჭირდებათ გაუკუღმართებული კანონები, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლება ასე დაჟინებით და სასწრაფოდ იღებს.

**— რა ხდება ე.წ. მიგრანტთა პაქტზე? მიიღეთ თუ არა სახელმწიფოსგან პასუხი, რას აპირებენ რეალურად?**

— ყველა ჩუმად არის. ადამიანმა პასუხი რომ გაგცეს, დამოუკიდებელი უნდა იყოს, მათ კი დამოუკიდებლობა არ აქვთ.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ თითქმის მთელი საქართვლო მოიარეთ, მოსახლეობას შეატყობინეთ ხელისუფლების ამ ღალატის თაობაზე. როგორ შეხვდა ხალხი ამ ამბავს?**

— ჩვენს თანამემამულეებს იმედი გამოაცალეს, რომ საქართველოში იარსებებს ძალა, რომელიც სასიკეთოდ შეცვლის ყველაფერს. ქართველი საღად მოზროვნეა, მას ყველაფერი კარგად ესმის, თუკი აუხსნი. სადაც ჩავედით, ყველამ მზადყოფნა გამოთქვა ერთობისთვის; მათ ესმით, რომ, თუ არ ვიმოქმედებთ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება, უკანდასახევი გზა არ არსებობს. ქართველებს ასეთი თვისება გვაქვს: სანამ კედელთან არ მიგვაყენებენ, თვითგადარჩენისთვის ბრძოლას არ ვიწყებთ. დღეს ზუსტად ის ვითარებაა, რომ თავი უნდა გადავირჩინოთ.

**— თბილისში როდის აპირებთ აქციების დაწყებას?**

**— თბილისში აქციების დაწყება ივნისში დავთქვით, რადგან ივნისში დიდი აღლუმის მოწყობას აპირებენ ლგბტ თემის წარმომადგენლები. აქ აშკარად გამოჩნდა გარე ძალების ხელი. ამერიკის ელჩმა პირდაპირ განაცხადა: 18 ივნისიდან 25 ივნისამდე შემოწმდება თქვენი ქვეყნის დემოკრატიის ხარისხიო... თურმე ჩვენი დემოკრატიის ხარისხი იმით განისაზღვრება, ლგბტ თემს როგორ აღლუმს ჩავატარებინებთ, თანაც, ერთი დღე კი არა, მთელი კვირეული უნდა მოეწყოს, მთელი მსოფლიოდან უნდა ჩამოიყვანონ ასობით შეღებილი უსქესო ადამიანი — „ღირსების რაინდი“ (ესაა მარშის სახელწოდება) და თბილისში მათთან ერთად უნდა „ვიგუგუნოთ“.**

ჩვენი მიზანი და ქართველი ხალხის ნებაა, რომ კავკასიის ცენტრ სახელმწიფოში და მის დედაქალაქში ასეთი უმსგავსობა არ ჩატარდეს, რადგან ეს ხერხემალში ჩვენს გადატეხას ნიშნავს. ამის შემდეგ, რისი გაკეთებაც უნდათ, ყველაფერს გააკეთებენ — მიგრანტებს ჩამოასახლებენ, ოჯახებს დაანგრევენ, ახალგაზრდებს გარყვნიან და ა.შ. მათ სურთ, თბილისი გამოჩნდეს ლგბტ მოძრაობის, ფსევდოთავისუფლების, გარყვნილების ქალაქად.

ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს პოზიციას: სწორედ იმ ერთი კვირის განმავლობაში, 18-დან 25 ივნისამდე, უნდა დავიკავოთ ცენტრალური ქუჩები, არ მივცეთ ლგბტ თემს აღლუმის ჩატარების საშუალება, რაც იმით უნდა დასრულდეს, რომ ეს ხელისუფლება გავუშვათ სახლში; ეს რეჟიმი, ეს სისტემა უნდა შევცვალოთ. იმ დღეებში ძალიან დიდი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საკუთარ თავზე ე.წ. მუნდირიანთა კორპუსმა (სამართალდამცველებმა — ე.ნ.), საგანგებო მდგომარეობაც კი შეიძლება გამოცხადდეს, რათა კრიმინალმა არ იმძლავროს. მშვიდობიანად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთობით ქართველებმა უნდა შევძლოთ ნეოლიბერალური ფაშიზმის თავიდან მოშორება, რომელიც გვანადგურებს...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# იაროსლავ კაჩინსკი: ჩვენ «არა»-ს ვეუბნებით ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინებას



**ჩვენ არას ვეუბნებით ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინებას და მათ უფლებას ბავშვები იშვილონ — შორს ჩვენი ბავშვებისგან, — განაცხადა პოლონეთის მმართველი პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ.**

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ასოშეიტედ პრესი“ იუწყება, ეს განცხადება იაროსლავ კაჩინსკიმ პარტიის სხდომაზე გააკეთა.

პოლიტიკოსის თქმით, ვარშავაში მიღებული ლგბტ თემის უფლებების დეკლარაცია ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინებასა და ასეთი წყვილების მიერ შვილების აყვანას ეხება.

„ამას არაფერი საერთო აქვს ტოლერანტობასთან. ეს ეხება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის კავშირებს, ქორწინებას და მათ უფლებას, ბავშვები იშვილონ. გვსურს, მკაფიოდ განვაცხადოთ ჩვენი პოზიცია: ჩვენ ამას არას ვეუბნებით. შორს ჩვენი ბაშვებისგან!“ — განაცხადა იაროსლავ კაჩინსკიმ.

პოლონეთის მოქმედი კანონმდებლობით ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინება დაშვებული არ არის.

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რას უნდა დაეყრდნოს და დაეფუძნოს ქართული ნაციონალიზმი, ძალიან ვრცელი თემაა და ვფიქრობ, ამაზე ერთმნიშვნელოვნად საუბარი, რომ ან ასეთი უნდა იყოს, ან ისეთი, რთულია. პირველ რიგში, ალბათ, მთავარია ისტორიის სწორად გააზრება, საკუთარი ფუნქციის განსაზღვრა თანამედროვე პირობებში, შესაძლებლობების გათვლა და აქედან გამომდინარე — ანალიზი; უწინარესად კი — რა გვინდა (დემოკრატიაზე არ დამიწყოს ვინმემ ახლა ლაპარაკი!); მერე — რისი თავი გვაქვს და რა შეგვიძლია. აი ამით უნდა დავიწყოთ“.



# გულბაათ რცხილაძე: სანამ საზოგადოება ფულიან ლიდერებზე იქნება ორიენტირებული, არსებით ცვლილებებზე ფიქრიც ზედმეტია

## «ყველგან შეიძლება მოხდეს ცვლილებები — ამერიკაშიც, ევროპაშიც, მაგრამ ჩვენ მიმართ ისევ არსებული კოლონიური პოლიტიკა გაგრძელდება»

**ბოლო პერიოდში დასავლეთში მიმდინარე ძირეული იდეოლოგიური (და არა მხოლოდ) გარდაქმნების ფონზე, რაც, ერთი მხრივ, ლიბერალური დღის წესრიგის კრიზისით, მეორე მხრივ, ევროპაში ნაციონალისტურ-კონსერვატიული სუბიექტების გაძლიერებითაა განპირობებული, არსებული პოლიტიკური ელიტისა და მთლიანად სისტემის რეგრესი საქართველოშიც სულ უფრო აშკარაა. დასავლეთის მსგავსად, ამ სისტემის გასტუმრებისა და ახლით ჩანაცვლების აუცილებლობა ერთგვარი ობიექტური მოცემულობაა, რომელიც დიდწილად სწორედ ევროკავშირის სივრცეში მიმდინარე პროცესების გამოძახილია, თუმცა, განსხვავებით ევროკავშირისგან, სადაც გლობალისტური პოლიტიკური მონოპოლიის ალტერნატივა კონკრეტული პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების სახით წლების წინათ გაჩნდა, საქართველოში მესამე ძალის ჩამოყალიბება ჯერჯერობით ისევ იდეის დონეზეა.**

**მოსახლეობასა და პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვან ნაწილში არსებული მზარდი ანტილიბერალური განწყობები სოციალურ ქსელებში აქტიურობას ვერ გასცდა, ხოლო ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ლიბერალური მედიის მხრიდან სრულ საინფორმაციო ბლოკადაში იმყოფებიან, ერთიანი კონსერვატიული ბირთვის ჩამოყალიბებას ვერ ახერხებენ. ეს, შეიძლება ითქვას, მთლიანობაში არსებულ ხელისუფლებას ძალაუფლებას უხანგრძლივებს...**

**რა რესურსი არსებობს დღეს რეალურად საქართველოში ძირეული პოლიტიკური ცვლილებებისთვის და რა სახის ნაციონალიზმი შეიძლება განვითარდეს აქ დასავლეთში მიმდინარე გარდაქმნების ფონზე?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, დასავლეთში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე „მესამე ძალის“, როგორც რეალური პოლიტიკური ალტერნატივის, ჩამოყალიბების აუცილებლობა საქართველოშიც აქტუალური თემაა, თუმცა, განსხვავებით დასავლეთისგან, აქ ჯერჯერობით პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების აქტიურობა სოციალურ ქსელებს ვერ გასცდა. თქვენი აზრით, რით არის ეს განპირობებული და ხედავთ თუ არა ასეთი ძალის პერსპექტივას?**

— ჩემი აზრით, რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა შეიძლება, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს ასეთი ბირთვის, როგორც რეალური პოლიტიკური ალტერნატივის, ჩამოყალიბებას. კერძოდ, რა ფაქტორებს ვგულისხმობ: **პირველი** და უმნიშვნელოვანესია ფინანსები და ფინანსური უზრუნველყოფა პროცესისა, რომელმაც ნელ-ნელა უნდა მიგვიყვანოს სწორედ იმ ალტერნატიულ ბირთვამდე. ახლა რაც უნდა ვილაპარაკოთ მაღალ მატერიებზე, სამშობლოზე, პატრიოტიზმზე და ა.შ. ფაქტია, რომ ასე მარტივად და ერთი ხელის მოსმით არ ვითარდება პროცესები. ამაზე შეიძლებოდა გვესაუბრა 1980-იან წლებში, როცა სოციალისტურ სისტემაში ვიყავით და როდესაც გაჩნდა ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციები, მაგრამ ხალხი დასაქმებული იყო და საბჭოთა ხელფასებს იღებდა. როცა ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა და ხალხს ეგონა, რომ მართლა დამოუკიდებელი სახელმწიფო მივიღეთ, მაინც მოდიოდა საბჭოთა ხელფასები და ეგონათ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და იქნებოდა კიდეც. იმის თქმა მინდა, რომ მოცემულობა იყო ისეთი: ფინანსები არ წარმოადგენდა მთავარ ფაქტორს პროცესებისთვის. დღეს უკვე არსებითად განსხვავებული რეალობა გვაქვს ველური კაპიტალიზმის სახით... რაც შეეხება სხვა გარემოებებს, ძალიან მნიშვნელოვანია სუბიექტური ფაქტორი, რომელიც, ვფიქრობ, გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ ყველაფერში...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ ფინანსები პარტიული მუშაობისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელია, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერი ფინანსებზე არ არის დამოკიდებული. ვითარება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ არა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალსაზრისი და დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ. კერძოდ, საზოგადოებაში გაბატონებულია სტერეოტიპული თვალსაზრისი, რომ, თუ პოლიტიკურ პარტიას ან რამე მოძრაობას სერიოზული ფინანსები არ აქვს, ის სოლიდური არ არის. გაიხსენეთ, **როგორ მოვიდა თუნდაც ივანიშვილი ხელისუფლებაში და როგორ მოიყვანა თან მანამდე აბსოლუტურად უპერსექტივო ფიგურები; გაიხსენეთ, ერთი ხელისმოსმით როგორ აქცია სამპროცენტიანი სუბიექტები სახელისუფლო პარტიებად.** სხვათა შორის, ამისთვის მას ბევრი ფული არ დაუხარჯავს და არ დაურიგებია, როგორც ზოგიერთს ჰქონდა წარმოდგენილი. უბრალოდ, საზოგადოებისთვის იმის ცოდნა, რომ ივანიშვილს უზარმაზარი ფინანსური რესურსი აქვს, საკმარისი აღმოჩნდა, მისთვის მხარი დაეჭირა. წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა ივანიშვილის პოლიტიკური ფასი და ავტორიტეტი ამ რესურსების გარეშე (მიუხედავად იმისა, რომ მას ამ რესურსებიდან თითქმის არაფერი დაუხარჯავს)?! წარმოგიდგენიათ, რა შანსი ექნებოდა?! აი, ეს არის დღეს რეალურად ჩვენი პრობლემა და ვფიქრობ, სანამ საზოგადოება ფულიან ლიდერებზე იქნება ასე ერთმნიშვნელოვნად ორიენტირებული, არსებით ცვლილებებზე ფიქრიც ზედმეტია. მე, რა თქმა უნდა, ჩვენს ხალხს ზემოდან არ ვუყურებ და ცინიკური ტონით არ ვსაუბრობ. მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ. უბრალოდ, როგორც გითხარით, ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ისეთ სისტემაში, რომელიც სხვა საშუალებას არ გვაძლევს. ცალკე საკითხია ამბიციები, რომელიც ასევე სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია. შური, ქილიკი, გაუტანლობა, ერთმანეთის ლანძღვა ზურგს უკან — ყველაფერი ეს არის სწორედ დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც ისტორიულად მოსდევს ჩვენს ქვეყანას...

**— და ეს ყველაფერი, ალბათ, ნიჰილიზმსაც განაპირობებს საზოგადოებაში...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ნიჰილიზმთან ერთად არის სიზარმაცეც და უუნარობაც. კერძოდ, რას ვგულისხმობ: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უამრავი რამ ხდება ქვეყანაში ისეთი, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია, მოსახლეობის პროტესტი, როგორც თქვენ თქვით დასაწყისში, ვერ გასცდა სოციალურ ქსელებში კომენტარების წერას. „ლაივების“ გაზიარებას „ფეისბუკში“, მწარე-მწარე „პოსტების“ გამოქვეყნებას, ვიდეოებს... ცხადია, ეს თავისთავად კარგია, მაგრამ ამით ხომ რეალური ცვლილებები არ მოხდება?!

რაც შეეხება გლობალურ „ლიბერალურ“ დღის წესრიგს, რომლითაც, დიდი ხანია, საქართველო იმართება, მოგვწონს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის სისტემა, რომელიც თანმიმდევრულად მუშაობს. არსებობს გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური სკოლა, რომელიც ყველა მიმართულებით მოქმედებს და მისთვის საჭირო კადრებს ამზადებს. ამ სისტემას ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია, საკუთარი ელიტა, საკუთარი ოპონენტებიც კი, რომლებსაც თვითონვე კარნახობს ოპონირების წესებს. ამ დროს იმ ფლანგზე, რომლის ჩამოყალიბების აუცილებლობაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, კონსერვატიულ ფლანგს ვგულისხმობ, მსგავსი არაფერი ხდება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ძნელია, ისაუბრო ცვლილებებზე და იმაზე, რომ „ლიბერალური“ დღის წესრიგი უნდა დასრულდეს. კი, ბატონო, უნდა დასრულდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს საზოგადოებას არ აქვს არც შინაგანი ძალა და არც რესურსი თვითმობილიზებისთვის, რათა გარედან ნაკარნახევი რაღაც ინსტუქციების გარეშე თვითონ დაუსვას წერტილი იმას, რაც მისთვის მიუღებელია...

აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მირეკავს, მოდის და მეუბნება, რომ იქნებ რამე მოძრაობა დავიწყოთ, იქნებ მე ჩავუდგე სათავეში... **კიდევ გავიმეორებ, რომ ამისგან ასე მარტივად არაფერი გამოვა. ჩვენ ვებრძვით უდიდეს ძალებს და საჭიროა, რომ ამ ძალებს რაღაც ადეკვატურად შესაბამისი დაუპირისპირდეს. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ძალა, ამიტომ უნდა მოვიცადოთ და დაველოდოთ შესაფერის მომენტს...**

**— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის ასეთი მოლოდინიც, რომ ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიური მოცემულობის, დამარცხება და კონსერვატიული სუბიექტების მოსვლა დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების სათავეში, აქაც ავტომატურად შეცვლის პოლიტიკურ დღის წესრიგს. რეალურად მიგაჩნიათ ეს თვალსაზრისი? და საერთოდ, თქვენი აზრით, რა იდეოლოგიურ პოსტულატებს უნდა დაეყრდნოს ქართული ნაციონალიზმი?**

— არის გარკვეული ლოგიკა და სიმართლის მარცვალი იმაში, რომ დასავლეთში მიმდინარე პროცესები აქ რაღაც გამოძახილს ჰპოვებს, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს სხვა რომ გააკეთებს, ილუზია არ უნდა გვქონდეს. რა ცვლილებებიც უნდა მოხდეს სხვაგან, გეოპოლიტკას აქვს თავისი კანონები და გარე ძალა ყოველთვის ისარგებლებს შენი სისუსტით. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, რას უნდა დაეყრდნოს და დაეფუძნოს ქართული ნაციონალიზმი, ძალიან ვრცელი თემაა და ვფიქრობ, ამაზე ერთმნიშვნელოვნად საუბარი, რომ ან ასეთი უნდა იყოს, ან ისეთი, რთულია. პირველ რიგში, ალბათ, მთავარია ისტორიის სწორად გააზრება, საკუთარი ფუნქციის განსაზღვრა თანამედროვე პირობებში, შესაძლებლობების გათვლა და აქედან გამომდინარე — ანალიზი. უწინარესად კი — რა გვინდა (დემოკრატიაზე არ დამიწყოს ვინმემ ახლა ლაპარაკი!); მერე — რისი თავი გვაქვს და რა შეგვიძლია. აი ამით უნდა დავიწყოთ. სხვა დანარჩენი, ის, რომ **დავით აღმაშენებლისა** და **თამარის** შთამომავლები ვართ; ის, რომ ქართველს წინ ვერაფერი დაუდგება, თუ მოინდომა, უკვე ემოციების ამბავია, თუმცა, რაც უფრო შორს ვიქნებით ზღაპრებისგან და პრაგმატულად მივუდგებით ყველაფერს, ჩვენთვისვე იქნება უკეთესი.

**— და ინტელექტუალურ რესურსს თუ ხედავთ ქვეყანაში საკმარისს, რომ კონსერვატიული ფრთა რეალურ ძალად ჩამოყალიბდეს?**

— აქაც თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას. არ არის დღეს ქვეყანაში ამისთვის საკმარისი არც ინტელექტუალური და არც სხვა სახის რესურსი. ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმის, რომ კონსერვატიული ფრთის ჩამოყალიბება ძალიან ნელა, შეიძლება ითქვას, კუს ნაბიჯებით მიდის. თუმცა ქვეყნის მთავარი რესურსი და პოტენციალი, რა თქმა უნდა, არის ისევ საზოგადოება. ამიტომ უნდა დაბრუნდეს ჩვენს საზოგადოებაში განცდა, რომ ის წყვეტს ყველაფერს და ის ამბობს გადამწყვეტ სიტყვას. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ სადღაც საზღვარგარეთ რაღაც მოხდება და გვეშველება. არსად არაფერი საჩვენოდ არ ხდება. მერწმუნეთ, ყველგან შეიძლება მოხდეს ცვლილებები: ამერიკაშიც, ევროპაშიც, მაგრამ ჩვენ მიმართ ისევ არსებული კოლონიური პოლიტიკა გაგრძელდება; ისევ ის მიდგომები იქნება და ის დირექტივები, რომლებსაც აქამდე ვიღებდით, თუ, რა თქმა უნდა, აქაც არ იქნება იმ გლობალური ცვლილებების შესაბამისი პოლიტიკა და გარდაქმნები განხორციელებული...

„ფინანსები პარტიული მუშაობისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელია, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერი ფინანსებზე არ არის დამოკიდებული. ვითარება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ არა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალსაზრისი და დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ. კერძოდ, საზოგადოებაში გაბატონებულია სტერეოტიპული თვალსაზრისი, რომ, თუ პოლიტიკურ პარტიას ან რამე მოძრაობას სერიოზული ფინანსები არ აქვს, ის სოლიდური არ არის. გაიხსენეთ, როგორ მოვიდა თუნდაც ივანიშვილი ხელისუფლებაში და თან როგორ მოიყვანა მანამდე აბსოლუტურად უპერსექტივო ფიგურები; გაიხსენეთ, ერთი ხელისმოსმით როგორ აქცია სამპროცენტიანი სუბიექტები სახელისუფლო პარტიებად“

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

ივნისში ლგბტ-აქტივისტები თბილისში აღლუმის გამართვას გეგმავენ, ხოლო რადიკალი კონსერვატორები და ნაციონალისტები აპირებენ, ხელი შეუშალონ. პოლემიკაში ჩართული პირების რიტორიკა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ახლაც საქმე, ისევე როგორც 2013-ში, შეიძლება ტაბურეტებამდეც მივიდეს. ხელისუფლებას, ალბათ, ხელს აძლევს, რომ საზოგადოებამ ყურადღება მწვავე პოლიტიკური პრობლემებიდან და მმართველი პარტიის კრიზისიდან ამ მიმართულებით გადაიტანოს. ამასთანავე, ის უარს არ იტყვის არბიტრის როლზე კონფლიქტში, რომლის ერთი მხარე ლიბერალური საზოგადოება იქნება, ხოლო მეორე — ეკლესიასთან მჭიდროდ დაკავშირებული კონსერვატორები.



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ განვითარდება ხელისუფლებისა და საპატრიარქოს ურთიერთობა?

**გასული კვირა საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა, ამიტომ მედიამ და საზოგადოებამ ნაკლები ყურადღება დაუთმო განსხვავებულ მოსაზრებებს ირაკლი სესიაშვილის ახალი საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.**

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული ცვლილება მღვდელმსახურებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლებას აუქმებს. მისი მთავარი მიზანი, სავარაუდოდ, იმ იურიდიული „ხვრელის“ ამოვსებაა, რომელიც თავის დროზე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტმა შექმნა: **„წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ... არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში“.** როგორც ცნობილია, 2017 წლის მარტში „გირჩის“ წევრებმა დაარეგისტრირეს რელიგიური ორგანიზაცია „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია — ბიბლიური თავისუფლება“, რომელიც მსურველებს მღვდელმსახურის წოდებას ანიჭებს და სამხედრო სამსახურის გადავადების შესაძლებლობას აძლევს. ცხადია, რომ ამ პრაქტიკის კავშირი რელიგიასთან ფრიად პირობითია, თუმცა ფორმალურად, იურიდიული თვალსაზრისით ყველაფერი კანონის ფარგლებშია. „გირჩის“ მიერ შექმნილი შესაძლებლობით ბევრმა ახალგაზრდამ ისარგებლა.

ამასთანავე, არსებობს კონკორდატი — საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომლის მეოთხე მუხლის პირველ პუნქტში წერია: **„სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან“.** ეს ნორმა ძალაში რჩება. შესაბამისად, სესიაშვილის წინადადების დამტკიცების შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ ისეთ სამართლებრივ რეალობას, რომელიც ერთ-ერთი კონფესიის წარმომადგენლებს უპირატესობას მიანიჭებს. ეს ფუნდამენტურ, კონსტიტუციაში ჩაწერილ პრინციპებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოვა. თანამედროვე სეკულარულ სახელმწიფოში ყველა რელიგიის მიმდევარს — მართლმადიდებელი იქნება, კათოლიკე, ბუდისტი თუ სხვა — ერთნაირი უფლება-მოვალეობები აქვთ. მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე **ტარიელ ნაკაიძემ** სესიაშვილის კანონპროექტს „განსაკუთრებით დისკრიმინაციული“ უწოდა. კანონპროექტის წინააღმდეგ არასამთავრობოებმაც გაილაშქრეს.

განხილვის პროცესში თავი იჩინა ტრადიციულმა პრობლემამ. დისკუსიის მონაწილეთა ნაწილს კანონპროექტი, როგორც ჩანს, არ წაუკითხავს — ისინი მიიჩნევდნენ, რომ განსაკუთრებულ უფლებებს მართლმადიდებლებს სწორედ სესიაშვილის კანონპროექტი ანიჭებს და არა ამ კანონპროექტისა და კონკორდატის ერთობლიობა. ამან სესიაშვილს შესაძლებლობა მისცა, გამოეყენებინა არგუმენტი: „იქ სულ სხვა რამ წერია“, თუმცა, ცხადია, ეს ნიუანსი პრობლემას არ ხსნის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიტუაციაში არის ის, რომ **ეს ისტორია ირიბად საპატრიარქოსაც დაარტყამს. მისი თანმიმდევრული ოპონენტები, სავარაუდოდ, შეეცდებიან, სიტუაცია ისე წარმოაჩინონ, რომ მას განსაკუთრებული პრივილეგიების მიღება სურს.**

გასულ კვირას გრძელდებოდა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სკანდალი, რომელმაც საპატრიარქოზე საინფორმაციო იერიშების მისატანად კიდევ ერთი საბაბი შექმნა. საუბარია **ბაგრატიონების დაპირისპირებაზე** სასამართლოში. ეს თითქოს ჩვეულებრივი დავაა, რომელიც აუდიტორიისთვის ერთობ სახალისოა, რადგან მასში ჩაბმულ პირებს მეფობის პრეტენზია აქვთ. მაგრამ არაერთი კომენტატორი სარგებლობს შემთხვევით და აგდებით მოიხსენიებს პატრიარქის ინიციატივას მონარქიის აღდგენის თაობაზე, მის როლს ბაგრატიონთა ორი შტოს წარმომადგენელთა დაქორწინებაში და ა. შ. ისევე, როგორც სესიაშვილის კანონპროექტის შემთხვევაში, ეკლესია ერთ-ერთი მიზანი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ესკალაციის ინიციატორი არ იყო.

იმ დაპირებებზე, რომლებიც ხელისუფლებამ ელექტორატს საპრეზიდენტო არჩევნების წინ მისცა, საკმაოდ ბევრი ითქვა, ხოლო „ქართული ოცნების“ ურთიერთობაზე საპატრიარქოსთან შედარებით ცოტას საუბრობენ, თუმცა **ფაქტია, რომ კანაფის კულტივაციის კანონპროექტზე ხელისუფლებამ უარი სწორედ იმ მომენტში თქვა, როდესაც საპატრიარქოსა და მის უკან მდგომი კონსერვატიული მრევლის (ამომრჩევლების) დამშვიდება ჰაერივით სჭიდებოდა.** ამ ისტორიას საინტერესო გაგრძელება ჰქონდა. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ შეიქნა ცნობილი, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ფრაქციის 3 იანვრის შეხვერდაზე წამოჭრა, „კანაფის კონტროლის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი იყო. ივანიშვილმა დეპუტატების მიმართ უკმაყოფილება და მძაფრი რეაქცია იმის გამო გამოხატა, რომ პარლამენტმა აღნიშნული პროექტის მიღება ვერ შეძლო და მისი საკანონმდებლო ორგანოდან გაწვევის საჭიროება შეიქნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საკითხზე 2 წლის განმავლობაში მუშაობდა და ინიციატივის საზოგადოებამდე სწორად მისატანად მმართველ გუნდს უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა. წყაროსავე ცნობით, ივანიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ კანონპროექტის გაწვევის შედეგად ქვეყანამ „დიდი ფული“ დაკარგა.

სავარაუდო შემოსავალი მართლაც დიდი იყო, თუმცა აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური მარცხი, რომელიც ივანიშვილმა განიცადა. თავდაპირველად ის უგულებელყოფდა საპატრიარქოს პოზიციას კანაფის კანონპროექტის მიმართ. ამის გამოძახილი იყო ზოგიერთი მღვდელმსახურის კრიტიკული განცხადება ხელისუფლების პოლიტიკაზე და მის საპრეზიდენტო კანდიდატზე. პირველი ტურის შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნების“ მდგომარეობა გართულდა, ივანიშვილი იძულებული შეიქნა, უკან დაეხია და ეს, სავარაუდოდ, არ დავიწყებია.



**ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გააცნობიერა, რა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ როლს ასრულებს ეკლესია საქართველოში და, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, ვერ მოძებნა მასთან კრიზისებისგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი ურთიერთობის ფორმა. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ დროთა განმავლობაში მმართველი პარტიის ურთიერთობა საეკლესიო წრეებთან გართულდება, საკმაოდ მაღალია**

მართლმადიდებელ ეკლესიასთან „ქართული ოცნების“ ურთიერთობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. თავდაპირველად იყო ერთგვარი „კეთილგანწყობის პერიოდი“ — სამღვდელოების წარმომადგენელთა დიდი ნაწილის პოზიციამ ხელი შეუწყო „ქართული ოცნების“ გამარჯვებას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. შემდეგ დაიწყო დაძაბულობის ძნელად შესამჩნევი ზრდა, რომლის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, იყო ბიძინა ივანიშვილის სურვილი, — საზოგადოებისთვის მთავარი ავტორიტეტი გამხდარიყო. შესაძლოა, მას ზღუდავდა საპატრიარქოს პოზიციის მუდმივი გათვალისწინების აუცილებლობა („მარიხუანის კანონპროქტთან“ დაკავშირებულ დაპირისპირებას წინ უძღოდა არაერთი მსგავსი, თუმცა ნაკლებად ხმაურიანი, ეპიზოდი). 2014 წლის თებერვალში მან თქვა: **„უდიდეს პატივს ვცემ თვითონ პატრიარქს. მე ვფიქრობ, რომ ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს და ძალიან მიყვარს, მაგრამ საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი, პატრიარქი ბრძანებს თუ სხვა ეკლესიის მსახური. ეს დამოკიდებულება, ჩემი აზრით, არის ზედმეტად გაფეტიშებული და გადაჭარბებული და ეს არ უნდა იყოს ასე“.** ამას მრევლის ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

„ციანიდის საქმემ“ სათავე დაუდო „ესკალაციის პერიოდს“. მიუხედავად იმისა, რა მოხდა სინამდვილეში, საქმის პოლიტიკურ ასპექტის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობა ერთ გარემოებას აქვს. ხელისუფლებას შეეძლო შედარებით ფრთხილად გადაედგა იგივე სამართლებრივი ნაბიჯები, რათა მოეხდინა იმ საიმიჯო ზიანის მინიმიზაცია, რომელიც ამ საქმემ საპატრიარქოს მიაყენა, მაგრამ მან საპირისპირო გააკეთა და საპატრიარქოს, მარტივად რომ ვთქვათ, არ გაუფრთხილდა. სწორედ ამიტომ **2017 წლის თებერვლიდან გავრცელდა უამრავი ვერსია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება უხეშად ერევა ეკლესიის საქმეებში და სურს, მომავალ პატრიარქად საკუთარი ფავორიტი „დანიშნოს“ და ა. შ.** ამ ვერსიების გავრცელებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იმ პერიოდში გიორგი კვირიკაშვილს სხვადასხვა სფეროში „საკუთარი პოლიტიკის“ გატარების პირველი გაუბედავი მცდელობა ჰქონდა. ცნობილი იყო, რომ საეკლესიო საკითხები მას უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე მის ნებისმიერ წინამორბედს.

ხანმოკლე „განმუხტვის“ შემდეგ დაიწყო ახალი კრიზისი, რომელიც „მარიხუანის კანონპროექტს“ დაუკავშირდა (ეს იყო საბაბი და არა მიზეზი), შემდეგ იყო პანიკა არჩევნების მეორე ტურის წინ და სწრაფი უკანდახევა. ახლა კი ივანიშვილმა შეიძლება სამიოდე თვის წინათ მიტოვებული პოზიციების დაბრუნება სცადოს. ცხადია, იმის შემდეგ, რაც მოხდა, „კანაფის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტს ძველი ფორმით პარლამენტში ვერ დააბრუნებს. ალბათ, უნდა გამოვრიცხოთ „ციანიდის საქმის“ მასშტაბის მასირებული შეტევაც. ახლა ხელისუფლება ამისთვის სუსტია და, სავარაუდოდ, (უკვე) აცნობიერებს, რომ ფრონტალური დაპირისპირება საპატრიარქოსთან საქართველოს ნებისმიერი მმართველისთვის საშიშია. ერთადერთი შესაძლებელი სტრატეგია ამ შემთხვევაში იმის ხელშეწყობაა, რომ საპატრიარქო ჩაებას მთელ რიგ ლოკალურ საინფორმაციო-პოლიტიკურ კონფლიქტებში, რომელიც „საიმიჯო ქულებს“ დააკარგვინებს და რომელთანაც ხელისუფლებას ფორმალური კავშირი არ ექნება. მნიშვნელობა არ აქვს, რა შექმნის საბაბს ამისთვის — გაუაზრებელი კანონპროექტი, სასამართლო დავა თუ სხვა რამ. მაისის შუა რიცხვებში დღის წესრიგში ტრადიციულად დაბრუნდება სექსუალური უმცირესობების თემა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ **ივნისში ლგბტ-აქტივისტები თბილისში აღლუმის გამართვას გეგმავენ, ხოლო რადიკალი კონსერვატორები და ნაციონალისტები აპირებენ, ხელი შეუშალონ. პოლემიკაში ჩართული პირების რიტორიკა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ახლაც საქმე, ისევე როგორც 2013-ში, შეიძლება ტაბურეტებამდეც მივიდეს.** ხელისუფლებას, ალბათ, ხელს აძლევს, რომ საზოგადოებამ ყურადღება მწვავე პოლიტიკური პრობლემებიდან და მმართველი პარტიის კრიზისიდან ამ მიმართულებით გადაიტანოს. ამასთანავე, ის უარს არ იტყვის არბიტრის როლზე კონფლიქტში, რომლის ერთი მხარე ლიბერალური საზოგადოება იქნება, ხოლო მეორე — ეკლესიასთან მჭიდროდ დაკავშირებული კონსერვატორები. „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება მოიპოვოს ტაქტიკური წარმატება, მაგრამ პოლიტიკას, რომლის მიზანი ყურადღების გატანაა, სტრატეგიული პერსპექტივა არ აქვს.

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გააცნობიერა, რა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ როლს ასრულებს ეკლესია საქართველოში და, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, ვერ მოძებნა მასთან კრიზისებისგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი ურთიერთობის ფორმა. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ დროთა განმავლობაში მმართველი პარტიის ურთიერთობა საეკლესიო წრეებთან გართულდება, საკმაოდ მაღალია.

ბებერი ევროპა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეძლებს კი თავისი ადგილის მოძებნას სხვა თანამედროვე იდეოლოგიებს შორის უნივერსალურ ჭეშმარიტებაზე უარის მთქმელი დასავლური ნეოლიბერალიზმი, რომელიც დაიღალა „ჯვაროსნული ლაშქრობებისგან“ ბალკანეთზე, ავღანეთში, ერაყში, სირიაში, ლიბიაში? თუ იდეების სამყაროში საყოველთაო ბატონობაზე გლობალურ მმართველობაში უარის თქმა გამოიწვევს დასავლური (პოსტკაპიტალისტური) ცივილიზაციის დაცემას?**

# სოროსი და მაკრონი შფოთავენ დასავლური იდეოლოგიის კრიზისის გამო

**მიმდინარე წლის მაისში ევროპარლამენტის არჩევნები გაიმართება. უნდა აირჩიონ 705 დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის 27 წევრი-ქვეყნის თითქმის 500 მილიონ მოქალაქეს. ამ არჩევნებზე ლაპარაკობს დღეს ბევრი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და ცნობილი ფინანსური სპეკულანტი ჯორჯ სოროსი. სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ ამ განსხვავებულ ფიგურებს ერთმანეთთან აახლოებს მათი პანიკური განწყობა ევროპის აწმყოსა და მომავალზე.**

ყოფილი ევროპელი **ჯორჯ სოროსი**, რომელსაც შეარქვეს „ადამიანი, რომელმაც ინგლისის ბანკი გატეხა“, შეშფოთებას ვერ მალავს. 88 წლის ფინანსური სპეკულანტი, რომელმაც ევროპისადმი წაყენებული პრეტენზიების სიაში პირადი მტერი, უნგრეთის პრემიერი **ვიქტორ ორბანიც** შეიყვანა, გაიძახის, რომ „ყველაფერი მოძველდა“: „სამწუხაროდ, ამ არჩევნებზე (ევროპარლამენტის 2019 წლის მაისში — გ.გ.) ანტიევროპულ ძალებს ექნებათ უპირატესობა. ამისთვის არსებობს რამდენიმე მიზეზი... **გერმანიაში** ალიანსი ქდკ-ქსკ (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიან-სოციალური კავშირი) კარგად მუშაობდა, სანამ მნიშვნელოვანი მემარჯვენე პარტიები გამოჩნდებოდნენ... ვითარება შეიცვალა ექსტრემისტული „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (ASD) აღმავლობის შემდეგ... **დიდ ბრიტანეთში** მოძველებული პარტიული სტრუქტურები ხელს უშლის ხალხის ნამდვილი ნების გამოხატვას. ლეიბორისტები და კონსერვატორები ერთმანეთს უპირისპირდებიან, მათ ლიდერებს კი, შესაბამისად — **ჯერემი კორბინსა** და **ტერეზა მეის**, ისე მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბრექსიტის ჩატარება, რომ ამ საკითხზე თანამშრომლობასაც კი დათანხმდნენ. **იტალიაში** ელექტორატი, რომელიც მხარს უჭერდა ევროპასა და იმიგრაციას, ხელში ჩაუვარდა ანტიევროპელ პოლიტიკოსებს: პარტია „ლიგას“ და „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობას“... **საერთოევროპული ალიანსები სრულიად ექვემდებარებიან პარტიული ხელმძღვანელობების ანგარებიან ინტერესებს. რთული წარმოსადგენია, როგორ შეძლებენ პროევროპული პარტიები მაისში დანიშნულ არჩევნებში გამარჯვებას, თუკი თავიანთ ინტერესებზე მაღლა ევროპის ინტერესებს არ დააყენებენ“.**

ხანდაზმული სოროსისგან განსხვავებით 41 წლის **ემანუელ მაკრონმა** ფრანგებისა და ევროპელებისადმი მიმართვაში, რომელიც მიმდინარე წლის 4 მარტს Le Parisien-ში მოქვეყნდა, წამოაყენა ლოზუნგი „ევროპული რენესანსისთვის!“, მაგრამ ევროპის აწმყოს შეფასებისას („ყველაფერი მოძველდა“) სოროსისა და მაკრონის მოსაზრებები ემთხვევა.

**„ევროპა,** — ამბობს მაკრონი, — **ასეთი დიდი საფრთხის წინაშე არასდროს ყოფილა. ამის სიმბოლოდ იქცა ბრექსიტი. ის არის ევროპაში კრიზისის სიმბოლო, რომელმაც ვერ შეძლო თავისი ხალხების მოთხოვნებზე რეაგირება დიდი რყევებისგან დაცვისას. ის სიმბოლოა, აგრეთვე, ევროპული ხაფანგის... ეს არის ხაფანგი სიცრუისა და უპასუხისმგებლობისა, რომლებსაც შეუძლია გაანადგუროს ევროკავშირი. ბრექსიტის შემდეგ ვინ უთხრა ბრიტანელებს სიმართლე მათი მომავლის შესახებ? ვინ დაელაპარაკება მათ ევროპის ბაზრის დაკარგვის შემდეგ? ვინ ახსენა ირლანდიაში მშვიდობის საწინააღმდეგო რისკები ადრინდელი საზღვრების აღდგენის შემდეგ?**

**და ეს ხაფანგი ემუქრება სრულიად ევროპას...“**

ორივე — სოროსიც და მაკრონიც — ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან „ანტიევროპული“ ძალების ტრიუმფთან აიგივებენ. ორივე ლამობს, ევროპის ხალხებისა და კულტურების მრავალფეროვნება ნაციონალური სისტემის გარეშე მართვის ერთფეროვნებაზე დაიყვანოს. ოღონდ ევროპული ცხოვრება უკვე უარყოფს ამ მცდელობებს. **მაკრონმა თავის ვრცელ მიმართვაში ფრანგებისა და ევროპელებისადმი ჩამოთვალა აქტუალური პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემები, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობა, თითქოს პარიზის ქუჩებში რამდენიმე უფროსკლასელი ან ფეხბურთის ფანი ხმაურობდეს.** სხვათა შორის, ამ მოძრაობაში ერთიანდებიან ძალები, რომლებიც სწორედ ევროპის რენესანსისკენ (აღორძინებისკენ) მოუწოდებენ. ამ მოძრაობით საფრანგეთი „არა“-ს ეუბნება გლობალისტი ბანკირების ხელისუფლებას. ევროპის ერთ-ერთ დიდ ქვეყანაში წარმოიქმნა სოციალური ქარიშხალი, რომლის მსგავსიც ფრანგებს არ უნახავთ, ალბათ, 1968 წლის შემდეგ. ცნობილი ფრანგი ფსიქოანალიტიკოსის — **როლან გორის** თქმით, „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობამ თვალი აუხილა ფრანგ საზოგადოებას მთავრობის მიერ გატარებულ „ნეოლიბერალური ტექნოფაშიზმის“ პოლიტიკაზე; მთავრობისა, რომელმაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ნაწილი ზენაციონალურ კოსმოპოლიტურ ხელისუფლებას გადასცა.





**ყოფილი ევროპელი ჯორჯ სოროსი, რომელსაც შეარქვეს «ადამიანი, რომელმაც ინგლისის ბანკი გატეხა», შეშფოთებას ვერ მალავს. 88 წლის ფინანსური სპეკულანტი, რომელმაც ევროპისადმი წაყენებული პრეტენზიების სიაში პირადი მტერი, უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანიც შეიყვანა, გაიძახის, რომ «ყველაფერი მოძველდა»**



დაჩაჩანაკდა არა ევროპა, არამედ თავსმოხვეული ნეოლიბერალური იდეური კომპლექსი, დაჩაჩანაკდა მითოლოგია დემოკრატიისა, რომელიც XXI საუკუნეში საზოგადოების ცნობიერებაზე მანიპულაციების ტექნოლოგიად გადაგვარდა.

XIV-XVI საუკუნეში ევროპის რენესანსი დაკავშირებული იყო ნაციონალური ძალების გამოღვიძებასთან. რენესანსის ეპოქა პოლიტიკაში აღინიშნა ერების მოძრაობით სუვერენიტეტისკენ, და ეს დასრულდა 1648 წლის ვესტფალიის ზავით, აგრეთვე, სუვერენული სახელმწიფოების „ვესტფალიის სისტემის“ დამტკიცებით.

**შეძლებს კი თავისი ადგილის მოძებნას სხვა თანამედროვე იდეოლოგიებს შორის უნივერსალურ ჭეშმარიტებაზე უარის მთქმელი დასავლური ნეოლიბერალიზმი, რომელიც დაიღალა „ჯვაროსნული ლაშქრობებისგან“ ბალკანეთზე, ავღანეთში, ერაყში, სირიაში, ლიბიაში? თუ იდეების სამყაროში საყოველთაო ბატონობაზე გლობალურ მმართველობაში უარის თქმა გამოიწვევს დასავლური (პოსტკაპიტალისტური) ცივილიზაციის დაცემას?**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ევროპა, — ამბობს მაკრონი, — ასეთი დიდი საფრთხის წინაშე არასდროს ყოფილა. ამის სიმბოლოდ იქცა ბრექსიტი. ის არის კრიზისის სიმბოლო ევროპაში, რომელმაც ვერ შეძლო თავისი ხალხების მოთხოვნებზე რეაგირება დიდი რყევებისგან დაცვისას. ის სიმბოლოა, აგრეთვე, ევროპული ხაფანგის... ეს არის ხაფანგი სიცრუისა და უპასუხისმგებლობისა, რომლებსაც შეუძლია, გაანადგუროს ევროკავშირი. ბრექსიტის შემდეგ ვინ უთხრა ბრიტანელებს სიმართლე მათი მომავლის შესახებ? ვინ დაელაპარაკება მათ ევროპის ბაზრის დაკარგვის შემდეგ? ვინ ახსენა ირლანდიაში მშვიდობის საწინააღმდეგო რისკები ადრინდელი საზღვრების აღდგენის შემდეგ? და ეს ხაფანგი ემუქრება სრულიად ევროპას**



**აშშ-ის კიბერსარდლობა და ინოვაციებისა და უსაფრთხოების მერილენდის ინსტიტუტი ერთობლივ პროექტს ახორციელებენ სახელწოდებით DREAMPOST. ეს ინსტიტუტი წარმოადგენს ჰაბს (ქსელურ კვანძს — ნ.კ.), რომელშიც სხვადასხვა კომპანია სატენდერო შერჩევას გადის, მონაწილეობს კონკურსებში, წარმოადგენს თავისი პროდუქტების პროტოტიპებს რეალურ დროში.**

ხელოვნური ინტელექტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ინოვაციები ინფორმაციული ომის სფეროში

## დეზინფორმაცია პოპულარული იარაღი ხდება



**საზოგადოების ცნობიერების მანიპულირების ბევრ მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები. თუ აშშ-ში სილიკონის ველის გიგანტებმა სოციალური ქსელების, ბოტებისა და სხვადასხვა ალგორითმის მეშვეობით, ფაქტობრივად, დაამყარეს მონოპოლია სოციალურ-პოლიტიკურ ინჟინირინგზე, აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც იმავე მიმართულებით მოძრაობენ, გაცილებით აგრესიულ მიზნებს ისახავენ.**




**არის პროგრამებიც, რომლებიც მიეკუთვნება ნეიროტექნოლოგიების ახალ თაობას. მათი ძირითადი იდეა მდგომარეობს ნეიროინტერფეისის შექმნაში, რომლის დახმარებითაც შეიძლება აზრის გადაყვანა ტექსტურ ფორმატში, აგრეთვე, რობოტების ტელეპათიურად მართვა, მაგალითად, დრონების. სულ კი DARPA-ს აქვს ხელოვნური ინტელექტისადმი მიძღვნილი 20-ზე მეტი პროგრამა, ხოლო 60-ზე მეტი — კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული**

ამ სფეროში ლიდერია თავდაცვის პერსპექტიული ტექნოლოგიების სააგენტო (DARPA). მომდევნო 5 წლისთვის სააგენტომ უკვე გამოყო 2 მლრდ დოლარი ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროექტებისთვის. მათგან ერთ-ერთი, 2018 წლის ივლისში ამუშავებული პროექტი სახელწოდებით Artificial Inteligence Exploration-ი, მიმართულია ე.წ. მესამე ტალღის ინსტრუმენტების შემუშავებისკენ. ამ ინსტრუმენტებს შეუძლია „კონტექსტური საქმის ვითარების ცოდნის“ ჩართვა იმ ტექნოლოგიებში, რომლებსაც არაფერი ესმის მათ მიერვე აღწერილი სამყაროსი. ეს DARPA-ს ძირითადი პროექტია.

კიდევ ერთი პროექტი მიმართულია მიღებული სამეცნიერო ცოდნის ავტომატიზაციისკენ — Autimating Knowlegge Extractio. ეს ინსტრუმენტი ავტომატურად განსაზღვრავს ახალი მონაცემებისა და სამეცნიერო რესურსების ადგილმდებარეობას, გააანალიზებს მათ სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად, შეადარებს შედეგებს არსებულ გამოკვლევებთან, შემდეგ კი დაიწყებს ახალი მოდელების გენერაციას.

**არის პროგრამებიც, რომლებიც მიეკუთვნება ნეიროტექნოლოგიების ახალ თაობას. მათი ძირითადი იდეა მდგომარეობს ნეიროინტერფეისის შექმნაში, რომლის დახმარებითაც შეიძლება აზრის გადაყვანა ტექსტურ ფორმატში, აგრეთვე, რობოტების ტელეპათიურად მართვა, მაგალითად, დრონების და ა.შ.**

სულ კი DARPA-ს აქვს ხელოვნური ინტელექტისადმი მიძღვნილი 20-ზე მეტი პროგრამა, ხოლო 60-ზე მეტი — კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული.

ხელოვნურ ინტელექტს, განსაკუთრებით — სამანქანო სწავლებას, სააგენტო განიხილავს, როგორც პარტნიორს, რომელიც კონსტრუქტორებს დაეხმარება შეცდომების გამოვლენაში.

2019 წლის 11 მარტს **დონალდ ტრამპმა** ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად, ტექნოლოგიების საკითხებით დაკავებულმა ფედერალურმა სააგენტოებმა 2-ჯერ უნდა დააჩქარონ ხელოვნური ინტელექტის სფეროს პროექტების რეალიზაცია. განკარგულებას ეწოდება „ამერიკული ინიციატივა ხელოვნური ინტელექტის თაობაზე“. დოკუმენტი 5-პუნქტიანია:

**1. ინვესტიციები და კვლევები;**

**2. ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე რესურსების ამოქმედება;**

**3. ხელოვნური ინტელექტის სამთავრობო სტანდარტების დამტკიცება;**

**4. ხელოვნურ ინტელექტთან მომუშავე კადრების მომზადება;**

**5. საერთაშორისო ბაზარზე ამერიკული ტექნოლოგიების წინ წაწევა აშშ-ის უპირატესობების შენარჩუნებით.**

ტრამპის განკარგულება ორიენტირებულია აშშ-ის მონოპოლიური ლიდერობის დამყარებასა და დანარჩენი ქვეყნების გადაქცევაზე ამერიკული პროდუქციის მომხმარებლად.

ტრამპის განკარგულების გამოსვლიდან მეორე დღეს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ხელოვნური ინტელექტის საკუთარი სტრატეგია, რომელშიც აქცენტი გადაიტანა გაერთიანებულ ცენტრში (JAIC) ცოტა ხნის წინათ შექმნილ ხელოვნურ ინტელექტზე. 2019 წლის ცენტრის ბიუჯეტი 90 მლნ დოლარს შეადგენს. **ამერიკული მასმედიის ვარაუდით, აშშ-ში ხელოვნური ინტელექტის პროგრამების განვითარების ტემპების დაჩქარება გამოწვეულია იმით, რომ ჩინეთმა გადაუსწრო აშშ-ს ხელოვნური ინტელექტის დამუშავების სფეროში.**

ხშირად ახსენებენ **რუსეთსაც**, რომელიც მიილტვის უპირატესობის მოპოვებისკენ ამ სფეროში, თუმცა აშშ-ში აღნიშნავენ, რომ რუსეთი დასავლურ ტექნოლოგიებს იყენებს. ამ ორი დოკუმენტის (ტრამპის განკარგულება „ამერიკული ინიციატივა ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ და პენტაგონის სტრატეგია) გამოქვეყნების შემდეგ, 27 თებერვალს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„ინფორმაცია (უფრო სწორად, დეზინფორმაცია) სულ უფრო პოპულარული იარაღი ხდება ამერიკის სტრატეგიულ კონკურენტებს შორის“**, მკვიდრდება ცნება „საინფორმაციო ომის მიხედვით გაერთიანება“ და აღნიშნულია, რომ ამ გაერთიანების ყველა ელემენტმა, მათ შორის, მზვერავებმა, კავშირგაბმულობის სპეციალისტებმა, კრიპტოლოგებმა და კიბერომების სფეროს ინჟინრებმა უნდა იმოქმედონ არა ცალცალკე, არამედ, როგორც სრულიად ინტეგრირებულმა სტრუქტურამ.

ნატოშიც ალაპარაკდნენ კიბეროპერაციებზე ხარჯების მომატების აუცილებლობის შესახებ. ნატოს სარდლობის წინაშე საკითხი დაისვა 14 თებერვალს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში პენტაგონის შეფის ვიზიტის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის კიბერსარდლობა და ინოვაციებისა და უსაფრთხოების მერილენდის ინსტიტუტი ახორციელებენ ერთობლივ პროექტს სახელწოდებით DreamPost. ეს ინსტიტუტი წარმოადგენს ჰაბს (ქსელურ კვანძს — ნ.კ.), რომელშიც სხვადასხვა კომპანია გადის სატენდერო შერჩევას, მონაწილეობს კონკურსებში, წარმოადგენს თავისი პროდუქტების პროტოტიპებს რეალურ დროში. ცოტა ხნის წინათ გამართულ „ცუდი ბიჭების“ გამოსავლენ ონლაინთამაშში მონაწილეობდნენ ისეთი IT-ფირმები, როგორიც არის Booz Allen Hamilton, IBM, Crowdstrire, Spune, LogiscHub, Jazz Networks. სხვათა შორის Crowdstrire ცნობილია იმით, რომ ამ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ატლანტიკური საბჭოს წევრი და სსრკ-ის ყოფილი მოქალაქე **დიმიტრი ალპეროვიჩი** ამერიკული მედიისთვის, ფაქტობრივად, ერთადერთი წყაროა, რომელიც ჟურნალისტებს უყვება „რუს ჰაკერებსა და ჰიბრიდულ ომზე, რომელსაც კრემლი აწარმოებს მსოფლიოს წინააღმდეგ“.

ამერიკელების კიბერშეტევები, მოყოლილი ამბავი კი არა, რეალობაა. მაგალითად, **„ამერიკული კიბერჯარის შეტევა რუსული კიბერგამოძიების სააგენტოს წინააღმდეგ,** — წერდა „ვაშინგტონ პოსტი“, — **მტკიცებულებად იქცა აშშ-ის კიბერჩარევისა სხვა სახელმწიფოების საქმეებში“.** ასეთ ჩარევას წარმოადგენს, აგრეთვე, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოთან ერთად სპეციალური ჯგუფის შექმნა აშშ-ში არჩევნებზე რუსეთის გავლენის დასადგენად. ამ ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არაფერია.

ცოტა ხნის წინათ კი ამერიკულმა სამხედრო კოალიციამ, რომელიც შედგება 32 სამხედრო და ვეტერანების ორგანიზაციისგან და მილიონ წევრს აერთიანებს, მიმართვა გაგზავნა კონგრესსა და ფედერალურ სააგენტოებში და მათგან მოითხოვა, „დაედასტურებინათ, რომ ამერიკელ საზოგადოებას თავს ესხმიან უცხოელი მოწინააღმდეგეები“. სამხედრო კოალიცია მიმართვაში ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამერიკის დასაცავად.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

**«ამერიკელების კიბერშეტევები, მოყოლილი ამბავი კი არა, რეალობაა. ამერიკული კიბერჯარის შეტევა რუსული კიბერგამოძიების სააგენტოს წინააღმდეგ, — წერდა «ვაშინგტონ პოსტი», — მტკიცებულებად იქცა აშშ-ის კიბერჩარევისა სხვა სახელმწიფოების საქმეებში». ასეთ ჩარევას წარმოადგენს, აგრეთვე, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად სპეციალური ჯგუფის შექმნა აშშ-ში არჩევნებზე რუსეთის გავლენის დასადგენად. ამ ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არაფერია**



გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საახალწლო სუფრაზე გეორგიევსკის დარბაზში, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის მოლოტოვი თამადობდა, სტალინმა პირველი სადღეგრძელოს ნებართვა ითხოვა, შემდეგ კი სრულიად სერიოზულად წარმოთქვა მსოფლიო პროლეტარიატის დიადი ბელადის, ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, ხალხთა მამისა და მასწავლებლის, გენიოსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სადღეგრძელო და დასძინა: — მოდი, მეგობრებო, ეს იყოს ჩვენი დიდი ბელადის პირველი და ბოლო სადღეგრძელო ამ წელიწადში. სუფრის არც ერთმა წევრმა ტაში არ დაუკრა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სტალინს სიტყვა „ჩაუვარდა“.**

# სტალინი სტალინის წინააღმდეგ

**მოთმინებიდან გამოსულმა ვასილ სტალინის აღმზრდელმა შინ დაბრუნებულ სტალინს მიმართა: „ვასიას ველარ ვიმორჩილებ, შენიშვნაზე მიპასუხებს ხოლმე, მე სტალინი ვარ და შენ შენიშვნის უფლება არ გაქვსო“. მამამ შვილს აუღელვებლად უხმო და აღმზრდელს სთხოვა, გაემეორებინა ის სიტყვები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოახსენა. აღმზრდელმა ზუსტად გაიმეორა თავისი ნათქვამი.**



— ნუთუ მართლა ასე უთხარი შენს აღმზრდელს?! — საყვედურით მიმართა სტალინმა ვაჟს.

— დიახ, ასე ვუთხარი, — შვილი მამას არასდროს არაფერს უმალავდა.

— მართალი არ ხარ, — მკაცრად შენიშნა მამამ. — მოდი აქ, — მიმართა შვილს და კრემლის ბინის ფანჯრიდან წითელი მოედნის რომელიღაც კუთხეში თავისი უზარმაზარი პორტრეტი დაანახვა.

— აი ვინ არის სტალინი, შენ ხომ არ გგონია, რომ მე ვარ სტალინი, არა. მე არ ვარ სტალინი. სტალინი ის არის, — კვლავ გაახედა პორტრეტისკენ. ამას მოჰყვა საუბარი, რატომ არ არის თვითონ სტალინი და რატომ არის სტალინი ის, ვინც პორტრეტზეა გამოსახული.

კინორეჟისორი **მიხეილ ჭიაურელი** სტალინის კაბინეტში მაშინ შეუშვეს, როდესაც სტალინი ჟურნალ „ოგანიოკის“ უახლეს ნომერს ათვალიერებდა. მასპინძელს სტუმრისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ჩაფიქრებული დაჰყურებდა ჟურნალის ფერად გარეკანს, რომელზეც მთელი თავისი სიდიადით, მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული გენერალისიმუსი იყო გამოსახული. მცირეოდენი დუმილის შემდეგ სტალინმა მიხეილ ჭიაურელი თავის მაგიდასთან მიიწვია და ერთად დაიწყეს ჟურნალის გარეკანის დათვალიერება.

— მიშა! — მიმართა სტალინმა ჭიაურელს, — ხალხს სურს, აი ასეთი ბელადი ჰყავდეს, ეს განა ჩემი გამოსახულებაა, ხალხს ასეთად წარმოუდგენია გამარჯვებული ქვეყანა — საბჭოთა კავშირი.

კრემლში გამართულ ერთ-ერთ დარბაზობაზე მწერალი **ალექსეი ტოლსტოი** წამოდგა და ბელადის ძალიან გრძელი და ემოციური სადღეგრძელო წარმოთქვა. სტალინს ნერვიულობისგან თვალები გაუმწვანდა და ბოლთის ცემა დაიწყო. ბოლოს მივიდა მწერალთან და ყურში უთხრა:

— შენ თავსაც გაუფრთხილდი, გრაფ!

საახალწლო სუფრაზე გეორგიევსკის დარბაზში, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის **მოლოტოვი** თამადობდა, სტალინმა პირველი სადღეგრძელოს ნებართვა ითხოვა, შემდეგ კი სრულიად სერიოზულად წარმოთქვა მსოფლიო პროლეტარიატის **დიადი** ბელადის, ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, ხალხთა მამისა და მასწავლებლის, გენიოსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სადღეგრძელო და დასძინა: — მოდი, მეგობრებო, ეს იყოს ჩვენი დიდი ბელადის პირველი და ბოლო სადღეგრძელო ამ წელიწადში. სუფრის არც ერთმა წევრმა ტაში არ დაუკრა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სტალინს სიტყვა „ჩაუვარდა“.

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება სტალინის გაღიზიანებისა მისი განდიდების გამო, მას არ ხიბლავდა ქებადიდება. როდესაც კატეგორიულ უარს ამბობდა გენერალისიმუსის წოდებაზე, განაცხადა: **„რას მახარბებთ ამ მაღალ წოდებას, განა ჩან კაიშიც გენერალისიმუსი არ არის?“**

ერთ-ერთ საზეიმო სხდომაზე, რომელზეც გამომსვლელთა გადაჭარბებულმა ქებადიდებამ ძალიან შეაწუხა, სტალინმა დასკვნით სიტყვაში თქვა:

**„ამხანაგებო, უნდა გითხრათ, რომ იმ ქების ნახევარიც არ დამიმსახურებია, რომელიც ჩემი მისამართით დღეს აქ გაისმა. როგორც გაირკვა, ოქტომბრის გმირიც მე ვარ, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელიც, სამინისტროების წინამძღოლიცა და სასწაულმოქმედი გმირიც კი. ეს ყველაფერი სისულელეა, ამხანაგებო, და სრულიად არ არის საჭირო გადაჭარბება. ასეთი ტონით, ჩვეულებრივ, გარდაცვლილი რევოლუციონერის პატივსაცემად, დაკრძალვისას გამოსასალმებელ სიტყვას ამბობენ“.**

თუ ასე წუხდებოდა სტალინი თავისი ქება-დიდების მოსმენით, რატომ არ აკრძალა კანონის ძალით? ამ კითხვაზე პასუხი შეგვიძლია ამოვიკითხოთ ცნობილი გერმანელი მწერლის — **ლიონ ფოიხტვანგერისა** და **სტალინის** საუბარში, რომელიც 1937 წლის 8 იანვარს გაიმართა.

**ფოიხტვანგერი:** — სულ 4-5 კვირაა, რაც აქ ვიმყოფები. მოგახსენებთ ჩემს ერთ ერთი შთაბეჭდილებას: თქვენ მიმართ პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის რამდენიმე ფორმა ცოტა გადაჭარბებულად და უგემოვნოდ მეჩვენება. ხომ არ არის ეს თქვენთვის ზედმეტი ტვირთი?

**სტალინი:** — თუ რომელიმე მათგანს ზედმეტი აღფრთოვანება შევამჩნიე, დაბეჭდვას ვუკრძალავ. ათი ასეთი სიტყვიდან ცხრა მართლაც სრულიად უგემოვნოა და ისინი მე უსიამოვნებას განმაცდევინებს. გამართლებას არ ვცდილობ. ამის გამართლება არც შეიძლება. ადამიანურად მინდა აგიხსნათ, საიდან მოდის ჩემი პიროვნების მიმართ ასეთი ყოვლისმომცველი, უკვე მომაბეზრებელი აღფრთოვანება. როგორც ჩანს, ქვეყანაში ისეთი დიდი ამოცანა გადაწყდა, რომლის გულისთვისაც თაობები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ. ესენი იყვნენ ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი რევოლუციონერი სექტანტები, ბაბუვისტები და ჰებერისტები. ცხადია, ექსპლუატაციისგან გათავისუფლებამ ადამიანებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ადამიანები ძალიან ბედნიერები არიან, რომ ექსპლუატაციისგან გათავისუფლდნენ და არ იციან, ეს სიხარული სად წაიღონ. ექსპლუატაციისგან გათავისუფლება ძალიან დიდი საქმეა და მასები ამ მოვლენას თავისებურად აღნიშნავენ. ამ ყველაფერს მე მომაწერენ, რაც, რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რა შეუძლია ერთ ადამიანს? — ისინი ჩემში კოლექტიურ კონცეფციას ხედავენ და ჩემს გარშემო აღმაფრენის კოცონს აჩაღებენ.

**ფოიხტვანგერი:** — როგორც ადამიანი, რომელიც სსრკ-ს თანაუგრძნობს, ვხედავ და ვგრძნობ, რომ თქვენ მიმართ გამოვლენილი სიყვარული და პატივისცემა სრულიად გულწრფელი და ელემენტარულია. სწორედ იმიტომ, რომ ასე უყვარხართ და პატივს გცემენ, არ შეგიძლიათ, აღმაფრენის ამ ფორმით გამოხატვა ერთი სიტყვით შეაწყვეტინოთ?

**სტალინი:** — რამდენჯერმე ვცადე ამის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მათ ეუბნები, რომ ცუდია, ასე არ გამოდგება, ადამიანები კი ფიქრობენ, რომ ამას მოჩვენებითი მოკრძალებით ვეუბნები. ჩემი 55 წლის იუბილის საზეიმოდ აღნიშვნა უნდოდათ. ცეკას მეშვეობით ამის აკრძალვა მოვითხოვე. დაიწყო საჩივრების შემოსვლა, რომ მათ ზეიმის ჩატარებასა და გრძნობების გამოხატვას ვუკრძალავდი, რომ საქმე ჩემში არ იყო. სხვები ამბობდნენ, რომ წესს ვარღვევდი. როგორ უნდა ამეკრძალა აღფრთოვანების გამოვლენა? ამის გაკეთება ძალით არ შეიძლებოდა. არსებობის ნების გამოხატვის თავისუფლება. ამ დროს შეიძლება მეგობრულად სთხოვო. ეს უკულტურობის ერთგვარი გამოვლენაა. დროთა განმავლობაში მობეზრდებათ. რთულია, ადამიანს სიხარულის გამოვლენა აუკრძალო. გლეხებისა და მშრომელების მიმართ კაპიტალისტური მკაცრი ზომების გატარება საცოდაობაა. დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ადრე მემამულე და კაპიტალისტი დემიურგი იყო, მუშებსა და გლეხებს ადამიანებად არ თვლიდნენ. ახლა მშრომელებს კაბალა მოეხსნათ. ეს უდიდესი გამარჯვებაა! **მემამულეები და კაპიტალისტები გაძევებულნი არიან, მუშები და მშრომელები კი საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონები არიან. ამის გამო სიხარულს კუნტრუშით გამოხატავენ. ჩვენში ხალხი ზოგად კულტურას ჯერ კიდევ ჩამორჩება, ამიტომ აღტაცების გამოხატვა ასე გამოსდით. კანონითა და აკრძალვით აქ ვერაფერს გავხდებით. შეიძლება სასაცილო ვითარებაში აღმოვჩნდეთ. საზღვარგარეთ მყოფ ზოგიერთ ადამიანს ეს აღიზიანებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფერს გავაწყობთ. კულტურას მაშინვე ვერ ვეზიარებით.** ამ სფეროში ბევრს ვმუშაობთ. მაგალითად, 1935-დან 1936 წლამდე სხვადასხვა ქალაქში ორი ათასზე მეტი სკოლა ავაშენეთ. ყველანაირად ვცდილობთ კულტურის ამაღლებას, მაგრამ შედეგებს, ალბათ, 5-6 წლის შემდეგ მივიღებთ. კულტურული აღმავლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. აღტაცებები სწრაფად და ულამაზოდ ვითარდება.

**ფეიხტვანგერი:** — მე, მუშებისა და გლეხების მხრიდან გამოვლენილ სიყვარულსა და პატივისცემაზე კი არა, სხვა შემთხვევებზე ვსაუბრობ. სხვადასხვა ადგილას გამოფენილი თქვენი ბიუსტების უმეტესობა ულამაზოდ გამოიყურება, ზოგი ცუდი ნახელავია.

**სტალინი:** — მე ფართო მასები ვიგულისხმე და არა სხვადასხვა ბიუროკრატიული დაწესებულება. რაც შეეხება ბიუროკრატებს, არ შეიძლება ვთქვათ, რომ მათ გემოვნება არ აქვთ. ეშინიათ, თუ სტალინის ბიუსტი არ ექნებათ, მათ ან გაზეთი, ან უფროსი გალანძღავს, ან ვინმე მნახველს გაუკვირდება. ეს კარიერიზმის სფეროა. ბიუროკრატების თავისებური თავდაცვაა: ხელი რომ არ ახლონ, სტალინის ბიუსტი აუცილებლად უნდა გამოჭიმონ. ყველა პარტიას, რომელიც იმარჯვებს, მაშინვე ეტმასნებიან უცხო ელემენტები, კარიერისტები. ისინი ცდილობენ, თავიანთი თავი მიმიკრიის პრინციპით დაიცვან — დგამენ ბიუსტებს, წერენ ლოზუნგებს, რომლის შინაარსის თვითონაც არ სჯერათ. რაც შეეხება ცუდ ნამუშევარს, ეს მხოლოდ განზრახ კი არ ხდება (ვიცი, ასეც ხდება ხოლმე), არამედ არჩევანის გაკეთების არცოდნის გამოც. მაგალითად, პირველი მაისის დემონსტრაციებზე მინახავს ჩემი და ჩემი მეგობრების პორტრეტები, რომლებზეც ეშმაკებს ვგავართ. ადამიანებს ისინი აღმაფრენით მოაქვთ და არ ესმით, რომ ეს პორტრეტები არ ვარგა. არ შეიძლება, კარგი ბიუსტების ჩამოსხმის ბრძანება გასცე. ეშმაკმაც წაიღოს! ასეთი რაღაცებისთვის დრო არ გვაქვს. ჩვენ სხვა საქმე და საზრუნავი გვაქვს“.

ასე რომ, „კულტის“ წარმოშობას ორი წყარო ჰქონდა: პირველ რიგში, ახალი მთავრობის მიმართ გამოვლენილი მადლიერების გულწრფელი განცდა, რომელიც მოსახლეობის ფართო მასების მხრიდან სტალინის პიროვნებასთან იყო პერსონიფიცირებული. მასთან ბრძოლა ძალიან რთულია. თვალსაჩინო მაგალითისთვის ასეთ რამეს შემოგთავაზებთ: საკუთარ დაბადების დღეზე სცადეთ და თქვენი მისამართით წარმოთქმული მეგობრული ქება-დიდება ჩაახშეთ. ეს რბილად და დელიკატურადაც რომ სთხოვოთ, მაინც არაფერი გამოგივათ. თუ დაჟინებით და მკაცრად მოითხოვთ, მეგობრებთან კამათის სერიოზულ საფრთხეს შექმნით.

როგორც უნდა ყოფილიყო, სტალინი თავისი კულტის წინააღმდეგ ბრძოლას ყველა ძალებით ცდილობდა. 1930-იან წლებში, კერძო წერილებსა და მითითებებში, მხატვრული ლიტერატურის, კინოსცენარისტთა და რედაქტორთა პარტიული პუბლიცისტიკის ცენზორის რანგში, არაერთგზის ურჩევდა, რომ სიტყვა „ბელადი“ შეეცვალათ ▶

**სტალინი თავისი კულტის წინააღმდეგ ბრძოლას ყველა ძალებით ცდილობდა. 1930-იან წლებში, კერძო წერილებსა და მითითებებში, მხატვრული ლიტერატურის, კინოსცენარისტთა და რედაქტორთა პარტიული პუბლიცისტიკის ცენზორის რანგში, არაერთგზის ურჩევდა, რომ სიტყვა «ბელადი» შეეცვალათ «ცენტრალური კომიტეტით», ანუ «კოლექტიური ბელადის» მეტაფორით**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფოიტვანგერთან საუბარში სტალინმა თქვა, რომ თავისი 55 წლის იუბილის აღნიშვნა აკრძალა. ეს ასეც იყო. ძველი ბოლშევიკების კავშირის წერილს, რომელშიც ამ იუბილის პროპაგანდისტულ კამპანიად გამოყენებაზე იყო საუბარი, სტალინმა დაადო რეზოლუცია: „წინააღმდეგი ვარ, რადგან მსგავსი წამოწყებები „პიროვნების კულტის“ გაძლიერებას უწყობს ხელს“.**

**გადაჭრით ვამბობ უარს, რომ დაიბეჭდოს «მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე». წიგნი სავსეა როგორც არასწორი მასალით, ისე გადაჭარბებული და დაუმსახურებელი ქება-დიდებით. შეიძლება ეს ყველაფერი კეთილსინდისიერი ტყუილია, მაგრამ ავტორი მოტყუვდა, ფაქტი ფაქტად რჩება. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ წიგნს აქვს ტენდენცია, საბჭოთა ბავშვების (და, საერთოდ, ადამიანების) ცნობიერებაში პიროვნების, ბელადებისა და უცოდველი გმირების კულტი ჩამოაყალიბოს. ეს საშიში და საზიანოა. გმირებისა და ბრბოს თეორია არა ბოლშევიკური, არამედ ესერული თეორიაა**

◀ „ცენტრალური კომიტეტით“, ანუ „კოლექტიური ბელადის“ მეტაფორით.

მაგალითად, ახალგაზრდა დრამატურგის, **ალექსანდრე აფინოგენოვის** პიესაში „ტყუილი“ (1933წ.) ორ გმირს შორის ასეთი დიალოგი იყო: **„ჩვენი ცენტრალური კომიტეტის შესახებ გელაპარაკები... ბელადზე გელაპარაკები, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის, რომელმაც ბევრ ცრუ ბელადს ნიღაბი ჩამოხსნა. იმ ადამიანზე გელაპარაკები, რომლის ძალაც გრანიტის სიმტკიცის ტოლფასია და ასობით მილიონი ადამიანის ნდობით არის განმტკიცებული. მისი სახელი მსოფლიოს ყველა ენაზე ბოლშევიკური ციხესიმაგრის სიმბოლოდ ისმის. და ეს ბელადი უძლეველია“.**

როცა ეს პიესა სტალინთან აღმოჩნდა, ტექსტში შესწორებები შეიტანა და საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა: **„ჩვენი ცენტრალური კომიტეტის შესახებ გეუბნები, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის, რომელმაც ბევრ ცრუ ლიდერს ნიღაბი ჩამოხსნა. რომლებსაც უსაზღვრო შესაძლებლობები ჰქონდათ და ყველა გაკოტრდა. საბჭოთა ქვეყნის პარტიის იმ ცენტრალური კომიტეტის კომუნისტებზე გესაუბრები, რომლის ძალაც მილიონობით ადამიანის ნდობის საფუძველზე გრანიტივით არის განმტკიცებული. მისი სახელი მსოფლიოს ყველა ენაზე ბოლშევიკური ციხესიმაგრის სიმბოლოდ ისმის და ეს კოლექტიური ბელადი უძლეველია“.** შესწორებას თან კომენტარი ახლდა:

**„P.S. სიტყვა „ბელადს“ ტყუილად უწევთ ტირაჟირებას. ეს ცუდია და არც ისე მისაღები. საქმე, ბელადში კი არა, კოლექტიურ ხელმძღვანელშია. ი. სტალინი“.**

1936 წელს **სერგო ორჯონიკიძის** შესახებ ბიოგრაფიული შტრიხები დაიბეჭდა, რომელიც **მამია ორახელაშვილის** მიერ იყო შედგენილი. სტალინმა წიგნი წაიკითხა და თითქმის ყველა გვერდზე შენიშვნა დატოვა:

„პროლეტარული რევოლუციის ამ მძიმე პერიოდში, როცა ბევრს შეეშინდა, როდესაც ისინი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, ცეკას ხელმძღვანელის თანამდებობაზე მყარად რჩებოდა ამხანაგი სტალინი. ამხანაგი ორჯონიკიძეც მის გვერდით იყო და ლენინური ლოზუნგებისთვის ენერგიულ და წარმოუდგენელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა“.

მოცემული ციტატა სტალინის მიერ ხაზგასმულია და მინდორზე წითელი ფანქრით აქვს მიწერილი: **„ცეკა? პარტია?“**

სხვა ადგილას საუბარი იყო 1917 წლის მე-6 ყრილობასა და იმაზე, როგორ იმალებოდა ლენინი: „დღის წესრიგში მდგარი საკითხებისთვის საჭირო მითითებებს იძლეოდა. ლენინის დირექტივების მისაღებად ორჯონიკიძე სტალინის დავალებით ლენინთან ორჯერ გაემგზავრა“.

სტალინის შენიშვნა: **„ცეკა სად არის?“**

1937 წლის 27 იანვარს ფილმ „დიადი მოქალაქის“ სცენარის წაკითხვის შემდეგ სტალინმა საბჭოთა კინემატოგრაფის




ხელმძღვანელ **ბორის შუმიაცკის** გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბევრ კრიტიკულ შენიშვნასთან ერთად ეწერა: „სტალინის სახელის ხსენება უნდა გამოირიცხოს. მის ნაცვლად უნდა ჩაისვას პარტიის ცეკა“.

ფოიტვანგერთან ზემომოყვანილ საუბარში სტალინმა თქვა, რომ თავისი 55 წლის იუბილის აღნიშვნა აკრძალა. ეს ასეც იყო. ძველი ბოლშევიკების კავშირის წერილს, რომელშიც ამ იუბილის პროპაგანდისტულ კამპანიად გამოყენებაზე იყო საუბარი, სტალინმა დაადო რეზოლუცია: **„წინააღმდეგი ვარ, რადგან მსგავსი წამოწყებები „პიროვნების კულტის“ გაძლიერებას უწყობს ხელს“.**

1934 წლის 19 დეკემბერს პოლიტბიურომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: **„პატივი ვცეთ სტალინის თხოვნას იმის შესახებ, რომ 21 დეკემბერს მისი დაბადების 55 წლისთავის აღსანიშნავად არ დავუშვათ არანაირი ზეიმი და ღონისძიება გაზეთებსა და საზოგადოების შეკრების ადგილებში“.** ეს გადაწყვეტილება თბილისშიც გამოიგზავნა, დაიბეჭდა „პრავდაში,“ „იზვესტიასა“ და სხვა გაზეთებში.

1937-1938 წლებში არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, მოსკოვისთვის სახელი შეეცვალათ და მისთვის სტალინოდარი დაერქმიათ. ასეთი წინადადებება 1937 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობაზეც გაისმა.

ნაწყვეტი **დ.ზაიცევის** წერილიდან, რომელიც სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრ **ნიკოლაი ეჟოვს** მისწერა 1937 წლის 28 დეკემბერს:

„დღევანდელი სოციალისტური მოსკოვი, რომელიც მომავალი კომუნისტური საზოგადოების აკვანია, სტალინის დიდებული ეპოქის ისტორიული ნაკვალევი უნდა გახდეს... სტალინის გენია კაცობრიობისთვის ის საჩუქარია, რომელიც მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასავლელი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქცევა. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, როგორც ჩვენი ეპოქის, ისე მომავალი საუკუნეების დედამიწის მოსახლეობა დიდი მადლიერებით მიიღებს მოსკოვისთვის სახელის შეცვლას და მისთვის სტალინოდარის დარქმევას. სტალინოდარი ამაყად და საზეიმოდ გაიჟღერებს მრავალი ათასწლეულის განმავლობაში, დღევანდელი თაობის გმირული გამარჯვებების სიამაყეს საუკუნეების განმავლობაში შეინახავს და კომუნიზმის ერთგული მილიონობით ადამიანი ამ ზეიმში თავისი ბრძოლისა და შრომის შედეგს დაინახავს. ჩვენი სამშობლოს თითოეული მოქალაქე კი იმით იამაყებს, რომ სტალინის დიადი სახელი ყველა იმ ქალაქის დაფებზე იარსებებს, რომლებშიც კი მსოფლიო კომუნიზმის აკვანი დარწეულა“.

მსგავსი მიმართვების საფუძველზე ეჟოვის რეფერენტებმა მოსკოვისთვის სახელის შეცვლის თაობაზე მოამზადეს პროექტი უმაღლეს საბჭოში წარსადგენად. თავდაპირველად ის ცეკას პოლიტბიუროსა და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაგზავნეს. იოსებ სტალინი მათ ნებას არ დაჰყვა. **მიხეილ კალინინმა** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეატყობინა, რომ სტალინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მოსკოვი მოსკოვად დარჩა.

**„თავის დროზე ჟიუტად მთავაზობდნენ მოსკოვისთვის სტალინოდარის დარქმევას! მე წინააღმდეგი ვიყავი. კაგანოვიჩი მთავაზობდა. ასე ამბობდა: მხოლოდ ლენინიზმი არ არსებობს, სტალინიზმიც არსებობს!“** „სტალინს ძალიან ეუხერხულებოდა“, — იხსენებდა **ვიაჩესლავ მოლოტოვი** მწერალ **ფელიქს ჩუევთან** საუბარში 1970 წელს.

სოციალისტური ბულგარეთის მომავალი ხელმძღვანელის, **გიორგი დიმიტროვის,** დღიურში არსებობს ჩანაწერი **კლიმენტ ვოროშილოვის** კრემლის ბინაში ოქტომბრის სოციალსტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ვახშმის შესახებ. დიმიტროვმა სადღეგრძელოს სათქმელად სიტყვა ითხოვა, რათა სტალინზე, როგორც ლენინის საქმეების გამგრძელებელზე თავისი აზრი განევრცო:

**„დიმიტროვი:** — არ შეიძლება ლენინზე საუბარი, თუ მასთან ერთად სტალინსაც არ ვახსენებთ.

**სტალინი:** — დიმიტროვს პატივს ვცემ. მეგობრები ვართ და მეგობრებად დავრჩებით, მაგრამ მას არ ვეთანხმები. მარქსისტულადაც კი არ გამოუვიდა. გამარჯვებისთვის შესაბამისი პირობებია საჭირო, ბელადები კი ყოველთვის მოიძებნებიან“.

1938 წლის 16 თებერვალს კი სტალინმა საბავშვო გამომცემლობას შემდეგი წერილი მისწერა:

„ამხანაგებს: **ანდრეევსა** და **სმირნოვას** (ავტორს წიგნისა „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“)!

**გადაჭრით ვამბობ უარს, რომ დაიბეჭდოს „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“. წიგნი სავსეა როგორც არასწორი მასალით, ისე გადაჭარბებული და დაუმსახურებელი ქება-დიდებით. შეიძლება ეს ყველაფერი კეთილსინდისიერი ტყუილია, მაგრამ ავტორი მოტყუვდა, ფაქტი ფაქტად რჩება. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ წიგნს აქვს ტენდენცია, საბჭოთა ბავშვების (და, საერთოდ, ადამიანების) ცნობიერებაში პიროვნების, ბელადებისა და უცოდველი გმირების კულტი ჩამოაყალიბოს. ეს საშიში და საზიანოა. გმირებისა და ბრბოს თეორია არა ბოლშევიკური, არამედ ესერული თეორიაა. გმირი ხალხს ქმნის, ბრბოდან ხალხი გამოჰყავს, — ამბობენ ესერები. ხალხი ქმნის გმირებს, — პასუხობენ ბოლშევიკები ესერებს. ასე რომ, წიგნი ესერების წისქვილზე ასხამს წყალს. ყოველი ასეთი წიგნი ესერების საქმეს ემსახურება და ჩვენს ბოლშევიკურ საერთო საქმეს ყოველთვის საფრთხეს შეუქმნის. გირჩევთ, წიგნი დაწვათ“.**

კიდევ ერთი ჩანაწერი დიმიტროვის დღიურიდან, რომელიც 1939 წლის საპირველმაისო მიმართვას ეხება. სტალინის შეკითხვას, წაიკითხა თუ არა დიმიტროვმა მიმართვა, მან უპასუხა, რომ ბოლო რედაქციის შემდეგ არ წაუკითხავს. სტალინმა სთხოვა, ყურადღება მიექცია ზოგიერთი ნაწყვეტისთვის, რომლებშიც მისი პიროვნების ბევრი ქება იყო (გაუმარჯოს სტალინს! სტალინი მშვიდობაა! სტალინი კომუნიზმია! სტალინი ჩვენი გამარჯვებაა!) და განუცხადა: **„მანუილსკი ქვეშქვეშაა! ის ტროცკისტი იყო! ჩვენ ის იმისთვის გავაკრიტიკეთ, რომ, როცა პარტიაში ტროცკისტი ბანდიტების მოსაშორებლად წმენდა მიმდინარეობდა, ჩუმად იყო, სიტყვითაც არ გამოსულა, პირიქით, თავს გვაწონებდა. ეს ამბავი რაღაც საეჭვოა! „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატია „სტალინი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა“ ზიანის მომტანი და პროვოკაციული სტატიაა“.**

„იოსებ ბესარიონოვიჩი, — წერდა დიმიტროვი, — არ დაგვეთანხმდა, მიმართვაში დაგვეტოვებინა სახელები მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი და მხოლოდ მარქსი-ენგელსი-ლენინი დაგვატოვებინა“. კიდევ უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ვინც კი სტალინს შეხვედრია, თითქმის ყველა ავტორი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ სტალინი თავისი პიროვნების განდიდებისკენ არასოდეს ისწრაფვოდა.

**(გაგრძელება იქნება)**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

უცხოეთი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარდაქმნის პროცესში, პირველ რიგში, გადასადგმელად ექვსი ნაბიჯია განცხადებული: ეროვნული საბანკო სისტემების სტატუსი ქვეითდება. მათ ანგარიშებზე არსებული ეროვნული სუვერენული ვალების წილი მცირდება (ეს — როგორც თაფლაკვერი). ისინი (ვალები) ევროპის სავალუტო ფონდში გადავა. ამას კი თან სდევს ფინანსური დისციპლინის დარღვევისთვისა და ჯარიმებისთვის განსაზღვრული „გერმანული მათრახი“. ახალი სტრუქტურის მიხედვით განსაკუთრებული სიმკაცრით აღიკვეთება ეროვნული მაშ-ების დონეებზე გადამეტებული სახელმწიფო ხარჯების ზრდა.**

# საფრანგეთმა და გერმანიამ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს «ორსიჩქარიანი ევროპის» შესაქმნელად

**2019 წლის თებერვალში გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრმა პეტერ ალტმაიერმა და საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ბრუნო ლე მერმა გამოაქვეყნეს ევროკავშირში მსხვილი კორპორაციების შექმნის გეგმა. შედეგს წარმოგვიდგენენ როგორც XXI საუკუნის საერთო სამრეწველო სტრატეგიის რეალიზაციის მნიშვნელოვან ეტაპს. პრაქტიკული შედეგის თვალსაჩინო მაგალითად ელექტრომობილებისთვის აკუმულატორული ბატარეების წარმოების ფრანგულ-გერმანული ერთობლივი მსხვილი საწარმოს შექმნას ასახელებენ. პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო 1,7 მილიარდი ევროს საერთო რაოდენობის ნაწილს — ერთ მილიარდ ევროს გაიღებს გერმანია, 700 მილიონს — საფრანგეთი.**

## პარიზმა და ბერლინმა ბრიუსელის წინააღმდეგ ამბოხი დაიწყეს



ერთი შეხედვით, თემა წმინდა ლოკალური სამეურნეო ხასიათისაა. ორი ქვეყნის პოლიტიკოსებმა ეს ბანალური სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო შეთანხმება, როგორიც ყოველწლიურად, რბილად რომ ვთქვათ, საქონლის ყიდვა-გაყიდვის მსგავსად უამრავი ფორმდება, საჯარო განხილვისთვის გამოიტანეს. მაგრამ სინამდვილეში მოწმენი გავხდით სერიოზული სტრატეგიული სისტემური ცვლილების, რომელიც, უთუოდ განსაზღვრავს ევროკავშირის, როგორც ევროპის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური საერთაშორისო სისტემის მოდერნიზაციის მოვლენების შემდგომ განვითარებას.

უფრო მეტიც, თავისი არსით იგი არის ბერლინისა და პარიზის ამბოხი დღევანდელი ბრიუსელისა და აშშ-ის წინააღმდეგ. ორიოდ კვირის წინათ, 13 თებერვალს, ევროკომისიამ დაბლოკა გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი კონცერნ Siemens-ის და ფრანგული მანქანათმშენებლობის გიგანტ Alstom-ის შერწყმის პროექტი. ევროკომისიის მოხელეთა აზრით, ევროპულ ბაზარზე აბსოლუტურად დომინირებულმა მონსტრმა შეიძლება დაარღვიოს თავისუფალი კონკურენციის პრინციპები. მაგრამ ევროკავშირის ორი წამყვანი ეკონომიკის მთავრობები არ დაეთანხმნენ საკითხის ამგვარად დაყენებას და ოპერატიულად შეიმუშავეს საკუთარი წესები, რომლებიც გვერდს უვლის ევროკავშირის უფლებამოსილებას.

ევროპის მეგაკორპორაციების შექმნის იდეა ახალი არ არის. პირდაპირ რომ ვთქვათ, იგი არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს. ასეთად უკვე აღიარებულია მაგალითად „ევროპული“ Airbus (წლიური ბრუნვა 66 მილიარდი ევრო, სუფთა მოგება 2017 წელს — 2,87 მილიარდი, სუფთა აქტივები — 111,13 მილიარდი ევრო, თანამშრომელთა რაოდენობა — 129,5 ათასი ადამიანი), მსოფლიოს ორი უდიდეს ავიამშენებელ კომპანიათაგან ერთ-ერთი. ფორმალურად მისი შტაბბინა საფრანგეთში, ტულუზაშია დისლოცირებული, ფაქტობრივად კი, მოიცავს არა მხოლოდ ევროპული, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის საქმიანობას. შეგვიძლია აგრეთვე გავიხსენოთ British Petroleum და Royal Dutch Shell (მსოფლიოში მერვე და მეათე პოზიციების მქონე კორპორაციები), რომლებიც ნავთობის მოპოვებით და გადამუშავებით არის დაკავებული, GlaxoSsrnith-Klime PLC (ბრიტანეთი, ფარმაცევტიკა, მე-19 პეოზიცია), Total (საფრანგეთი, ნავთობის გადამუშავება, 25-ე პოზიცია), Nokia (ფინეთი, 34-ე პოზიცია) და სხვა კორპორაციები ზემოთ დასახელებული Siemens-ისა და Alstom-ის ჩათვლით.

სხვა საკითხია, რომ ყველა მათგანი თავისთავად, მოქმედი ეროვნული იურიდიული მოდელების ჩარჩოებში ჩამოყალიბდა, არსებობდნენ და არსებობენ მრავალთავიანი გველეშაპების სახით და სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებულ ნორმებს ემორჩილებიან. საფრანგეთ-გერმანიის ახლანდელი ინიციატივა გულისხმობს არა მხოლოდ კიდევ ერთი მეგაკორპორაციის შექმნას, არამედ ლაპარაკია ორი ქვეყნის მთავრობების ოფიციალურ საჯარო შეთანხმებაზე, ეროვნული უნიფიცირებული მართლმსაჯულების შექმნაზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების მიზნით.




სწორედ ასეთად იყო ჩაფიქრებული ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება იმთავითვე — 1952 წლიდან. პირველ ეტაპზე განზრახული ჰქონდა ერთიანი იურიდიული საძირკველის შექმნა. მათ საფუძველზე აღმოცენდებოდა მმართველობის ზესახელმწიფოებრივი ორგანოები, რომლებიც იკისრებდნენ ეროვნული მთავრობების ფუნქციებს, რასაც მოჰყვებოდა მათი (მთავრობების) დათხოვნა უსარგებლობის საბაბით. ავტორებს განზრახული ჰქონდათ ამ გზით გაერთიანების მონაწილეთა ერთიან უნიტარულ სახელმწიფოდ შერწყმა ერთიანი კანონებით, საერთო მმართველობითი და ძალოვანი სტრუქტურებით, ერთიანი ფულით, არმიითა და სხვა დანარჩენით.

მაგრამ ლონდონმა და ვაშინგტონმა ამაში მათ წინააღმდეგ მიმართული სერიოზული სტრატეგიული საშიშროება დაინახეს და ამიტომაც ძალა არ დაიშურეს ფრანგულ-გერმანული ინიციატივის დასაბლოკად და მისი (ინიციატივის) იმ ჩიხურ კოლმეურნეობად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად, როგორადაც ევროკავშირი დღეს არის ჩამოყალიბებული. ფორმალურად იგი არსებობს როგორც კავშირი საერთო კანონებით და ეკონომიკით, მაგრამ, ამავე დროს, ევროპარლამენტარები საკუთარი თავის გარდა, არავის წარმოადგენენ, ხოლო ევროკავშირის საერთო კანონებს ეროვნული მთავრობები არ იცავენ.

სანამ დასავლეთი თუნდაც მოჩვენებით ერთიანობას ინარჩუნებდა და გააჩნდა საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელების სივრცე, ასეთი ვითარება სტაბილური იყო, თუმცა პოლიტიკური და ფინანსური პრობლემების გაზრდის წყაროდ რჩებოდა, განსაკუთრებით, იმ პრობლემებისა, რომლებიც აღმოსავლეთით დაჩქარებული გაფართოების სულისკვეთების ორმა მცდელობამ წარმოშვა.

დღეს მსოფლიო შეიცვალა. ევროკავშირის სტრუქტურას გარემო პირობების მიმართ ადეკვატურობა დაეკარგა, აშშ და ევროპა ერთმანეთის მეგობრები აღარ არიან, არც პარტნიორები, უფრო კონკურენტები ეთქმით. ამასთან, აშშ-ს მეტროპოლიის პრეტენზია დარჩა და ცდილობს კოლონიური რენტის გამოძალვას. ეკონომიკაში ბევრი რამ გაუგებარია. ფორმალურად არსებობს მსხვილი კორპორაციები, მაგრამ ვის ეკუთვნის და ვის ინტერესებს ითვალისწინებენ, ეშმაკმა უწყის. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ირანიდან Total-ის იძულებით წასვლის ფაქტით და რიგი სხვა, არანაკლებ ოდიოზური მოვლენით.

დღევანდელი ბრიუსელის შენარჩუნების პროცესს წერტილი Brexit-მა დაუსვა, რომელმაც აიძულა დიდი ბრიტანეთის მომსახურე „ევროპული“ კაპიტალი, დაფიქრებულიყო საკითხზე „ვისი გორისა იყო“. ბოლო თვეების განმავლობაში მისი გადაადგილების მიმართულებისა და მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ფულმა თავისი არჩევანი კონტინენტზე შეაჩერა.

მაგრამ სწორედ ამან გაამწვავა სისტემური პრობლემა. ევროკავშირი, როგორც ოფიციალური იურიდიული პირი, არსებობს, მაგრამ გეოპოლიტიკური სუბიექტურობა აშკარად არ გააჩნია. უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ გაუგებარია პასუხი შეკითხვაზე — ევროპაში ვის ეკუთვნის კორპორაციები? ევროპისაა, მაგალითად, ქიმიური კონცერნი BASF, რომელსაც გერმანიის ლუდვიგსხაფენში მხოლოდ შტაბბინა აქვს, ხოლო მოგების 40 პროცენტზე მეტი აშშ-ს მიაქვს და საწარმოო სიმძლავრეების ნახევარზე მეტი ამერიკაშია?

ამრიგად, 19 თებერვალს გამოქვეყნებული საფრანგეთ-გერმანიის რეფორმების გეგმა, ფაქტობრივად, არის ევროკავშირის მოდერნიზაციის იმ სიღრმისეული პროცესის დასაწყისი, რომლის შესახებაც ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამდენს ლაპარაკობდნენ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. არსებითად ეს უკვე არის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იმ „ორსიჩქარიანი ევროპის“ შესაქმნელად, რომლის შესახებაც ანგელა მერკელმა განაცხადა. იგი (ეს გეგმა) თავის თავში აერთიანებს რისკების განაწილების პრინციპებზე ფრანგულ თვალსაზრისს და ფინანსური დისცილინის დაცვის მიმართ გერმანულ მიდგომას.

და — ყველაზე მთავარი — **დღევანდელი ევროპის სტაბილიზაციის თანამედროვე მექანიზმი, რომელიც ევროკავშირის ცენტრალურ ბანკად ოფიციალურად იწოდება, გარდაიქმნება სრულმასშტაბიან ევროპულ სავალუტო ფონდად.**

გარდაქმნის პროცესში, პირველ რიგში, გადასადგმელად ექვსი ნაბიჯია განცხადებული: ეროვნული საბანკო სისტემების სტატუსი ქვეითდება. მათ ანგარიშებზე არსებული ეროვნული სუვერენული ვალების წილი მცირდება (ეს — როგორც თაფლაკვერი). ▶

**19 თებერვალს გამოქვეყნებული საფრანგეთ-გერმანიის რეფორმების გეგმა, ფაქტობრივად, არის ევროკავშირის მოდერნიზაციის იმ სიღრმისეული პროცესის დასაწყისი, რომლის შესახებაც ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამდენს ლაპარაკობდნენ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. არსებითად ეს უკვე არის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იმ «ორსიჩქარიანი ევროპის» შესაქმნელად, რომლის შესახებაც ანგელა მერკელმა განაცხადა. იგი (ეს გეგმა) თავის თავში აერთიანებს რისკების განაწილების პრინციპებზე ფრანგულ თვალსაზრისს და ფინანსური დისცილინის დაცვის მიმართ გერმანულ მიდგომას**

შეღავათიანი პირობების მისაღებად პოლონელებმა ოფიციალურად უნდა აღიარონ, რომ მათი საგარეო პოლიტიკა სრულად არის დამოკიდებული ვაშინგტონზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის ელჩი პოლონეთში გახდება გენერალ-გუბერნატორი, რომელიც აღჭურვილი იქნება სრული უფლებით, ჩაერიოს ყველაფერში, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ამერიკის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს არ ნიშნავს, რომ დაცული იქნება ვარშავისთვის მნიშვნელოვანი საკითხები: თავდასხმისგან დაცვა — კი, თავდასხმაში დახმარება — არა.

უცხოეთი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ისინი (ვალები) ევროპის სავალუტო ფონდში გადავა. ამას კი თან სდევს ფინანსური დისციპლინის დარღვევისთვისა და ჯარიმებისთვის განსაზღვრული „გერმანული მათრახი". ახალი სტრუქტურის მიხედვით განსაკუთრებული სიმკაცრით აღიკვეთება ეროვნული მპშ-ების დონეებზე გადამეტებული სახელმწიფო ხარჯების ზრდა.

ე.ი. ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე ცხოვრება არავის გამოუვა. ყველა ვალი, საბერძნეთის გამოცდილების გათვალისწინებით, რესტრუქტურიზებული იქნება.

ევროპის სავალუტო ფონდს ექნება სტაბილიზაციის საკუთარი ფონდი მომავალში შესაძლო კრიზისების კუპირებისთვის. ყველა არსებული საფინანსო აქტივი მათივე უსაფრთხოების დასაცავად გაივლის მკაცრ აუდიტს. დაბოლოს, განხორციელდება ევროზონის იურიდიული მონიტორინგის ინსტიტუტების სრული რეფორმირება, მათი, როგორც კავშირის საერთო მადისციპლინებელი მექანიზმის, ეფექტიანობის ასამაღლებლად.

წარმატების შემთხვევაში, რისი იმედიც პარიზსა და ბერლინს აქვს და რისი საკმაოდ დიდი დადებითი შანსიც არსებობს, ახალი გაერთიანება მართლაც გახდება ევროკავშირის სრულიად ახალ წესებზე აწყობის საფუძველი. სავარაუდოა, სწორედ იმ „ორსიჩქარიანი ევროპის" ჩარჩოებში, ანუ ერთიანი სახელმწიფოს ბირთვის შიგნით და ყველა სხვა გარეშე ქვეყანასთან ერთად, რომლებიც მასთან დადებენ ყოვლისმომცველ პარტნიორულ შეთანხმებებს. ამის შედეგი როგორიც გინდა იყოს, ერთი რამ დღესვე გასაგებია: **დღევანდელი ევროკავშირის „თავისუფლების" და ბრიუსელის ბარდაკის დღეები ამოწურულია.**

სხვა საკითხია, რომ ფრანგულ-გერმანული წარმატება გარანტირებული არ არის. მინიმუმ — არსებითად ემუქრება XXI საუკუნის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში აშშ-ის დომინირების შენარჩუნების პერსპექტქიულ გეგმებს. ამას გარდა, პარტნიორული ურთიერთობის მოსალოდნელი პირობები, საეჭვოა, სიხარულით მიიღონ ქვეყნების მმართველმა ელიტებმა, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთევროპულმა ლიმიტროფამებმა, რომლებიც „მეორე სიჩქარის" კატეგორიაში მოხვდნენ.

როგორც მინიმუმი, მათ ხელიდან ეცლება შემოსავლები ევროკავშირის ცენტრალური ფონდებიდან, რომლებითაც ივსება მათი ბიუჯეტების მნიშვნელოვანი ნაწილი. საკუთარი ნებით ვინ იტყვის უარს ასეთ ფულზე? ამას გარდა, ფინანსური დისციპლინის ახალი „გერმანული" წესები ლიმიტროფამების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთევროპელების წინაშე წამოჭრის საკუთარ მოსახლეობასთან სოციალური ხელშეკრულების შინაარსისა და მოცულობის გადახედვის საკითხს.

უკვე მხოლოდ ეს ორი ფაქტორი განაპირობებს ამოქმედებული ინიციატივის მიმართ სერიოზულ წინააღმდეგობას. მოგვიანებით სხვა ბევრიც იჩენს თავს. პრობლემები წამოიჭრება ლონდონთან და ვარშავასთან ურთიერთობის დროსაც, როცა ისინი საკუთარი თავკერძი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხელიდან არ გაუშვებენ „სახალხო აფშფოთების" მუხტს, ხალხის ნების გამოვლენის მნიშვნელობის და მიმართულების განსხვავებულობის მიუხედავად.

ნებისმიერ შემთხვევაში ორი „ეკონომიკური" მინისტრის პრესკონფერენცია ეპოქალური მნიშვნელობისა იყო და აამოქმედა ურთულესი ინტრიგა მინიმუმ ერთი წლით, რომელმაც უნდა განსაზღვროს, როგორც შიდაევროპული პოლიტიკა, ასევე გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება ევროკავშირის მონაწილეობით.

ერთადერთი, რისი კონსტანტირებაც ახლა შეიძლება არის ის, რომ ფრანგულ-გერმანული წარმატება ჩვენთვის მომგებიანი იქნება, რადგან ევროპას გაცილებით უფრო სტაბილურს, ადვილად ამოსაცნობსა და რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილ პარტნიორად გარდაქმნის. თუნდაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური, უფრო მეტად კი გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრის გამო. როგორ განვითარდება მოვლენები, დრო გვიჩვენებს. მთავარია, რომ ყინული დაიძრა, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, ყინული დაიძრა!

**ალექსანდრე ზაპოლსკისი**




# როდის წარუდგენს ვაშინგტონი ბერლინს ჰამბურგის ანგარიშს?

**ახლახან „ბლუმბერგმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონს გადაწყვეტილი აქვს, აიძულოს ქვეყნები, რომლებშიც ამერიკელი სამხედროები არიან განლაგებულნი, ჯიბეზე ხელი გაიკრან, ხარჯი გაიღონ ფორმულით „ფასი პლუს 50", რომელიც ნიშნავს სამხედრო კონტინგენტის ადგილზე ყოფნის ღირებულების სრულად გადახდას და კიდევ 50 პროცენტის დამატებას. ზოგიერთი სახელმწიფოსთვის ეს ნიშნავს, რომ მათ დღევანდელზე ხუთი-ექვსჯერ მეტი ხარჯი უნდა გაიღონ.**



სააგენტოს ანონიმმა წყაროებმა დააზუსტეს, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია დიფერენციულად მიდგომის საკითხსაც განიხილავს. კერძოდ: პენტაგონში მოხელეებს დაავალეს, შეადგინონ „ორი ფორმულა: პირველით განსაზღვრონ, რა თანხა უნდა გადაიხადონ ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა გერმანია; მეორეთი — იმ ქვეყნების გადასახადი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ვაშინგტონთან". მაგალითად დასახელებულია პოლონეთი.

თუ თეთრი სახლი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს ორად გაყოფს ევროკავშირს. ბერლინსა და პარიზს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, შექმნან ევროპული არმია და ამ საკითხის ინტენსიფიკაციას ახდენენ. უფრო რთულად დგას ეს საკითხი პოლონეთის მიმართ. ერთი მხრივ, იგი ორთქლმავლის წინ გამოხტა იმით, რომ შარშან ტრამპის ადმინისტრაციას შესთავაზა ორი მილიარდი დოლარის გადახდა ერთდროულად და საკუთარი ჯიბიდან, რათა აშშ-ის გადაეწყვიტა პოლონეთის მიწაზე ამერიკის სამხედრო ბაზის განლაგება.

ეს შეთავაზება არ მოეწონათ პოლონელებს, რომლებსაც ენანებათ ფულის დახარჯვა: თუ ვაშინგტონი უცხოური ლეგიონების შენახვის ახალ კონცეფციაზე გადავა, პოლონელებმა ფული მუდმივად უნდა იხადონ.

**შესადარებლად:** დღეს გერმანია აშშ-ის ხარჯის 28 პროცენტს უნაზღაურებს, რაც წელიწადში ერთი მილიარდი დოლარია. ასეთივე შეღავათი შეუძლიათ პოლონეთსაც გაუწიონ, მაგრამ, ამის მიუხედავად და იმის გამოც, რომ ვარშავას გაცილებით ნაკლები ამერიკელი სამხედროები სჭირდება, ხარჯი საკმაოდ დიდი იქნება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფული ყველაფრისთვის უნდა გაიღონ.

**ამასთანავე, შეღავათიანი პირობების მისაღებად პოლონელებმა ოფიციალურად უნდა აღიარონ, რომ მათი საგარეო პოლიტიკა სრულად არის დამოკიდებული ვაშინგტონზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის ელჩი პოლონეთში გახდება გენერალ-გუბერნატორი, რომელიც აღჭურვილი იქნება სრული უფლებით, ჩაერიოს ყველაფერში, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ამერიკის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს არ ნიშნავს, რომ დაცული იქნება ვარშავისთვის მნიშვნელოვანი საკითხები: თავდასხმისგან დაცვა — კი, თავდასხმაში დახმარება — არა.**

ამერიკის დიპლომატია ევროკავშირშიც და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც განახორციელებს საკუთარ დღის წესრიგს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში (დღის წესრიგში) გათვალისწინებული იქნება რუსეთის შეკავების ღონისძიებანი (რითაც ასე დაინტერესებულია პოლონეთის დღევანდელი ხელისუფლება): როგორ უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიებანი და განხორციელდეს თუ არა საერთოდ, თუ შეევაჭრონ რუსეთს რაღაცის გაცვლის ხარჯზე და ა.შ. ამ ყველაფერს,


მანფრედ ვებერი

ალბათ, აშშ-ში გადაწყვეტენ და არა პოლონეთში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბერლინი არ აპატიებს პოლონელებს საგარეოპოლიტიკური თამაშების „ამერიკული სახურავით" გადახურვის მცდელობას.

ახლახან საფრანგეთის ეროვნული კრებისა და გერმანიის ბუნდესტაგის ათმა დეპუტატმა საჯაროდ მოუწოდეს საზოგადოებას, „ერთობლივად განამტკიცონ უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკა". მანიფესტით გამოვიდა **მანფრედ ვებერი**, ევროპული კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატი გავლენიანი ევროპის სახალხო პარტიიდან. მან განაცხადა, რომ 2021 წლისთვის საჭირო იქნება კიბერუსაფრთხოების „ევროპული გვარდიის" შექმნა. ევროპელებს მოუწოდა, ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშაონ „მომავლის იარაღი" — დრონი (კვადროციკლი) და მომავალი თაობის ავიაგამანადგურებელი.

ევროკავშირისთვის აუცილებელია ევროპული ვესტპოინტის ტიპის სამხედრო აკადემია. 2030 წლისთვის კი უნდა ჩამოყალიბდეს ევროპის არმია, რომელშიც თავს მოიყრიან წევრი ქვეყნების ეროვნული სამხედრო ძალები „ერთიანი ევროპული სახურავის ქვეშ". ვებერმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპის სახელმწიფოები ერთობლივად მსოფლიოში მეორე ადგილზეა თავდაცვისთვის გაღებული ხარჯის კუთხით, მაგრამ მათი რეალური თავდაცვითი პოტენციალი ამ პოზიციაზე მნიშვნელოვნად დაბალია.

„თუ ერთობლივად ვიმუშავებთ, ასეთი რამ აღარ განვითარდება, — განაცხადა გერმანელმა პოლიტიკოსმა, — თუ ერთობლივად ვიმოქმედებთ, ევროპა გახდება მსოფლიოში მეორე უძლიერესი სახელმწიფო (ამერიკის შემდეგ), რომლის წინააღმდეგ გამოსვლას ველარავინ გაბედავს".

**ამით ვებერმა განსაზღვრა ნატოს ორ ფრაქციად, ევროპულ და ამერიკულ ფრაქციებად, გახლეჩა, რომლებსაც შეეძლება ორი განსხვაკვებული მიმართულებით სვლა, მაგრამ ფიზიკურად სად გაივლის საზღვარი? შუა თებერვალში ვარშავაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამგზავრების წინ, რომელიც ახლოაღმოსავლეთს მიეძღვნა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ განაცხადა: „უნდა ვთქვა მთავარი. ვიმედოვნებ, რომ ეს გამგზავრება წარმოაჩენს ამერიკელების მონაწილეობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. სახელმწიფო მდივანი, 8 წელიწადია, არ ყოფილა უნგრეთში; ბრატისლავაში, 20 წელიწადია, არ ჩასულა. ჩვენ ვიცით, რომ, როცა ჩნდება ვაკუუმი, სხვები ცდილობენ მის შევსებას, რუსები იქნებიან ისინი, თუ ჩინელები".**

ანუ აღნიშნული რეგიონი წარმოგვიდგა, როგორც გეოპოლიტიკური გათამაშების ველი, რაც ფრიად აღელვებს პოლონელებს. მათ მიაჩნიათ, რომ ნატოში შესვლამ თითქოს მისცა იმედი, რომ „ბოლოს და ბოლოს პოლონეთი აღარ იქნება ქვეყანა, რომელიც მდებარეობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ აღმოსავლეთიდან". მაგრამ ამ მოვლენამ, რომელიც 20 წლის წინათ მოხდა, აღნიშნავს პოლონური გაზეთი Dziennik Gazeta Prawna, „ვერ გადაწყვიტა მთავარი პრობლემა — დასავლეთის დედაქალაქებს კვლავაც ეიოლებათ პერიფერიულ ქვეყნად ჩვენი სტერეოტიპული აღქმა".

ამ კონტექსტში, პოლონეთში მუდმივი სამხედრო ბაზის განლაგების არქონა ნიშნავს, რომ ამერიკელები მას (პოლონეთს) აღიქვამენ, როგორც არასტაბილურ ქვეყანას. ვარშავისთვის ალტერნატივა უსაფრთხოების ევროპულ სისტემაში სრული ინტეგრაციაა, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს, რომ მომავალში ევროკავშირი რუსეთთან მოლაპარაკებას ვარშავაზე გადაბიჯებით დაიწყებს.

CNN აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ევროკავშირმა გადაწყვიტა, 2021 წლიდან შემოიღოს ვიზები ამერიკის მოქალაქეებისთვის. ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირი ამართლებს სურვილით „აამაღლოს უსაფრთხოების დონე, რათა თავიდან აიცილოს არალეგალური მიგრაციისა და ტერორიზმის მოსალოდნელი პრობლემები".

ევროპის ატლანტიკურ სანაპიროზე ცივმა ქარმა დაუბერა.

**სტანისლავ სტრემიდლოვსკი**

პანორამა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წყალქვეშა ნავების ოპერაციები კონფლიქტის ზონიდან 5 კილომეტრში ორ დიდ სახელმწიფოს შორის ესკალაციის საფრთხეს მკვეთრად გაზრდის. ამგვარად, ფიქრი იმაზე, რომ ანაკლიაში ამერიკული სუბმარინების ბაზა განთავსდება, დღევანდელ მოცემულობაში ნაადრევია, მაგრამ პროექტი, რომლის ფარგლებში ანაკლიამ შეიძლება განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობა შეიძინოს, ნამდვილად არსებობს.**

# უოლკერი თბილისში და სუბმარინის აჩრდილი ანაკლიაში

**ხელისუფლების ერთგულმა კომენტატორებმა საქართველოში კურტ უოლკერის ვიზიტს მცირე ყურადღება დაუთმეს. სამაგიეროდ, „რუსთავი 2“-მა მიუძღვნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჩამოსვლას ვრცელი სიუჟეტი. მასში ნათქვამი იყო, რომ უოლკერმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა. რისთვის ჩამოვიდა ამერიკელი მაღალჩინოსანი და ჰქონდა თუ არა მის ვიზიტს რაიმე კავშირი ანაკლიის პორტის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან?**





უოლკერი „შუშის სასახლეში“ ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად მივიდა. ამ დეტალმა გარკვეული ეჭვი გააჩინა. როგორც წესი, აშშ-ის ოფიციალური პირები არ ხვდებიან ივანიშვილს, თუ ამის გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობს. ამერიკელები დროდადრო აკრიტიკებენ ივანიშვილს არაფორმალური მმართველობის სისტემის შექმნის გამო და არ სურთ, მოეპყრონ მას, როგორც ქვეყნის უმაღლეს მმართველს. ამგვარად, შეხვედრა შეიძლებოდა ორ შემთხვევაში შემდგარიყო: 1. თუ ვაშინგტონი გადაწყვეტდა, რომ მისი გზავნილი პირადად ბიძინა ივანიშვილს უნდა მიეღო; 2. თუ მამუკა ბახტაძე და სხვა ქართველი მაღალჩინოსნები ჩათვლიდნენ, რომ განხილულ თემებზე მოლაპარაკების გასამართავად მათი (რეალური და არა ფორმალური) უფლებამოსილება არასაკმარისია.

უოლკერის კომენტარებიდან განსაკუთრებული რეზონანსი შემდეგ რეპლიკას მოჰყვა: **„ანაკლიის პორტი, პირველ რიგში, საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებშია. როდესაც ვფიქრობთ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება სამხედრო უსაფრთხოება, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია დემოკრატიის გაძლიერება, რეფორმები, ეკონომიკის ზრდა, ტვირთების გადაზიდვა, ვაჭრობა. შესაბამისად, ამ პორტს აქვს პოტენციალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყოს საქართველოს მომავლისა და უსაფრთხოებისთვის. თქვენ ახსენეთ ამ პროექტში ჩართული ამერიკული კომპანიები. ვაშინგტონს არ აქვს რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ანაკლიის მიმართ, ჩვენ გვსურს, საქართველო იყოს წარმატებული, პროგრესული და დაცული ქვეყანა. ამ პროექტს შეუძლია ამ ყველაფერს ხელი შეუწყოს“** *(„რუსთავი 2“)*. მან ყურადღება შეაჩერა რუსეთის ეჭვზე, რომ ამერიკულმა სუბმარინებმა შეიძლება ახალი პორტით ისარგებლონ: **„პორტი თავისთავად ნიშნავს, რომ უნდა მიიღოს გემებიც და წყალქვეშა ნავებიც. ამაში ახალი არაფერია“;** და იმედი გამოთქვა, რომ **„პროექტი წინ წავა. ეს საქართველოს ინტერესებშია. რადგან ყველა მხარეს სურს, დარწმუნებული ვარ, ქართველები ამ პროექტის განხორციელების გზას გამოძებნიან“.**

ეს ბოლო მონაკვეთი დაკვირვებას საჭიროებს. **მამუკა ხაზარაძე** აცხადებს, რომ ხელისუფლება პროექტის განხორციელებაში ხელს უშლის. ხელისუფლება, თავის მხრივ, ამბობს, რომ ანაკლიის კონსორციუმი ფულის მოზიდვასა და აღებული ვალდებულების შესრულებას ვერ ახერხებს. ხაზარაძე კი მიუთითებს, რომ ამის მთავარი მიზეზი ხელისუფლების ზემოქმედებაა. საბოლოო ჯამში, უოლკერის მიერ ნახსენები „გზის გამოძებნა“ მთავრობისთვის შეიძლება ნიშნავდეს უცხოური ბანკებისა და ინვესტორებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნას, საკუთარ თავზე ახალი ვალდებულებების აღებას, რაც ცოცხალი თავით არ სურს, მითუმეტეს, თუ პროექტს კვლავ ხაზარაძე და მასთან დაკავშირებული პირები უხელმძღვანელებენ. ეს „ქართული ოცნებისთვის“ მარცხის აღიარების ტოლფასი იქნება.

დღეს მედიასა და სოცქსელებში ანაკლიის პროექტის შეფერხების სამი ძირითადი ვერსია განიხილება:

**პირველის თანახმად**, პრობლემების სათავე ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებაა, რომელსაც თითქოს სურს, შური იძიოს ხაზარაძეზე, მას მომგებიანი ბიზნეს-პროექტი წაართვას და ა. შ.

**მეორე ვერსიის თანახმად**, რომელსაც, ძირითადად, ნაციონალები ავრცელებენ, ივანიშვილი პუტინის დავალებას ასრულებს და ძირავს პროექტს, რომლის რეალიზება, უპირველესად, ამერიკელებს სურთ.

**მესამე ვერსიის თანახმად**, ხელისუფლებას, უბრალოდ, ეშინია, რომ მას დააზარალებს ამერიკული და რუსული ინტერესების გადაკვეთა ანაკლიაში; შესაბამისად, სურს, საქმეში ჩინელები შემოიყვანოს, დაპირისპირება შეარბილოს და პროექტს სუფთა ეკონომიკური ხასიათი მისცეს ან კიდევ ნელ-ნელა, ჩუმი საბოტაჟით მისი რეალიზაცია გაწელოს, მომავლისთვის გადადოს. კურტ უოლკერის კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, აშშ ამ პროექტის რეალიზაციას მხარს უჭერს, მეტიც, იქ წყალქვეშა ნავების შესვლასაც არ გამორიცხავს.

საზოგადოდ, **წყალქვეშა ნავების ოპერაციები კონფლიქტის ზონიდან 5 კილომეტრში ორ დიდ სახელმწიფოს შორის ესკალაციის საფრთხეს მკვეთრად გაზრდის. ამგვარად, ფიქრი იმაზე, რომ ანაკლიაში ამერიკული სუბმარინების ბაზა განთავსდება, დღევანდელ მოცემულობაში ნაადრევია, მაგრამ პროექტი, რომლის ფარგლებში ანაკლიამ შეიძლება განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობა შეიძინოს, ნამდვილად არსებობს.**

კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, „ანაკლიაში იქმნება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, რომელშიც ვრცელდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი“. ახალი პორტისა და მიმდებარე ტერიტორიის განსაკუთრებული სტატუსი ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს, განავითაროს უსაფრთხოების განსაკუთრებული გარანტიების შექმნის იდეა, მითუმეტეს, რომ მალე შავ ზღვაში, დიდი ალბათობით, გამოჩნდება ძალა, რომელსაც შეეძლება, დახმარებისთვის მიმართოს.

2016 წელს რუმინეთმა შავ ზღვაში ნატოს მუდმივი საზღვაო დაჯგუფების განლაგების ინიციატივა გაასაჯაროა. ეს იდეა ალიანსის გეგმებში ჯერჯერობით არ ასახულა, უპირველესად, აშშ-ისა და თურქეთის უთანხმოების გამო, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება. გასული წლის აგვისტოში ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** პრემიერმინისტრ **ბახტაძესთან** შეხვედრის შემდეგ თქვა: **„ჩვენ ვისაუბრეთ შავი ზღვის ფარგლებში უსაფრთხოების სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონში“.**

ამავე პერიოდში, 18 ივლისს, რუსეთის ელჩებისა და მუდმივი წარმომადგენლების თათბირზე **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა: **„აგრესიულ ნაბიჯებზე, რომლებიც რუსეთს პირდაპირ საფრთხეს უქმნიან, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ. ჩვენს კოლეგებს, რომლებიც გამწვავებაზე მიდიან და ცდილობენ, ალიანსის სამხედრო ორბიტაში, მაგალითად, უკრაინა ან საქართველო ჩართონ, ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკის შესაძლო შედეგებზე დაფიქრება მართებთ“.** საინტერესოა, რომ პუტინმა ახსენა არა ალიანსში, არამედ სამხედრო ორბიტაში ჩართვა, რაც, მაგალითად, „შავი ზღვის ფლოტილიის“ შემთხვევაში შეიძლება ნატოში გაწევრების გარეშეც მოხდეს.

18 ნოემბერს მოხდა ინციდენტი ქერჩის სრუტეში, სადაც ერთმანეთს რუსი და უკრაინელი მეზღვაურები დაუპირისპირდნენ. ამის შემდეგ ხმამაღალი საუბარი დაიწყეს ნატოს დაჯგუფებაზე შავ ზღვაში. ერთი საბაბი ამ ინიციატივის ფორსირებისთვის უკვე შექმნილია, მაგრამ ის აშკარად კონფრონტაციულია და ალიანსის ევროპელ წევრებს არ სურთ, ყირიმის მახლობლად რუსეთთან დემონსტრაციულ სამხედრო-საზღვაო დაპირისპირებაზე წავიდნენ. 9 მარტს ცნობილი შეიქნა კონფლიქტის შესახებ, რომელიც გერმანიის მთავრობის სხდომაზე **ანგელა მერკელსა** და **ურსულა ფონ დერ ლაიენს** შორის მოხდა. თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონის თხოვნისა და ნატოს რეკომენდაციის გათვალისწინებას და ქერჩის სრუტეში სამხედრო ხომალდის გაგზავნას მოითხოვდა, მაგრამ კანცლერმა მტკიცე უარით უპასუხა.

ქერჩის სრუტე ღია კონფრონტაციის სიმბოლოა. სულ სხვა საქმეა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც პრობლემური რეგიონის ახლოს მდებარეობს. **ანაკლიამ შეიძლება შექმნას დამატებითი საბაბი იმისთვის, რომ ნატოს ახალმა ფლოტილიამ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების დაცვის მანდატი მიიღოს. საქართველოსა და უკრაინის საკითხი ამ შემთხვევაში ერთად განიხილება და, ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამერიკელების მხრიდან ყველაზე ვრცელი კომენტარი ანაკლიის პორტსა და წყალქვეშა ნავებზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უკრაინაში გააკეთა და არა რომელიმე სხვა ქვეყანაში.**

საქართველო ძალიან სუსტი სახელმწიფოა, ხოლო მისი ხელისუფლება სიმამაცით არ გამოირჩევა. გამორიცხული არ არის, რომ, როდესაც საშიში პერსპექტივა დაინახა, სასწრაფო უკანდახევის სურვილი გაუჩნდა. ძნელი სათქმელია, რამდენად შესაძლებელია ეს, როდესაც ამერიკელი მაღალჩინოსნები პროექტის პერსპექტივასთან დაკავშირებით ასეთ ოპტიმიზმს გამოხატავენ.

**უოლკერის ვიზიტის შემდეგ ორიოდე დღეში გამოქვეყნდა სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელიც შეიცავს სასამართლო სისტემის მდგომარეობის, საარჩევნო პროცესებში ხელისუფლების რესურსების გამოყენების, მედიაგარემოს, ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე საკმაოდ მძიმე შეფასებებს. ყოველივე ეს საქართველოს მოქალაქეებმა ისედაც იციან, ხოლო პოლიტიკური პარტიები შეფასებების დამძიმებას ტრადიციულად განიხილავენ, როგორც მნიშვნელოვან სიგნალს, რომ ვაშინგტონი საქართველოს ხელისუფლებით უკმაყოფილოა.** შესაბამისად, ხელისუფლების შეცვლაზე ახალი იმედები უჩნდებათ. კიდევ რამდენიმე მსგავსი სიგნალი და **მიხეილ სააკაშვილმა** შეიძლება ჩათვალოს, რომ ამერიკელებმა „მაიდანის“ აგორებაზე „მწვანე აუნთეს“.

2012-16 წლებში ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა მანევრის შესაძლებლობა და შეეძლო, ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გამოეხატა. ამ კონტექსტში შეგვიძლია გავიხსენოთ ივანიშვილის განცხადება ერევანში — აფხაზეთის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ, ან **კახა კალაძის** კომენტარები გაზის ბაზარზე დივერსიფიკაციის თაობაზე. დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები გაკრიტიკების შიშით ვერც ერთ და ვერც მეორე განცხადებას ვერ გაიმეორებენ. ისინი ცდილობენ, ვაშინგტონის პოლიტიკას რეგიონში ერთი მილიმეტრითაც არ გადაუხვიონ და ამ მხრივ წინამორბედებისგან არაფრით განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება რუსეთთან მორიგ გამანადგურებელ დაპირისპირებამდე მივიდნენ. ხოლო, თუ ვინმეს მაინც გაუჩნდება „განსხვავებული აზრი“, მას, სავარაუდოდ, აუხსნიან, რომ ცდება. ამისთვის შეიძლება სპეციალური დესპანიც კი ჩამოვიდეს და შინ ესტუმროს.

**ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, ვაშინგტონის პოლიტიკას რეგიონში ერთი მილიმეტრითაც არ გადაუხვიონ და ამ მხრივ წინამორბედებისგან არაფრით განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება რუსეთთან მორიგ გამანადგურებელ დაპირისპირებამდე მივიდნენ. ხოლო, თუ ვინმეს მაინც გაუჩნდება „განსხვავებული აზრი“, მას, სავარაუდოდ, აუხსნიან, რომ ცდება. ამისთვის შეიძლება სპეციალური დესპანიც კი ჩამოვიდეს და შინ ესტუმროს**

**ლუკა ნემსაძე**

**როცა ხელისუფლების წარმომადგენლებს კუთხეში მიაყენებენ, სიმართლესთან პირისპირ შეაჯახებენ, ალიარებინებენ, რომ მათ არაფერი გაუკეთებიათ, რომ ერი შიმშილისა და გადაშენების პირასაა, რომ საქართველოდან ქართველები ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ გარბიან, იქიდან კი უცხოელები შემოდიან, აქ სახლდებიან და პლანტატორებად ყალიბდებიან (მონებად ჩვენ ვყავართ), მაშინვე გვახსენებენ სისხლიან რეჟიმს და გვეუბნებიან, რომ თურმე რეჟიმი მოგვაცილეს. აბა, ერთი აგვიხსენით: რა განსხვავებაა, მგელი შეგვჭამს თუ მგლისფერი ძაღლი?**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალიან უცნაურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. წარმოგიდგენიათ, რომ ქვეყანაში რაიმეს წარმოება იკრძალებოდეს და მოხმარება არა? მაგალითად, ჩვენთან იკრძალება მარიხუანის წარმოება, მოხმარება — არა, მაგრამ ახლა საქმე სხვა შემთხვევასთან გვაქვს. 1 აპრილიდან ძალაში შედის ახალი კანონი, რომლის მიხედვით საქართველოში ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია აიკრძალება, მაგრამ არ აიკრძალება მათი მოხმარება, ანუ: თუ გაქვთ სახლში პოლიეთილენის პარკი, შეგიძლიათ, გამოიყენოთ, მაგრამ ახალს ვეღარ შეიძენთ. რატომ? თურმე პოლიეთილენს მიწაში მოხვედრის შემდეგ გახრწნისთვის ასეულობით წელი სჭირდება, ამიტომ გარემოს უნდა გავუფრთხილდეთ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ რას მოგვიტანს აღნიშნული აკრძალვა?! პირველ რიგში, იმას, რომ ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები დარჩებიან უმუშევრები და 1 აპრილიდან დაახლოებით ათას კაცს სხვა სამსახურის შოვნა მოუწევს. ათასი კაცი ათასი ოჯახია და გამოდის, რომ 1 აპრილიდან ათას ოჯახს პურის ფულის პრობლემა შეექმნება და ეს არ იქნება საპირველაპრილო ხუმრობა.**

# თუ ასე გაგრძელდება, კაბინეტებში მოგაკითხავენ და ქეჩოთი გამოგათრევენ გარეთ!




**სანამ თამბაქოს ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვის სახელით გააძვირებთ, სანამ ათას სამუშაო ადგილს გარემოზე ზრუნვის სახელით გააუქმებთ, დაფიქრდით, ბატონებო, თორემ სახლებში ხომ შემოგივარდათ ხალხი და მალე კაბინეტებში მოგადგებათ და ნუ გგონიათ, რომ ძალოვანები დაგიცავენ**

მოდი, რიგითობით მივყვეთ, რას გვპირდებოდა ხელისუფლება და რა შეიცვალა რეალურად 2012 წლიდან დღემდე; რომელი პირობის შესრულების შესაძლებლობა და უნარი დარჩა მოქმედ მთავრობას. ერთ-ერთი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო და, გვინდა თუ არა, უკვე შევეგუეთ, რომ სამართლიანობის აღდგენამ ჩაილურის წყალი დალია. გამორიცხულია დღევანდელ რეალობაში ამ დაპირების ასრულება და სამართლიანობა აღარ აღდგება, არც ის ადამიანები დაისჯებიან, ვისი დასჯის მოთხოვნაც საზოგადოების მთავარი დაკვეთა იყო.

**„დღესვე შეიძლება ელექტროენერგიასა და გაზზე ტარიფების განახევრება, ბენზინის ერთი ლარით შემცირება, წყალი კი საერთოდ უფასო უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში“**, — ეს დაპირება ყურს ძალიან საამოდ ხვდებოდა, მაგრამ პირობა, რომლის გამოც 2012 წელს ასიათასობით ადამიანმა არჩევანი გააკეთა, ერთი წინდადებით გაცამტვერდა.

**„ჩვენ სწორად არ დავიანგარიშეთ რაღაცეები და მოლოდინი ტარიფების განახევრებაზე იყო გადაჭარბებული“**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და კითხვა — რატომ მოიმატა ტარიფებმა და ბენზინის ფასმა? — აღარ დასმულა. პასუხი გაცემულია და წერტილი! სხვათა შორის, ბენზინის გაძვირებას საინტერესო ისტორია უძღოდა წინ. ფინანსთა იმჟამინდელმა მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა** საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა, საწვავის შემომტანებს აქციზს ვუძვირებთ, ლიტრზე დაახლოებით 50 თეთრის ოდენობით, რაც ბიუჯეტში დამატებით 600 მილიონ ლარს შემოიტანს და, რაც მთავარია, ეს გაძვირება მოსახლეობაზე არ აისახება, რადგან ჩვენ ბიზნესს ვუძვირებთ გადასახადს და არა მოსახლეობასო. ცოცხალი ტყუილი მოსახლეობაზეც ცოცხლად აისახა, რადგან საწვავის იმპორტიორებმა ზუსტად იმდენი მოუმატეს თითოეულ ლიტრს, რამდენიც მთავრობამ მოუმატა აქციზს და დამატებითი 600 მილიონიც ბიუჯეტში ხალხის ჯიბიდან წავიდა.

ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ეროვნული ვალუტა თურმე ხელოვნურად იყო გაზრდილ-გაბერილი. ლარი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, გვითხრეს, თავისუფალ ცურვაშია, ცოცხალი ორგანიზმია და, აბა, როგორ გინდათო?! ბარემ არ გვინდოდა, მაგრამ „შოკებმა და შოკუნიებმა“ თავისი ქნა და მივიღეთ ის, რომ, ლარის გაუფასურებასთან ერთად, **პროდუქტები გაძვირდა.**

პროდუქტების გაძვირება ცალკე საუბრის თემაა. **წიგნის დაწერაც კი შეიძლება და უმაღლეს სასწავლებლებში შეტანა, როგორ უნდა მოახერხო, რომ პროდუქტებს დაახლოებით 50% მოემატოს, ადამიანებს შემოსავალი იგივე დარჩეთ და ამ პირობებში გადარჩნენ.**

საოცრება მოხდა, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ — ხელისუფლებიდან წამოსულ ადამიანებს თვალი აეხილათ, ვარდისფერი სათვალე მოიხსნეს და თქვეს ის, რასაც ამდენი ხანია ვამტკიცებთ: რომ მოსახლეობას პურის ფული უჭირს და შიმშილობს. როცა ხელისუფლების გუნდში იყვნენ და მთავრობის „გაპრავებით“ იყვნენ დაკავებულნი, მაშინ ვერ მიხვდნენ ამ ყველაფერს და ახლა უცებ აღმოაჩინეს, რომ მოსახლეობას უჭირს და სამუშაო ადგილები არ არის.

წელან წიგნი ვახსენეთ და მეორე წიგნად დაიწერება დაპირებული **ასი ახალი ქარხანა**, სადაც ლამის სრულიად საქართველოს მოსახლეობას უნდა ემუშავა, მაგრამ ასს ვინ ჩივის, რაც გახსნილი იყო, ისინიც დაიხურა და დაიხურა იმის გამო, რომ თავიანთ პროდუქციას ვერ ასაღებდნენ. გასაღებაზე ისიც ვთქვათ, რომ **სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გლეხებს ყველანაირი სუბსიდია მოუხსნა. აქაოდა, რატომ უნდა გარჩინოთ, ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერსო და დაარეგულირა კიდეც — ზაფხულში მდინარეში აჭამსა და ვაშლს ვყრით, ზამთარში — ციტრუსს.** შედეგად, ხელისუფლებას შაგრენის ტყავივით შეუმცირდა მხარდამჭერები და პარტიაში გასაწევრებლად კასტინგი გამოაცხადა. ახლა, **ვისაც იმის სჯერა, რომ 2020 წელს უკეთესად ვიცხოვრებთ და დაპირებული ასი ქარხანა სწორედ 2020 წლიდან აშენდება, რეზიუმეს ავსებს, პარტიის ოფისში მიაქვს და, სულო ცოდვილო, ელოდება, როდის წარადგენენ სამომავლოდ საპარლამენტო სიაში.** წარდგენა კი მართლაც გრანდიოზული იქნება, რადგან გვიყვარს ბუზის გადაქცევა სპილოდ და ამ კასტინგსაც აუცილებლად ექნება გრანდიოზული ფინალი.

მთავარი არ დაგვავიწყდეს **— როცა ხელისუფლების წარმომადგენლებს კუთხეში მიაყენებენ, სიმართლესთან პირისპირ შეაჯახებენ, ალიარებინებენ, რომ მათ არაფერი გაუკეთებიათ, რომ ერი შიმშილისა და გადაშენების პირასაა, რომ საქართველოდან ქართველები ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ გარბიან, იქიდან კი უცხოელები შემოდიან, აქ სახლდებიან და პლანტატორებად ყალიბდებიან (მონებად ჩვენ ვყავართ), მაშინვე გვახსენებენ სისხლიან რეჟიმს და გვეუბნებიან, რომ თურმე რეჟიმი მოგვაცილეს.** კი, ბატონო, არავინ დავობს, რომ ის ხელისუფლება უნდა წასულიყო, რომ სისხლიანი იყო, რომ ძალადობდა საკუთარ ერზე და გენოციდს უწყობდა მოსახლეობას, მაგრამ დღეს რეჟიმში არ ვცხოვრობთ? დღეს პატიმრებს აღარ კლავენ, ადამიანებს ტყუილუბრალოდ არ იჭერენ (მასობრივად, თორემ ისე იცოცხლე), არ გვისმენენ (ესეც მასობრივად, თორემ, როცა სჭირდებათ, მშვენივრად ახერხებენ)... განსხვავება რა არის? მაშინ კლანური მმართველობა იყო და ახლაც არის; მაშინაც შიოდა ხალხს და ახლა უფრო შია... და თუ იმას გვამადლით, რომ ციხეში ან ქუჩაში ცემით სიკვდილს შიმშილით სიკვდილი სჯობს, ბარაქალა თქვენ.

ეს ყველაფერი პოლიეთილენის პარკებს მოვაყოლეთ. ძალიან კარგია, როცა გარემოზე ზრუნავს ხელისუფლება, მაგრამ, როგორც წესი, იმ გარემოში ადამიანებმა უნდა იცხოვრონ. უნდა იცხოვრონ, ბატონებო, კი არ უნდა იარსებონ! თქვენ კი საარსებო მინიმუმსაც კლავთ, ანადგურებთ და ახლა, 1 აპრილიდან კიდევ ათასი ოჯახი რომ დარჩება ხელგაწვდილი და პურის ფულის გარეშე, იმათ რას ეტყვით: რეჟიმი ხომ მოგაცილეთო?!

იმას მაინც თუ ატყობთ, რომ ბოლო პერიოდში წვრილმანი დანაშაული გახშირდა და ხალხი საკვების მოპარვაზე გადავიდა?! იმასაც თუ ატყობთ, რომ უკვე მაღალჩინოსნების სახლები იქურდება და იცით, რატომ? იმიტომ, რომ რიგით ადამიანებს მოსაპარავი აღარაფერი აქვთ, მათ ბინებში შესვლას აზრი არ აქვს და ამიტომ თქვენ მოგადგნენ. ეს ერთეულები, თორემ, თუ ასე გაგრძელდება, დაგვიჯერეთ, რომ კაბინეტებში მოგაკითხავენ და ქეჩოთი გამოგათრევენ გარეთ; იმიტომ, რომ ბევრ რამეს აიტანს ადამიანი, მაგრამ შიმშილს ვერა. მშიერი კუჭი იმაზე მეტს გააკეთებინებს ადამიანს, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ **თქვენ წარმოდგენა გიჭირთ, რადგან არ მოგშივებიათ, შინ მისულს არ დაგინახავთ თქვენი შვილების მშიერი თვალები და, თუ თქვენი შვილები ახალ პლანშეტსა და მობილურის ბოლო მოდელს ითხოვენ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შვილები საკვებს სთხოვენ, საკვებს, რომელიც ხელფასით უნდა იყიდოს მშობელმა, სამსახური კი არ აქვს.**

თქვენ ხომ ჩვენზე უკეთ იცით: ბოლო ორი არჩევნები მხოლოდ იმიტომ მოიგეთ, რომ წინა ხელისუფლების დაბრუნების შიში იგრძნო ამომრჩეველმა. მაგრამ ახლა ამისიც აღარ ეშინია და უფრო მეტიც, ეგებ დიდ ნაწილს სურს კიდეც წინა ხელისუფლების დაბრუნება ერთადერთი მიზეზით — თქვენზე იძიოს შური. შურისძიება კი წინა ხელისუფლებას როგორი შეუძლია, კარგად იცით. ამიტომ, სანამ კანონებს მიიღებთ, სანამ თამბაქოს ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვის სახელით გააძვირებთ, სანამ ათას სამუშაო ადგილს გარემოზე ზრუნვის სახელით გააუქმებთ, დაფიქრდით, ბატონებო, თორემ სახლებში ხომ შემოგივარდა ხალხი და მალე კაბინეტებში მოგადგება და ნუ გგონიათ, რომ ძალოვანები დაგიცავენ. ძალოვან სტრუქტურებზე აგებული ქვეყანა მყარი არასდროს არის, მუდმივად ინგრევა და თქვენც ჩამოგენგრევათ. ხალხზე იზრუნეთ, ხალხზე და ეგებ იმაზეც დახუჭონ თვალი, რესტორნებში წლიურად 50 მილიონზე მეტს რომ ხარჯავთ და სოციალური პროგრამების წასამატებლად 20-30 მილიონის მოძიება გიჭირთ, ბიუჯეტში არ არისო.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. პოლიეთილენის პარკის ალტერნატივა, როგორც გამოგვიცხადეს, ქაღალდის პარკია. ქაღალდის საწარმოებლად ხეა საჭირო, ხე კი ტყეში უნდა მოჭრა. ეჭვი გვაქვს, პოლიეთილენის აკრძალვის შემდეგ ზარ-ზეიმით გვამცნობენ, რომ საქართველოში გაიხსნება (თუ გაიხსნა) ქაღალდის პარკების მწარმოებელი ფაბრიკა. ამ ფაბრიკას კი, როგორც გითხარით, ხე სჭირდება. ჰოდა, მიადგებიან ეს ჩვენი ვითომ „პატრიოტი“ ბიზნესმენები (სინამდვილეში კი ხელისუფლების კლანის რომელიმე განშტოება) ჩვენს ტყეებს და „ეკოლოგიურად“ გაჩეხავენ. ახლა მითხარით: პოლიეთილენის პარკი მავნეა ბუნებისთვის და ტყეების გაჩეხვა — სასარგებლო? მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, არსებობს პოლიეთილენის სხვა ალტერნატივა — ბიოდეგრადირებადი მასალა, რომელიც მალე იხრწნება და ბუნებას, გარემოს არ აზიანებს.**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებში“ სასოწარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორიც ილიას „ბედნიერ ერში“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ (თუმცა ოციან წლებში ვინ დაიჯერებდა, რომ მწარედ ახდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება – საქართველო თეიმურაზ ხევისთავად გადაიქცეოდა). ოღონდ ილია ქართული სამყაროს უფსკრულს პოეზიის ენით ამხელს, მიხეილ ჯავახიშვილი – პროზისა და ნიკოლო მიწიშვილი – პუბლიცისტიკის“.

აკაკი ბაქრაძე:

# «ბედნიერი ერის», «ჯაყოს ხიზნების», «ფიქრების» არსს რომ ჩავწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა

## შეიძლება თუ არა დღეს ქართული ეროვნული ენერგიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე საუბარი?

**დღეს კაცობრიობა წინ მიდის და ამას განსხვავებული აზრის პირობებში ცივილიზებული თანაცხოვრებით ახერხებს. ეროვნულ ენერგიას შეუძლია მთებიც კი გადადგას, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რაში იხარჯება ის?**

**იხარჯება საჯარო მსჯელობებში, რომელთა ტექსტებშიც და ქვეტექსტებშიც თითქმის არასდროს არის კონსესუსის ძიება, და ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში კამათს შეხედულებებს შორის არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავება სდევს თან. განსხვავებული აზრის მიუღებლობისა და მუდმივი ჯგუფური დაპირისპირების პირობებში ერი და საზოგადოება თვითლიკვიდაციისა და გამოლევისთვის, სულიერი და ფიზიკური გამოფიტვისთვის წირავს თავს.**

**როგორი იქნებოდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს ქართული ეროვნული ენერგიისადმი დამოკიდებულება სხვაგვარი რომ იყოს?**

**ცხადია, სიბრაზე, რომელიც აჩენს სიძულვილს, ღუპავს საზოგადოებას. ერს კი თავისუფლად შეუძლია, ეს ეროვნული ენერგია შეკრას და მტრული პოლიტიკის, ადამიანთა გაჭირვებისა და ტკივილის წინააღმდეგ გააერთიანოს.**



ნიკოლო მიწიშვილი

1926 წელს გამოქვეყნდა ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“, რომელსაც საზოგადოებაში ცხარე სჯაბაასი მოჰყვა — ავტორს ქართული ეროვნული ენერგიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას საყვედურობდნენ.

აკაკი ბაქრაძეს კი მიაჩნია, რომ „ფიქრებს“ მაშინაც და მერეც ჯეროვანი გულდასმით და გულისყურით არ მოეკიდნენ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ „ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებში“ სასოწარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორიც ილიას „ბედნიერ ერში“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ (თუმცა ოციან წლებში ვინ დაიჯერებდა, რომ მწარედ ახდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება — საქართველო თეიმურაზ ხევისთავად გადაიქცეოდა). ოღონდ ილია ქართული სამყაროს უფსკრულს პოეზიის ენით ამხელს, მიხეილ ჯავახიშვილი – პროზისა და ნიკოლო მიწიშვილი – პუბლიცისტიკის. არც მარტო ყოფილა პოეტი. იმავე სევდით და გულისტკივილით იყვნენ მაშინ შეპყრობილი სერგი დანელიაც და კონსტანტინე კაპანელიც.

ქართველი საზოგადოება ნიკოლო მიწიშვილს აუმხედრდა. ასევე მიესიენ ილიასაც, როცა „კაცია-ადამიანი?!“ დაიბეჭდა. მოკვლასაც კი უპირებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილსაც ქვა და გუნდა დაუშინეს „ჯაყოს ხიზნებისათვის“. ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებიც“, თორემ „ბედნიერი ერის“, „ჯაყოს ხიზნების“, „ფიქრების“ არსს რომ ჩავწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა“, — **(„ახალი გრაალი“).**

„ფიქრების“ გამო გაშლილ პაექრობაში გრიგოლ რობაქიძეც მონაწილეობდა. 1927 წლის „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში მისი „საქართველოს ხერხემალი“ დაისტამბა, სადაც გრიგოლ რობაქიძემ უარყო გულგატეხილობა, ამტკიცებდა, რომ ქართული ეროვნული ენერგია არაფრით ჩამოუვარდება სხვა ხალხებისას, პირიქით, ზოგჯერ სჯობნის კიდეცო, მაგრამ 1920 წელს ის სულ სხვა რამეს წერდა:

„ჩვენ გვიყვარს „სემიტური გამოჩენა“, მაგრამ ჩვენ არიული „გამორჩევაც“ გვიყვარს. „ლაღაგადასმულობის“ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა, მაგრამ ხშირად გვაჯადოებს რაინდული „ხმალში გამოწვევა“; ჩვენ „მეწვრილმანებიცა“ ვართ და „რაინდებიც“. ქართველი კაცი „ლაქიაც“ არის და „მეფეც“, „ჟულიკიც“ და „არისტოკრატიც“. ქართული ყოფა ფუნქციონალურია. საქართველო არის და კიდევაც არ არის... მას არ სჯერა თავისი თავის და სურს სხვა იყოს. ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი), ამიტომ ისმება საკითხი: ან თავისთავის მონახვა ან სრული დაღუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა“ („ბარრიკადი“, №1).

ეს რადიკალიზმი ისევ დევს ქართველის ბუნებაში, ქართული ეროვნული ენერგიის სინაკლულეზე რომ არაფერი ვთქვათ.

ნაწყვეტი აკაკი ბაქრაძის „ახალი გრაალიდან“:

„ნიკოლო მიწიშვილი მართალი იყო. თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძესაც აწამებდა ეჭვი ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ. „და მეშინია, არა ვთქვა მაინც, რომ საქართველო არის მიქარვა“ („ბარრიკადი“, 1920წ. №3 ლექსი — „საკუთარი ტოსტი“).

უფრო ადრე, 1913 წელს სტატიაში — „ერის სული და შემოქმედება“ — იგი ამბობდა:

„საქართველო აღარ არის მთელი და, როგორც ცოცხალი არსი, იგი ქართველში არ არსებობს. სამაგიეროდ დარჩენილან ნაწილნი და ნაწილნი თვითონვე ცდილობენ მთელობას. საქართველო მე ვარ – აი ფსიხიური განცდა ქართველისა. ეს საბედისწერო მოვლენა ჰქმნის იმ საშინელ ტრაღიზმს, რომელიც შავი მოჩვენების სახით თანსდევს ყოველს ჩვენს გადადგმას: შური, მძულვარება, გაუტანლობა და ქუჩის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, გამეფება. დავკარგეთ მთელი ჩვენს არსებაში და მით თავზე ხელი ავიღეთ“...

საქართველოს, როგორც მთელის, შეუცნობლობას ხედავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიაც.

„ყოველი მათგანი დიდი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მსოფლიო გენიოსად ვერ იქცა. რისთვის? მისთვის, რომ არც ბარათაშვილი, არც ჭავჭავაძე, არც წერეთელი არ გრძნობდა შეუცნობელს სფეროში საქართველოს, როგორც ერთ დიადს მთელს (ხაზი ჩემია – ა. ბ.). ისინი იტანჯებოდნენ მისი იდეალური სახისათვის და ხელოვნებით ცდილობდნენ, შეექმნათ მისი სასურველი და შესაძლო სახე. ეს „ცდილობა“ გმირობათ ჩაეთვლებათ ჩვენს მგოსანთ-მამულიშვილთ, მაგრამ იგივე „ცდილობა“ ხელს უშლიდა მათი ფანტაზიის თავისუფალ ნავარდსა. ამით იხსნება ის გულისხმიერი მოვლენა, რომ მათს შემოქმედებაში ხანდახან ხორცშესხმული სიმბოლოს მაგიერ მხოლოდ უსხეულო ალეგორია იბადება“ *(„სახალხო გაზეთი“, 1913წ., № 870).*

როგორც ნიკოლო მიწიშვილს, ისე გრიგოლ რობაქიძესაც აფიქრებდა რუსთაველის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა ქართულ სამყაროში. გრიგოლ რობაქიძე ივანე გომართელს ეკითხებოდა: **„შოთა იმდენად ირჩევა ყოველი ქართველისაგან, რომ მის ქართველობაშიც ეჭვი გვეპარება, რით აიხსნება ასეთი საიდუმლოება?“** მაგრამ 1927 წელს იგი უკვე აღარ ფიქრობდა ასე. რუსთაველი ქართული კულტურის ულრმესი ფესვებიდან ამოზრდილ მოვლენად მიაჩნდა. „საქართველოს ხერხემალში“ იგი იხსენებს „შუშანიკის წამებას“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, ეფრემ მცირეს, დიდ მთაწმინდელებს და ასკვნის: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

გრიგოლ რობაქიძის შეხედულებათა განვითარება იოლად არ მომხდარა. იგი თანდათანობით ხდებოდა, მაგრამ უკვე 1920 წელს დასვა საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებისათვის: **თავისთავის მონახვა. საქართველო მაშინ დაიღუპებოდა, თუ თავისთავს ვერ მონახავდა. თავისთავის მონახვა იყო უპირველესი და არსებითი“** (წიგნიდან „კარდუ“, თბილისი, „ლომისი“, 1999).

„მწერალი საცოდავი კაცია დღეს, — წერდა მიწიშვილი, — ახლა აღარ კმარა, იყვე ის, რაც ბუნებითა ხარ მოცემული“, კიდევ უნდა იყო მებრძოლი, რევოლუციონერი და თანამედროვეო.

დღეს?

დღეს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს შემოქმედი ადამიანი, რომ შეძლოს საზოგადოების ფართო წრისთვის თავის გაცნობა? ვის ურიგებენ დღეს „საბას“ პრემიებსა და ჯილდოებს?

ფაქტია, რომ ქართულ მწერლობაში შეიქმნა ტენდენცია, რომელიც ადამიანის ნიველირებას, მისი ღირსების, ზნეობის შელახვას ემსახურება, რაც საკმაოდ თვალშისაცემია. ბურჭულაძემ, დეისაძემ და მსგავსმა „მწერლებმა“ ეს მშვენივრად მოახერხეს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მათ ვიღაც ავალებს, ასე წერონ, რათა საზოგადოება გარყვნან და გადააგვარონ.

ცალკე აღშფოთების საგანია ის, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას სამჯერ, ოთხჯერ და მეტჯერაც აძლევენ „საბას“; ამ დროს კი იმ მწერლებს, რომლებიც მართლაც იმსახურებენ ამ პრემიას, საზოგადოება ნაკლებად იცნობს მხოლოდ იმის გამო, რომ მათი შემოქმედება განსხვავებულია — მასში არ არის დედის გინება; ისინი არ არიან „ტელეპოეტები“, „ტელეპროზაიკოსები“, ჩრდილში არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით, რადგან ჭეშმარიტ ხელოვნებას დრო თავის ადგილს მიუჩენს ისტორიაში.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უცხოეთში მყოფი მიწიშვილი სვამს კითხვას: „რაღა დამრჩა მე სარევოლუციო და საბრძოლველი? რევოლუცია მოხდა უჩემოდ, განვითარდა უჩემოდ, უჩემოდ გაიმარჯვა რევოლუციამ და გაიმარჯვა ისე, რომ არ მინახავს არც რევოლუცია, არც ის ბრძოლა, რამაც რევოლუცია გამოსჭედა. შემდეგ კი იმდენი ხალხი დაეპატრონა რევოლციას, რომ დიდი საქმის გაკეთებამ ჩემამდე არ მოაღწია, პატარა საქმეს ისედაც კი ვაკეთებდი, ურევოლუციოდ.

ჰოდა, ახლა მრცხვენია — როგორ გამოვდგე და ვიძახო, რევოლუციონერი ვარ-მეთქი. ამას ბევრი შვება დღეს“.

რა უცნაურ დამთხვევადაც უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტია, რომ დღეს ბევრ გულანთებულ მამულიშვილს, ქვეყნის უანგარო სამსახური რომ სწყურია, შეუძლია იგივე თქვას: „ვარდების რევოლუცია“ უჩემოდ მოხდა, „ოცნებამაც“ უჩემოდ გაიმარჯვა, ისე, რომ არც ერთის მოსვლასა და წასვლაში დიდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ვინც იაქტიურა — რევოლუცია „გამოსჭედა“ და მერე დაამხო სადისტი ნაციონალების ხელისუფლება — ახლა აქვს პრეტენზია ხელისუფლებაში ყოფნის, ქვეყნის ბატონისა და მმართველის. ისინი ბევრნი არიან. ასე რომ, დიდი საქმის გაკეთებამ ჩემამდე არ მოაღწია, პატარა საქმეს ისედაც კი ვაკეთებდიო.

ისევ მიწიშვილს მოვუსმინოთ: „ჭკუა ამბობს, რომ დროება გადაბრუნდა მშრომელი ქვეყნის საკეთილოდ. გაიგე ეს, მოუარე და შეინახეო. მე ვასრულებ ამას, რადგან ვიცი, რომ ეს მართლაც ასეა, მაგრამ როგორ გადაბრუნდა, რამ გადააბრუნა? — ეს კითხვა ცივად დგას განზე, უპასუხოდ...

ეს უნდა განიცადო, იგრძნო და უნდა იგრძნო თავიდან. შემდეგ კი, როცა ფაქტი ხდება და ამ ფაქტს ყველა აეტორღიალება — აქ იწყება უკვე სიყალბე, გამარჯვებულის ეტლი და ტრიუმფი...

ცხოვრება კი მიჰქრის წინ, ძნელდება და რთულდება. მგზავრი, რომელიც აიარს მაღალ მთას და მთის წვერზე დაჯდება, დასვენებაში სიამოვნებას პოულობს, მაგრამ, ნუთუ ის იქნება ბედნიერი, თუ მოვთხოვთ მას, რომ მუდმივ იქ იჯდეს და ისვენებდეს?“

ცხოვრება თვითონ სცემს პასუხს ამ კითხვას. ათეული წლებია, გაგვინელდა თავისუფლებით ტკბობის სიხარული, მოგვბეზრდა „ვარსკვლავებთან თამაში“, მხოლოდ სუფთა ჰაერის სუნთქვა არ აღმოჩნდა საკმარისი ▶

### ევროპა «სწამლავს და ხრწნის ჩამორჩენილ ერებს ფულით, თვალთმაქცობით და ცბიერებით, რომელიც ასე უხვად მოეპოვება დღევანდელ ევროპის სახელოვან კულტურას»

**„ყოველ შემთხვევაში ფიქრი ახალის გამარჯვებაზე არაა გასაკვირი, როცა სტამბოლში ხარ და ფიქრობ; როცა ფეხი გიდგია იმ მიწაზე, სადაც ერთ დროს დაიწვა ძველი ისტორია, ბრწყინვალებით დაიწერა ახალი წიგნი ახალი გამარჯვებისა და ამაღლებისა და შემდეგ ყველაფერი ეს ჩაემხო ოსმალთა ბარბაროსულ ცეცხლში, რათა დღეს ახალი მოძრაობა აღმოცენებულიყო, ახალი ხალხი დამდგარიყო ფეხზე ახალი მისწრაფებით და ნებისყოფით. მოდი და აქ, სტამბოლში, ნუ შეგაშინებს კაცს ფიქრი ისტორიის ცვალებადობისა“.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბედნიერად ცხოვრებისთვის... მაგრამ ძირს — მშობელ მიწაზე უმტკივნეულოდ დასაშვებად ყველა გზა მოვაშთეთ, ხიდები დავწვით და ახლა სასწაულის მოლოდინში, ამ მთის წვერზე წამოსკუპებულებს, ზედმეტად გატოკებისაც კი გვეშინია, — ემანდ არ გადმოვცვივდეთ, თორემ მიწამდე სული არ დაგვყვებაო. ის კი, ვინც „ხელი შეგვაშველა“ ასვლისას, ულვაშებში ცბიერად იღიმება და ჩვენს მიწაზე, რასაც უნდა, იმას აკეთებს, თან თვალს არ გვაშორებს, — სასწაული არ მოხდეს და ეს ქვეყანა ხელიდან არ გამოგვაცალონო.

დღეს ახალი ევროპელები ბატონობენ საქართველოში და აქა-იქ შემორჩენილი ამბოხებული ქართული სული კვლავ იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის... **„იბრძვის ევროპის წინააღმდეგ, რომელიც სწამლავს და ხრწნის ჩამორჩენილ ერებს ფულით, თვალთმაქცობით და ცბიერებით, რომელიც ასე უხვად მოეპოვება დღევანდელი ევროპის სახელოვან კულტურას“**. როგორ მიესადაგება ნიკოლო მიწიშვილის ეს შეფასება დღევანდელ ევროპას, რომელიც გვაიძულებს, ცხვირში გვჩრის ლგბტ-ზაციას, ნარკოტიკების ლეგალიზებას, განათლების სფეროში ისეთი მეთოდების დანერგვას, რომელთა შედეგად მამულიშვილების ნაცვლად მანქურთებს მივიღებთ, რომელთათვისაც სამშობლო ჩირად არ ეღირება და რომლებსაც წინაპართაგან რუდუნებით შემონახული ადათ-წესები სასაცილოდ არ ეყოფათ... დღეს საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებულია იდეოლოგიური ომი, რომელსაც კოორდინაციას უწევენ ყველაზე დიდი და გავლენიანი დასავლური ინსტიტუციები.

თუ ახალგაზრდობას საშუალებას მივცემთ, ნარკოტიკი განუსაზღვრელი რაოდენობით მოიხმარონ, ეს ერის დაღუპვის ტოლფასია. ნარკოტიკების პროპაგანდას ზემოთ ნახსენები ე.წ. მწერლებიც ეწევიან. დეისაძემ ერთხელ „იმედის“ ეთერში თქვა კიდეც: კარგ ნაწარმოებსა და მუსიკას მაშინ ვწერ, როცა მარიხუანა მაქვს მოწეულიო. ამ პროპაგანდაში ჩართული იყვნენ სხვა მწერლებიც, მსახიობებიც, პოლიტიკოსებიც, რომლებიც ამბობდნენ, რომ ნარკოტიკი კარგია. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამაზე არ ვოცნებობდით არც „ვარდების რევოლუციამდე“ და არც მის შემდეგ!

გულის სიღრმეში დღეს ყოველ ქართველს მაინც აქვს საგულდაგულოდ შენახული იმედის ნაპერწკალი, რომ ამ ყველაფერს წერტილი დაესმება, მბჟუტავი ნაკვერჩხალი გაღვივდება, აი მერე კი აგიზგიზებულ კოცონს, არათუ ვინმე ჩააქრობს, ვერავინ მიუახლოვდება.

ისტორიას ახსოვს მსგავსი ფაქტები.

მთავარია, ღმერთმა არ გაგწიროს, თორემ კაცი ვერაფერს დაგაკლებსო, — ნათქვამია.

ამის დასტურად ისევ მიწიშვილს მივუბრუნდეთ:

„სტამბოლი... ბოსფორისა და ოქროს რქის ტალღებზე დგას იგი თითქმის ჩვიდმეტი საუკუნე. და ჩვიდმეტი საუკუნე მიმართულებას აძლევდა ყოველ ქარს, რომელიც ბრუნავდა აღმოსავლეთ ევროპაში და აზიის მხარეზე.

ახალი რომი...

კონსტანტინე დიდმა დაამკვიდრა ქრისტიანული მოძღვრება, აღმართა მდიდარი და ძლევამოსილი ჯვარი ამ ქალაქში, საიდანაც ის მბრძანებლობდა მსოფლიოზე.

აქ უკანასკნელად შეებრძოლა ელინიზმი და კლასიკური წარმართობა ახალ ქრისტიანულ მოძღვრებას და ივლიანე განდგომილმა აქ უკანასკნელად სცადა, აღედგინა დამსხვრეული კერპების ძლევამოსილება. აქ დაიღუპა იგი ძველ სარწმუნოებასთან ერთად, ბრწყინვალე და ბრძენი, რომლის არსება სავსე იყო წარმართ საუკუნეთა სინათლით.

მეორე რომი...

არა, ის უნდა შეჯიბრებოდა პირველობაში დიდ რომს, კონსტანტინოპოლი უნდა ყოფილიყო ადგილი, რომელიც დაჩრდილავდა დიდი რომის ხსენებასა და ბრწყინვალებას.

„და აღმოცენდა ქალაქი...“ ქალაქი, რომელიც დამკვიდრდა ძველი ცივილიზაციის ნანგრევებზე ახალგაზრდა ქრისტიანობის მღელვარე და თავგანწირული ენერგიით.

**კონსტანტინოპოლი გადაიქცა ცენტრად, სადაც თავი მოიყარა იმ დროს რჩეულთა და გონიერთა კრებულმა.**

**აქ შეიქმნა არქიტექტურა,** რომელმაც დასტოვა კვალი საუკუნეებში და რომელმაც დაჰფარა თავის გავლენით ხუროთმოძღვრება მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის.

**აქ წარმოიშვა მხატვრობა,** რომელიც დაკანონდა, როგორც სრულყოფილის მიახლოება და რომელიც ჩაექსოვა ხელოვნების აღორძინების ხანას დასავლეთ ევროპაში.

**ამ ქალაქს ახსოვს რელიგიური კამათი და კრებები,** სადაც თავმჯდომარეობდნენ მეფეები; დისპუტები და მსოფლიო ყრილობანი. აქ მთელი საქრისტიანო მსოფლიოდან წარმოდგენილი მღვდელთმსახურნი ჰქმნიდნენ წესებს ქრისტიანულ დოგმატიკისას და აქ გამოიჭედა ურყევი კანონები, რომლებიც დაედო საფუძვლად რელიგიურ აზროვნებას მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოში.



კამათი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე, 1901 წ. (შარჟი); დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“

**განსხვავებული აზრის მიუღებლობისა და მუდმივი ჯგუფური დაპირისპირების პირობებში ერი და საზოგადოება თვითლიკვიდაციისა და გამოლევისთვის, სულიერი და ფიზიკური გამოფიტვისთვის წირავს თავს**

**აქ წარმოთქმულა სიტყვები, რომლის მსგავსი არ ახსოვს ორატორულ ხელოვნებას.**

**აქ დაწერილა მოწოდებანი, რომელნიც ცეცხლის ენებად ელვარებდნენ ქვეყნიდან ქვეყნად და ალში ხვევდნენ წარმართობის უკანასკნელ ნაშთებს — სირიაში, საბერძნეთში, რომში, ხმელთაშუა ზღვასა და არქიპელაგზე...**

ბიზანტია იყო სტიმული, ბიზანტია იყო ორგანიზაცია და ჭკუა.

აქედან შემოაღო საქართველოში კარი დასავლეთმა; ამ გზით შემოიჭრა ჩვენში სხივი ფილოსოფიის, მეცნიერების; ეს იყო გზა ყველა მთაწმინდელისა და აქედან დაამხო ჯვარმა არმაზის კერპი. ბიზანტიიდან ჩაეთესლა ქართულ ბუნებას სკეპსისი და შეიძლება ის ცბიერებაც, რაიც ეგზომ აკვირვებს ადამიანს ქართველი კაცის ვაჟკაცურ და რაინდულ ბუნებაში.

ველურობა და დეკადანსი — ეს მოგვცა ბიზანტიამ.

ბიზანტიამ შუაზე გააპო ქართული ბუნება, მუსლიმური აღმოსავლეთისაგან უკვე დაზიანებული.

ქრისტიანულმა ბიზანტიამ შეაბრუნა საქართველოს გზები და ბედი დასავლეთისკენ. და როცა სულთან მაჰმად მეორემ აია-სოფიას დამძიმებული შენობიდან ჩამოხსნა ჯვარი, რათა ნამგალა მთვარე აღემართა მის გუმბათზე, — იმდენად ძლიერი იყო ლტოლვა ევროპისა და ქრისტიანული კულტურისაკენ, რომ საბა ორბელიანმა გვერდი აუარა განადგურებულ მართლმადიდებელ ბიზანტიას და ჩააღწია პარიზს, ნახა კათოლიკე ლუდოვიკო მეფე, რათა მისთვის ეთხოვა შველა აღმოსავლეთის ბარბაროსების წინააღმდეგ.

მაგრამ სულთნის ხელში ამართული ბასრი მთვარე ყოველთვის ბინდავდა საქართველოს ნათელ მზეს.

**ამ ადგილზე ბრაზითა და ვნებით სავსე სულთნები გრეხდნენ საქართველოს ბედს წამების ბაწრად და ნამგალა მთვარე სჭრიდა პონტოს ზღვას, რომ დაჰკიდებოდა ჩვენს ცას, როგორც ლახვარი და როგორც მოდრეკილი ხანჯალი დამასკური.**

აქ, იმ ადგილას, საცა მე გუშინ პირველად დავადგი მიწაზე ფეხი, მოჰყავდათ ქართველი მონები საქართველოს ზურმუხტოვანი ნაპირებიდან და ხელფეხშეკრული ქართველები ეყარნენ აქ მუშტრის მოლოდინში, როგორც პირუტყვები.

ამ ადგილას ულამაზესი ქართველი ქალები იხდიდნენ ლეჩაქს, რომ სამუდამოდ დაეფარათ მშვენიერი სახე სულთანის ჰარამხანების სამგლოვიარო ჩადრით.

აქ სულთან სელიმი ზრდიდა ქართველ ვაჟებს ოსმალეთის ერთგულ მხედრებად.

აქ ავიწყებდა მათ ისლამი სამშობლოს, ოჯახს, სისხლის ძახილს და „იავნანას“. და ამის მოგონებით მოგვცა ილიამ „იანიჩარი“.

...რამდენმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ და ჩვენ მაინც ვერ ავუხვიეთ გვერდი ამ გზაჯვარედინზე მდგომს „დამღუპველ ოსმალეთსა“...

რა ხდება დღეს აქ?

...დღეს ახალი სარკინოზები ბატონობენ სტამბოლში და სადღაც შორს, ანატოლიის ყრუ, მზით გადამხმარ პროვინციაში იბრძვის ამბოხებული ოსმალეთი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის... **იბრძვის ევროპის წინააღმდეგ, რომელიც სწამლავს და ხრწნის ჩამორჩენილ ერებს ფულით, თვალთმაქცობით და ცბიერებით, რომელიც ასე უხვად მოეპოვება დღევანდელ ევროპის სახელოვან კულტურას.**

ქემალი იბრძვის, იბრძვის ოსმალეთი და ევროპის სამხედრო ფლოტით სავსე ბოსფორი ახრჩობს ახალგაზრდა ოსმალეთს. ფოლადი ზარბაზნებისა ბრწყინავს სტამბოლის წინ და ადუნებს უკვე დაძაბუნებული ქალაქის გულისცემას.

მაგრამ გაიმარჯვებს ახალი ოსმალეთის ძალა და გაიმარჯვებს სამართლიანობა. გაიმარჯვებს ერი და მოვა დრო, როცა სარკინოზები დასცლიან ბოსფორს, როცა ფოლადის დრედნოუტების ჯოგი დაეშვება დარდანელის გზით ხმელთაშუა ზღვისაკენ და გენუელების კოშკზე, გალატას რომ ზევიდან დაჰყურებს, ჩამოეხევა ბრიტანეთის იმპერიის დროშა.

და საკვირველია!.. დღეს ამ ქალაქში ქართველები შემოხიზნულან...

თუ ესაა დაცინვა ბედისა, ჩვენს ქვეყანას რომ ყოველთვის ჰკორტნიდა. თუ ერთი ფურცელია ეს ჩვენი ისტორიის, ამ უცნაური წიგნისა, რომლის პირველი ფურცელი იმავე შინაარსისაა, როგორიც უკანასკნელი?!

უკანასკნელი ფურცელი ერის ისტორიისა?!

არა, უკანასკნელი ფურცელი დღევანდლამდე, ვინაიდან **დღეს საქართველოში ახალი წიგნი იწერება ისტორიის. შეიძლება აქ მართლა შეშინდეს ადამიანი, რადგან ამ წიგნს უჩვეულო ხელი წერს. რას დაწერს შიგ? როგორ დაწერს, ან დაწერს კი? თუ წერისათვის არ მოიცლის და დაეღვრება მას ახალი ისტორია იმგვარსავე სისხლად, როგორც ეს ხდებოდა ძველთაგან დღემდე.**

ვინ იცის!

ყოველ შემთხვევაში ფიქრი ახალის გამარჯვებაზე არაა გასაკვირი, როცა სტამბოლში ხარ და ფიქრობ; როცა ფეხი გიდგია იმ მიწაზე, სადაც ერთ დროს დაიწვა ძველი ისტორია, ბრწყინვალებით დაიწერა ახალი წიგნი ახალი გამარჯვებისა და ამაღლებისა და შემდეგ ყველაფერი ეს ჩაემხო ოსმალთა ბარბაროსულ ცეცხლში, რათა დღეს ახალი მოძრაობა აღმოცენებულიყო, ახალი ხალხი დამდგარიყო ფეხზე ახალი მისწრაფებით და ნებისყოფით.

მოდი და აქ, სტამბოლში, ნუ შეგაშინებს კაცს ფიქრი ისტორიის ცვალებადობისა.

თუმცა რად უნდა გვეშინოდეს ჩვენ? იქნება საქართველომაც შესძლოს ახალი ისტორიის დაწერა დაკოჟრებული ხელით. ახალი საქართველო შესძლებს ამას.

ჩვენ შევძლებთ და ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამას გვასწავლის მიწაც ბიზანტიის...“ *(ნიკოლო მიწიშვილი, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თავი მეექვსე).*

**სარკინოზების კალთას დღესაც უამრავი ქართველია შეფარებული, სიდუხჭირისა და გაჭირვებისთვის თავის დასაღწევად სამშობლოდან გაქცეული. მათ უმრავლესობას იმის იმედი აქვს, რომ იქნებ „საქართველომაც შესძლოს ახალი ისტორიის დაწერა დაკოჟრებული ხელით“ და ფეხზე დადგომა.**

**რატომაც არა!**

**სხვებმა ხომ შეძლეს...**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**«დღეს საქართველოში ახალი წიგნი იწერება ისტორიის. შეიძლება აქ მართლა შეშინდეს ადამიანი, რადგან ამ წიგნს უჩვეულო ხელი წერს. რას დაწერს შიგ? როგორ დაწერს ან დაწერს კი? თუ წერისათვის არ მოიცლის და დაეღვრება მას ახალი ისტორია იმგვარსავე სისხლად, როგორც ეს ხდებოდა ძველთაგან დღემდე. ვინ იცის!»**

პირადული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ერთდროულად სტაციონარში მკურნალობს **80-დან 110-მდე პაციენტი**, წლის განმავლობაში მხოლოდ გულზე კეთდება **600-700 ოპერაცია**, მათგან ბევრი უმძიმესი, ანუ კომბინირებული ოპერაციაა".

# ჩემი ავადმყოფობის ისტორია
# ანუ №966-ე პაციენტის ჩანაწერები

**„უბედურია, როგორც ღმერთი", — მარკ ტვენი თავის ამ ფრთიან ფრაზას ასე განმარტავს: უბედურია, რადგან ყოველ წუთსა და ყოველ საათს მის მიერ შექმნილი მილიარდობით არსების არნახულ ტანჯვა-წამებას ხედავს და ისიც იცის, რა უბედურებაც ელით. ეს გამონათქვამი, ალბათ, ექიმსაც მოერგება, რადგან მოკვდავთა შორის იგი ერთადერთია, რომელმაც იცის, როდის დასრულდება მისი პაციენტის სიცოცხლე. ასე მიაჩნიათ.**



ლეგენდარული გულიკო ჩაფიძე

ამგვარი ნეკროფილური განწყობილებით დამძიმებული მივდივარ საქვეყნოდ ცნობილ კარდიოლოგთან, ქალბატონ **გულიკო ჩაფიძესთან** შესახვედრად მისივე სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში.

10 წლის წინათ გაკეთებული შუნტირების ოპერაციის გარანტირებულ წლებს შარშან აგვისტოში გაუვიდა ვადა. დამრჩა რამ საამქვეყნო კიდევ? ამის გასაგებად მივდივარ.

რამდენჯერმე მიმიწვია.

ვერ მივედი, რადგან, ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშისა არ იყოს, ბევრი კი ვუარე, მაგრამ „რა ვქნის ციხის" — უხერხულობის ბასტიონის — კარი ვერ შევაღე:

**„რა ვქნისა ციხე ავაგე,**
**ჯავრი შავაბი კარადა,**
**საიქიოდან მოიდენ**
**ამ ციხის სანახავადა,**
**ბევრი უარეს ციხესა,**
**კარ ვერ გატეხეს ძალადა,**
**მერმე თქვეს:**
**დრო რომ მოალის**
**კარ გაიღების თავადა".**

საიქიოდან მოსვლას არავინ აპირებდა და მეც სხვა რა გზა მქონდა, მივედი.

რადგან ვიცოდი, რომ სწორედ აქ, ამ სამედიცინო ცენტრში (ერთ-ორგან კიდევ), ცდილობენ, დაიცვან საერობო ექიმის (Земский врач) საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ცხოვრების სამომხმარებლო პრინციპებზე გადასულ ჩვენს საზოგადოებაში პრაქტიკულად აღარ არსებობს.

გულიკო ჩაფიძემ და მისმა კოლეგებმა შეძლეს, შეენარჩუნებინათ ქართულ სულიერებას, ექიმის პრაქტიკულ მოღვაწეობას ესოდენ მორგებული პრინციპი: უანგარობა, თანადგომა, თანალმობა!

ჩემი მკურნალი ექიმი **ნონა მაისურაძე** მეტყვის:

— ეს ფენომენი ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს უკავშირდება, ამ ცენტრის დამაარსებელს. დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ **ავთანდილ ჯორბენაძეს** პაციენტისადმი ასეთი დამოკიდებულების შენარჩუნებაში. ისინი პირადად გვაძლევენ ამის მაგალითს. და, თუ თაობებს შორის ამ კუთხით არის მსგავსება, ეს მასწავლებლებისგან მოდის.

მარტო ეს რომ იყოს...

## პალატა №501

მიმიღეს დიდებულად.

პალატაში ერთმანეთის მიყოლებით შემოგოგმანდებიან მედდები და სანიტარი გოგონები — ლურჯი წიწილები, ცოტა მონაცრისფრო.

დილიდანვე. უთენია.

ეს — წნევის გაზომვაო.

ეს — შაქრის.

ეს — წამლის მიღებაო.

ეს — დასუფთავება-დალაგება პალატის, რომელშიც ისედაც სტერილური სისუფთავეა.

ყველაფერს ისე საგულდაგულოდ აკეთებენ, თითქოს მასტერკლასს ატარებენ. საჩვენებელს.

კარზე მორიდებული დაკაკუნებით მობრძანდებიან ექიმები: ხომ არ შეგაწუხებთ, ხელს ხომ არ შეგიშლით?

ექიმები **თეა ლობჟანიძე** (რევმატოლოგი) და **მედეა ამაშუკელი** (ენდოკრინოლოგი) გამოწვლილვით მსინჯავენ.

ინვალიდის ეტლით ჩავყავართ ექოსკოპიაზე ბატონ **ბესო ჯაშიაშვილთან.** უადგილო გამოხდომაზე: — ჩემი ფეხით ჩავალ, ჯერ კიდევ შემიძლია, — სანიტარი მიპასუხებს: — ჩვენთან ასეთი წესია და უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ! ვნებდები და უსიტყვოდ ვჯდები მორთმეულ სატრანსპორტო საშუალებაში.

ისე მექცევიან, თითქოს პაციენტი კი არ ვარ, არამედ წესისა და კანონის დამდგენი ვიპპერსონა.

მითხრეს, კორონოგრაფიაზე ჩაგიყვანთ ინტერვენციული დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ **ალექსანდრე ალადაშვილთან**, კარდიოლოგიის ლაბორატორიაშიო. ბატონი ალეკო, რომელიც ამ საქმის დამფუძნებელია საქართველოში, ჩვენი ქვეყნის კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტია.

ჩამიყვანენ.

მანამდე კი მიბმული ვარ წვრილი, ელასტიური მილით პლასტიკატის გამჭვირვალე ბოთლიდან ჩემს ძარღვებში სითხის გადმოდინების წვეთოვან სიზანტეს.

ჩათავდა.

ჩავედით (ცხადია, ინვალიდის ეტლით). სიხარულით ვესალმებით ერთმანეთს პაციენტი და ექიმი. ასეთი „ფამილარობით" გაოცებულები გვიყურებენ ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატიდან ჩამოსული მომავალი ექიმები — გოგონები ლურჯ უნიფორმებში, რომლებიც კედელთან ჩამწკრივებულან და ელოდებიან სასწავლო-საჩვენებელი ოპერაციის დაწყებას.

**«კარდიოქირურგიული ოპერაციის ღირებულება საქართველოში შეადგენს დაახლოებით 12-15 000 ლარს, მაშინ, როცა ევროპაში 35-45 000 ევროა, აშშ-ში — 90-100 000 დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საჭირო ინსტრუმენტი, მედიკამენტი და სამედიცინო მოვლის საგანი ევროპული წარმომავლობისაა»**



ავთანდილ ჯორბენაძე

თეთრ ზეწრებს ჰიჯაბივით ჩამომაფარებენ და ბატონი ალექსანდრე იწყებს ამ უაღრესად ფაქიზ და სათუთ სამედიცინო მანიპულაციას. თან დაწვრილებით უხსნის (ინგლისურად) ამერიკელ რეზიდენტებს, რას, რატომ და როგორ აკეთებს.

ვწევარ, როგორც ფაშა, და ვერაფერს ვგრძნობ. **ვფიქრობ: რა მაღალ დონეზე უნდა იდგეს ეს საქმე ჩვენთან, როგორი დიდოსტატების ხელში უნდა იყოს, რომ აშშ-დან თბილისში გზავნიან მომავალ ექიმებს პრაქტიკის გასავლელად: ისწავლეთ, გენაცვაო!**

**ვფიქრობ და თანდათან მეუფლება აღმატებულობის განცდა, გოგოლის „შეშლილის ჩანაწერების" გმირისა არ იყოს:**

„დღევანდელი დღე არის დღე უდიდესი ზეიმის. ესპანეთში არის მეფე. ეს მეფე ვარ მე. სწორედ დღეს შევიტყვე ამის შესახებ... . უწინ კი ყველაფერი თითქოს რაღაცნაირი ბურუსით იყო მოცული. და ეს ყველაფერი, ვფიქრობ, ხდებოდა იმის გამო, რომ ხალხს ჰგონია, თითქოს ადამიანის ტვინი თავშია. სულაც არა. იგი ქარს მოაქვს კასპიის ზღვის მხრიდან".

ასეთ ეიფორიაში ვიყავი, სანამ თვითმფრინავის ანგარივით წაგრძელებულ რეანიმაციაში არ შემაგორეს, სადაც ათობით ჩემნაირი იწვა.

მაშინღა მივხვდი, რომ მე გამონაკლისი კი არ ვიყავი, არამედ — ჩვეულებრივი პაციენტი, ერთ-ერთი იმ მრავალთაგანი, რომლებიც ამ კლინიკაში მკურნალობენ, და რაც დამიდასტურა შპს „გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ავთანდილ ჯორბენაძემ**, მაგრამ ინტერვიუზე უარი მითხრა: არა, თუ ძმა ხარ, გაზეთებთან და ტელევიზიებთან ურთიერთობას, დიდი ხანია, თავი დავანებეო.

## საუბარი „პრესის გარეშე"

ფარულად ჩავიწერე. რადგან საერობო ექიმობის ტრადიციის მცველთა თავმდაბლობას ანგარიში თუ გავუწიეთ, მათი კეთილი საქმეები ისტორიისთვის სამუდამოდ დაიკარგება.

არადა, ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა.

სხვა გამოსავალი არ მქონდა და უნდა მაპატიოს ბატონმა ავთომ რესპონდენტთან ურთიერთობის ეთიკის დარღვევის ასეთი ალისტრახოიზმი.

— ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა, რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენად არ უნდა აღიქმებოდეს. ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთებია, მაგრამ უფრო მეტის გაკეთებას ვაპირებთ, ჩვენი სამედიცინო დაწესებულება მართლაც სანიმუშო რომ გახდეს.

**— რას გულისხმობთ, ბატონო ავთო?**

— ფასიანი მედიცინის არსებულ პირობებში მკურნალობის სტანდარტები უნდა იყოს ძალიან მაღალი განურჩევლად ყველასთვის. პაციენტი რომ მოვა, ისეთი, რომელსაც შეძლებული პატრონი არ ჰყავს და ხელმოკლეა, იმანაც მაქსიმალური სამედიცინო დახმარება უნდა მიიღოს. ასეთია ჩვენი მთავარი პრინციპი.

ვცდილობთ დავნერგოთ უახლესი ტექნოლოგიები, ყველაფერი, რაც კვლევასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან არის დაკავშირებული.

ჩვენს კლინიკაში შემოსული ავადმყოფი, რომელიც გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, ორ საათში საოპერაციოში უნდა იყოს: ინტერვენციონისტებმა და ქირურგებმა ოპერატიულად უნდა დაადგინონ მისი საერთო მდგომარეობა, დასვან დიაგნოზი და მიიღონ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, როგორ უმკურნალონ პაციენტს.

**— ესე იგი, წინა პლანზე წამოიწია ოპერატიულობამ?**

— ყოველთვის ასე იყო, მაგრამ ახალმა ტექნოლოგიებმა მკურნალობის ზუსტად დადგენილი მიმართულებით ჩარევისა და მკურნალობის საშუალება მოგვცა.

**— წლების განმავლობაში საქართველოში ჯანმრთელობის დაცვას ედექით სათავეში, მინისტრი იყავით, შემდეგ — სახელმწიფო მინისტრი.**

— დაახლოებით ასე იყო *(ეღიმება)*.

**— და რაც იმხანად ქვეყნის მასშტაბით მოხდებოდა, ნებისმიერი ფაქტი, რომელიც თქვენ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მათ შორის, ნეგატიურიც, თქვენი საწუხარი იყო, თქვენი მოსავლელი და გამოსასწორებელი. ასეთ ფაქტებს დღეს რომ გაიგებთ, კვლავ გულთან მიგაქვთ?**

— კი, რა თქმა უნდა, რადგან ისეთი ჩვევაა, ერთხელ თუ გაგიჩნდება, მთელი ცხოვრება გაგყვება. მე გამონაკლისი არ ვარ — ჩვენი, ქართველი ექიმების დიდი უმრავლესობის საერთო თვისებაა. ჩემი აქაური კოლეგები დასავლეთში დასაქმებული ექიმებისგან გაცილებით მეტი ადამიანური სითბოთი გამოირჩევიან. უახლესი ტექნოლოგიები, კვლევის თანამედროვე მეთოდები ავადმყოფთან გრძელვადიანი ურთიერთობის გარეშე მკურნალობის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ვერანაირად გვერდს ვერ ავუვლით პაციენტისა და ექიმის ადამიანური ურთიერთობის ფაქტორს, ფსიქოლოგიურ ურთიერთობას, სიტყვით მკურნალობას. მარტო ავტომატიკით ფონს ვერ გახვალ. სულსაც სჭირდება გამხნევება და მკურნალობა დადებითი განწყობილების შექმნით. გულთან მიტანა, როგორც თქვენ თქვით, ჩვენი ამქრის თანდაყოლილი თვისებაა.



სარეანიმაციო

**დაზღვევის ფარგლებში სრულად უფინანსდებათ სამედიცინო მომსახურება განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფებს: უმწეოებს, ანუ სოციალურად დაუცველებს, ვეტერანებს, სტუდენტებს.**

ფოსტა

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ალექსანდრე ალადაშვილი

**— გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სტატისტიკა როგორი გვაქვს საქართველოში?**

— ძალიან იმატა. ერთ-ერთი პირველია არაინფექციურ დაავადებებს შორის, ძალიან გაახალგაზრდავდა, რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია.

**— რამდენი ავადმყოფი მოგმართავთ დღეში?**

— ამბულატორიულად — დაახლოებით 100-120; სტაციონარულად — 20-30. ერთდროულად სტაციონარში მკურნალობს 80-დან 110-მდე პაციენტი, წლის განმავლობაში მხოლოდ გულზე კეთდება 600-700 ოპერაცია, მათგან ბევრი უმძიმესი, ანუ კომბინირებული ოპერაციაა: რამდენიმე სისხლძარღვისა და დაზიანებული 2 ან მეტი სარქვლის გამოცვლა ერთდროულად ხდება. ეს უკვე უმაღლესი ხელოვნებაა, თუ შეიძლება, ასე ითქვას... ჩვენი ქირურგები მომუშავე გულზე აკეთებენ ოპერაციებს.

ჩვენმა საუკეთესო ქირურგმა — **ზვიად ბახუტაშვილმა** საქართველოში დანერგა ე.წ. ოზაკის ოპერაცია, რომლისთვისაც მის ავტორთან იყო მივლინებული იაპონიაში.

**— რით არის განსაკუთრებული ეს ოპერაცია?**

— ამ დროს კეთდება აორტის სარქვლის პლასტიკა საკუთარი პერიკარდიუმის ფურცლის გამოყენებით, ანუ ხდება სარქვლის აღდგენა საკუთარი ქსოვილით, რაც განაპირობებს იმას, რომ პაციენტს აღარ სჭირდება სპეციალური მედიკამენტების მიღება დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში....

ამ და ყველა სხვა სიახლის დანერგვის მიზანი, იცით, რას ნიშნავს?

**— არ ვიცი.**

— ეს ნიშნავს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

**— ანუ?**

— ანუ ნიშნავს, რომ პაციენტი ზედმეტ ტვირთად არ დააწვება ოჯახსა და ქვეყანას, ჩვეულებრივად გააგრძელებს თავის პროფესიულ საქმიანობას და საზოგადოებისთვის სრულფასოვან წევრად დარჩება.

და კიდევ: თუ აქამდე ჩვენი ქირურგები ოპერაციას უკეთებდნენ 65-70 წლის პაციენტებს, ახლა 80-85 წლის ადამიანების ოპერირება ჩვეულებრივი ამბავია.

**— პაციენტების გაზრდილ რაოდენობას აუდის კი ექიმების ის კონტიგენტი, რომელიც თქვენთან მუშაობს?**

— ესეც მნიშვნელოვანი მომენტია: თუ ექიმი დატვირთული არ იქნება და არ იმუშავებს იმ დიაპაზონში, რომელიც ხელეწიფება, კვალიფიკაცია ეკარგება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქირურგებს ეხება, ასევე ინტერვენციონისტებს. ხელებს „მეხსიერება“ უქვეითდება, გონებასაც, რა თქმა უნდა, ავტომატიზმი ქრება, რაც უარყოფითად აისახება ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხზე, რომელიც (ხარისხი) საქართველოში, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად მაღალ სტანდარტებს არ უპასუხებს.

**ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ განუზომლად გაზარდა კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა საქართველოს მოსახლეობისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება კერძო დაზღვევა, რაც ასევე მნიშვნელოვანია. დაზღვევის ფარგლებში სრულად უფინანსდებათ სამედიცინო მომსახურება განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფებს: უმწეოებს, ანუ სოციალურად დაუცველებს, ვეტერანებს, სტუდენტებს.**

ერთ თავისებურებას განსაკუთრებით გამოვყოფ: **კარდიოქირურგიული ოპერაციის ღირებულება საქართველოში შეადგენს დაახლოებით 12-15 000 ლარს, მაშინ, როცა ევროპაში 35-45 000 ევროა, აშშ-ში — 90-100 000 დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საჭირო ინსტრუმენტი, მედიკამენტი და სამედიცინო მოვლის საგანი ევროპული წარმომავლობისაა.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც განვახორციელებთ, ქველმოქმედებაა. ჩვენი გამოცდილი ექიმები ჩადიან საქართველოს რეგიონებში და მაღალკვალიფიციურ დახმარებას უწევენ ათასობით ადამიანს, რაც დიდი შეღავათია იმ ხალხისთვის, რომელსაც უჭირს დედაქალაქში ჩამოსვლა.

**— თაობათა ცვლა?**

— ეგეც არის. ბუნების კანონია. უმთავრესი ახალგაზრდების პროფესიული ზრდის უზრუნველყოფაა, მათთვის უწყვეტი პოსტდიპლომური განათლების სისტემის შექმნა, რასაც, მგონი, ვახერხებთ. აღვადგინეთ ძველი კავშირები, უცხოეთის პროფილურ კლინიკებთან, დავამყარეთ ახალი ურთიერთობები, რაც ჩვენი ახალგაზრდა კოლეგების პროფესიულ ზრდაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. თითქმის არავინ დაგვრჩა უცხოეთში სტაჟირებაგაუვლელი. მაგალითისთვის დაგისახელებთ ფრაიბურგის, ბად-კროცინგენის, ბერლინის, მიუნხენის, ბელგიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ცნობილ საუნივერსიტეტო კლინიკებს, ასევე — აშშ-ის ემორის უნივერსიტეტს.

ყოველდღიურად უამრავი ახალი ინფორმაციაა მედიცინაში, რომლის ათვისების გარეშე ექიმის პროფესიონალიზმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**— გაფართოებას თუ აპირებთ?**

— ვაპირებთ. უპირველესად, გვინდა, ქირურგია აღვჭურვოთ უახლესი სტანდარტების დონეზე; მეორე — დიაგნოსტიკის მძლავრი ცენტრი. პროექტი მზად არის, იმედია, თბილისის მერია დროულად მოიწონებს ჩვენს პროექტს, მაშინ წლის ბოლოს გახსნაზე მოგიწვევთ...

* * *

**ასეთად ესახება „აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ განვითარება-გაფართოების პერსპექტივა ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს.**

**— რადგან ხელი მოვკიდეთ, კიდეც გავაკეთებთ, — უთხრა მან „საქართველო და მსოფლიოს“ კორესპონდენტს.**

**იმედიანად.**

**„პესიმიზმი მხოლოდ სიტყვაა, რომელსაც სუსტნერვიანები სიბრძნეს უწოდებენ“.**

**ესეც მარკ ტვენია.**

**არმაზ სანებლიძე,**
წლევანდელი
№966-ე პაციენტი



მომავალი ექიმები აშშ-ის ტეხასის შტატიდან — გულიკო ჩაფიძის კლინიკის პრაქტიკანტები

# შეწყვიტეთ ჩვენი შვილებით ვაჭრობა!

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ირაკლი სესიაშვილს

**პატივცემულო თავმჯდომარევ!**

თქვენს წერილში (№10862/4-8, 07/11/2018), რომელიც გამომიგზავნეთ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძისთვის ჩემ მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად, ამჟღავნებთ სიტყვა „კონტრიბუციის“ უცოდინარობას ან აღიარებთ, რომ საქართველო სხვა ქვეყნის დამპყრობელი ქვეყანაა.

„КОНТРИБУЦИЯ: 1. во время войны — принудительные денежные и натуральные поборы с населения, производимые неприятелем на захваченных (! — ა.დ.) им территориях; 2. после войны-суммы выплачивачиваемые побежденным государством в пользу государства-победителя (! — ა.დ.)“.

*Словарь иностранных слов. изд. „Советская Энциклопедия“. Москва,1964.*



ეს ამონარიდი უცხო სიტყვათა რუსულენოვანი ლექსიკონიდან შეგნებულად წარმოვადგინე თარგმანის გარეშე, იმიტომ, რომ თარგმნისას რამე „იალღიში“ არ მომსვლოდა. ახლა გეკითხებით: **რის საფუძველზე მონაწილეობს საქართველო და რა სტატუსით ან რას უხდიან ამდენს, ან უხდიან კი რამეს, საერთოდ, ამ აბსურდში შეტენვისა და სხვისი შვილების სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიტანისთვის?** თუ საქართველო არის სხვა ქვეყნის დამპყრობელი (სირცხვილი და თავის მოჭრა XXI საუკუნეში!) და ამისთვის აქვს ვილაცებისგან მიწებებული „კონტრიბუტორის“ სამარცხვინო იარლიყი? მაგრამ უფასოდ რომ არავინ არავის არაფერს მისცემს, ესეც ხომ ნათელია? კიდევ ერთხელ მინდა, ვკითხო თქვენი მთავრობის წარმომადგენლებს — შვილები გყავთ? გყავთ და, ალბათ, ძალიან გიყვართ ისინი. აქედან გამომდინარე, მიპასუხეთ: **რა დაგიშავეს სხვისმა შვილებმა, რომლებსაც კონტრიბუციის ხათრითა და სიყვარულით სასაკლაოზე გზავნით?** ძალიან ძნელია შვილის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა შვილის დაკარგვის. ორჯერ გამოვცადე და ვიცი ამ სიმწარის გემო. იმ წერილში ვწერდი, როგორ გადაარჩინა კობრამ საბჭოთა ჯარისკაცი სიკვდილს. ეს ამბავი კიდევ ერთხელ ამოვიკითხე ინტერნეტში. ასე რომ, ნებისმიერი მთავრობისგან — ამჟამინდელისა და მომავლისგანაც, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ სხვისი შვილების სიცოცხლე, მოვითხოვთ, თანაც, კატეგორიულად: **თავი დაანებეთ სხვის შვილებს!** თუ ძალიან გინდათ კონტრიბუციაში მონაწილეობა, გაუშვით თქვენი შვილები!

არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქართულ პოეზიასთან, მაგრამ გირჩევთ, კიდევ ერთხელ გულდასმით გადახედოთ სულმნათი **გალაკტიონის** შედევრთა შორის ერთ-ერთს — **„მზეო თიბათვისა“**-ს. **„...ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“**, — როგორ ზუსტად მიესადაგება ეს სტრიქონები თქვენგან ქებული და უსაყვარლესი ნატოს მიერ ჩადენილ „საგმირო“ საქმეებს. ზუსტად ისე, როგორც დიდი გალაკტიონი ბრძანებს, სადაც ნატო შევიდა, უხვად დატოვა სისხლი, ცხედრები, ცრემლები, დანგრეული ქალაქები. გაიხსენეთ 1999 წლის აღდგომა და დაბომბილი ბელგრადი... და ამ ნატოს გინდათ, ჩაახუტოთ ეს უბედური საქართველო? რამე დაგიშავეთ ვინმემ? დაანებეთ თავი საქართველოს გათახსირება-განადგურებაზე ფიქრსა და მუშაობას, თორემ უფალი სამართლიანად დაგსჯით!

კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვითხოვთ და მოგიწოდებთ, პირველ რიგში, შვილდაღუპული მშობლები, ხოლო შემდგომ — საქართველოს ყველა მოქალაქე: **შეწყვიტეთ ჩვენი შვილებით ვაჭრობა!** სასწრაფოდ მიიღოს პარლამენტმა კანონი, რომელშიც შავით თეთრზე დაიწერება, რომ საქართველო აღარ მიიღებს მონაწილეობას იმ ოპერაციაში, რომლის მამოძრავებელი ძალაც იქნება კონტრიბუცია! გეყოთ, დაოკდით! გონს მოდით, სანამ დროა!

**ფონდ „სანთელის“
თავმჯდომარე,
ორი დაღუპული
მებრძოლის მამა
ანზორ დანელია**

# ავსტრიის პრეზიდენტი: ევროპელებმა დონალდ ტრამპის დაკრულზე არ უნდა იცეკვონ



ავსტრიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვან დერ ბელენმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, „აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დაკრულზე არ იცეკვონ“ იმ საკითხებში, რომლებშიც აშშ-სა და ევროპას შორის უთანხმოება არსებობს.

**„აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი ყოველგვარი მიზეზის გარეშე გამოვიდა ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმებიდან, რომლის მოლაპარაკებებში ვაშინგტონი წლების განმავლობაში მონაწილეობდა. შემდეგ ტრამპმა ევროპულ ფირმებს ირანთან ბიზნესის წარმოება აუკრძალა და მათ სერიოზული სანქციებით დაემუქრა. ჩემი აზრით, ეს უკვე მეტისმეტია. ევროპელებმა არ უნდა იცეკვონ ტრამპის დაკრულზე“**, — განაცხადა ავსტრიის პრეზიდენტმა.

ვან დერ ბელენმა ასევე აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებმა უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა გაატარონ სხვა საკითხებშიც, რომლებშიც ევროპასა და აშშ-ს შორის უთანხმოება არსებობს.

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთმა პოლიტიკოსებმა, როგორიც არის ვერმონტის შტატის სენატორი დემოკრატიული პარტიიდან — ბერნი სანდერსი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, და კონგრესმენმა ნიუ-იორკიდან — ალექსანდრია ოკასიო-კორტესმა, თავიანთ თავს დემოკრატი სოციალისტები უწოდეს. მათ საჯაროდ დაიწყეს სოციალიზმისადმი სიმპათიის გამოხატვა.**



ალექსანდრია ოკასიო-ორტესი

# «აკრძალული ხილი»

## ამერიკელ ახალგაზრდებში სოციალისტური იდეებისადმი მხარდაჭერა განუხრელად მატულობს

**ახალგაზრდა ამერიკელების თითქმის ნახევარს სოციალისტურ ქვეყანაში ცხოვრება სურს. ამაზე მიუთითებს კომპანია Harris Poll-ის სპეციალისტების მიერ აშშ-ის მოქალაქეებს შორის ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგები.**

კვლევაში მონაწილეობდნენ 1985 წლის შემდეგ დაბადებული მოქალაქეები. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში ამერიკელ ახალგაზრდებს შორის მოიმატა ინტერესმა მემარცხენე იდეების მიმართ. მაგალითად, რესპონდენტთა 49,6%-მა დადებითად უპასუხა შეკითხვას — „ისურვებდით თუ არა სოციალისტურ სახელმწიფოში ცხოვრებას?“. გამოკითხვა ჩატარდა 1985 წელს (ე.წ. მილენიალები) და 1995 წელს („თაობა Z“) დაბადებულ ახალგაზრდებს შორის.

გამოკითხული ამერიკელების 73,2%-ს მიაჩნია, რომ მთავრობამ მოქალაქეებს უნდა გაუწიოს უფასო სამედიცინო მომსახურება, 67% კი მხარს უჭერს უფასო უმაღლესი განათლების იდეას.

**შესადარებლად:** 2017 წელს ჩატარებულმა ანალოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რაოდენობა იმ ახალგაზრდებისა, რომლებსაც სოციალისტურ ეპოქაში სურდათ ცხოვრება, გაცილებით ნაკლები იყო (44%).

### ახალი დემოკრატები

პოლიტიკოსებს სწრაფი რეაქცია ჰქონდათ სოციალიზმით გატაცებული ამერიკელების რაოდენობის მომატებაზე. ისეთმა პოლიტიკოსებმა, როგორიც არის ვერმონტის შტატის სენატორი დემოკრატიული პარტიიდან — **ბერნი სანდერსი**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, და კონგრესმენმა ნიუ-იორკიდან — **ალექსანდრია ოკასიო-კორტესმა,** თავიანთ თავს დემოკრატი სოციალისტები უწოდეს. მათ საჯაროდ დაიწყეს სოციალიზმისადმი სიმპათიის გამოხატვა.






ბერნი სანდერსი


ანდრეი დანკო

# «არც ერთი კვადრატული მეტრი სხვა ქვეყნის მმართველობაში»

## სლოვაკეთმა აშშ-ს უარი განუცხადა აეროპორტების მოდერნიზებისთვის 105 მლნ დოლარის ინვესტირებაზე

სლოვაკეთის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, უარი თქვას 105 მლნ ევროს ოდენობის აშშ-ის ინვესტიციებზე, რომლებიც ორი სამხედრო აეროპორტის მოდერნიზაციას უნდა მოხმარებოდა. ვაშინგტონი ამ თანხის გამოყოფას სთავაზობდა 2014 წელს შემუშავებული შეკავების ევროპული ინიციატივის პროგრამის ჩარჩოებში, და იმის გათვალისწინებით, რომ ბრატისლავას განზრახული ჰქონდა 14 ამერიკული გამანადგურებელი F-16-ის შეძენა.

თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ მსგავსი ინვესტიციები ეწინააღმდეგება სლოვაკეთის სუვერენიტეტს და არ შეესაბამება სლოვაკეთის შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს. პარლამენტის თავმჯდომარე **ანდრეი დანკომ** (სლოვაკეთის ნაციონალური პარტია) კი განაცხადა: **„სლოვაკეთს ჰყოფნის თავისი სახსრები ასეთი პროექტების დასაფინანსებლად“.**

დანკომ აღნიშნა, რომ ამერიკელები ფულს ტყუილუბრალოდ არავის აჩუქებენ და სამომავლოდ მოითხოვენ მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას, ამერიკული ჯარის შემოყვანასაც კი. **„არც ერთი კვადრატული მეტრის გადაცემა არ შეიძლება სხვა ქვეყნის მმართველობაში. თუ აქ გამოჩნდება თუნდაც ერთი უცხოელი ჯარისკაცი, სლოვაკეთის ნაციონალური პარტია დატოვებს მთავრობას“,** — განაცხადა პოლიტიკოსმა.

შეკავების ევროპული ინიციატივა — ეს არის ვაშინგტონის გეგმა ევროპაში აშშ-ის ყოფნის გასაძლიერებლად უკრაინის წინააღმდეგ „რუსეთის აგრესიის“ შეკავების საბაბით. პროგრამა ამოქმედდა 2014 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის მიერთების შემდეგ.

ეს პროექტი, აგრეთვე, მიმართულია ჩინეთის წინააღმდეგ. აღნიშნული პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტში მითითებულია ჩინეთსა და რუსეთთან ხანგრძლივი სტრატეგიული კონკურენციის გარდაუვალობის შესახებ.

2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი 3,4 მლრდ დოლარი იყო; 2018 წელს — 4,6 მლრდ.; 2019 წელს კი — 6,3 მლრდ-ია. გეგმით გათვალისწინებულია 250 მლნ დოლარის გამოყოფა კიევისთვის, რათა „დაეხმარონ უკრაინას, დაიცვას თავისი ტერიტორიული სუვერენიტეტი“.

# არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მატების ეფექტიანი პროფილაქტიკური ზომები

## პატრუშევმა მოზარდების ცნობიერებაზე მანიპულაციის საწინააღმდეგო ზომები დააანონსა


ნიკოლაი პატრუშევი

**სამართალდამცველმა ორგანოებმა გააააქტიურეს ბრძოლა სოციალური ქსელების მეშვეობით მოზარდების ცნობიერების მანიპულაციის წინააღმდეგ, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა იჟევსკში გამსვლელი თათბირის მიმდინარეობისას.**

„რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ზომების შემუშავების მიზნით გაააქტიურა მოღვაწეობა სამუშაო ჯგუფებისა სოციალური ქსელების მეშვეობით არასრულწლოვანთა ცნობიერების მანიპულაციასთან დაკავშირებული დანაშაულის თავიდან არიდების, აღკვეთისა და გახსნის მხრივ“, — განაცხადა პატრუშევმა და დასძინა, რომ ამ სამუშაოების ჩარჩოებში პოლიციამ გადაწყვიტა, არასრულწლოვანები, რომლებიც მიდრეკილნი არიან სამართალდარღვევის ჩადენისკენ, 2019 წელს სამხედრო-პატრიოტული მიმართულების ბანაკებში გაგზავნოს.

პატრუშევმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ **რუსეთში აკრძალული ინფორმაციის გავრცელებასთან ბრძოლის ჩარჩოებში კავშირგაბმულობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მასობრივი კომუნიკაციების სფეროში ფედერალური ზედამხედველობის სამსახურმა თავის ვებგვერდზე გადმოსაწერად განათავსა ინტერნეტტრაფიკის ფილტრაციის პროგრამა და მოამზადა მეთოდური რეკომენდაციები ქსელში აკრძალული კონტენტის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირებისთვის.** რუსეთის ყველა სკოლაში ხელისუფლებამ დააყენა კონტენტ-ფილტრები, რომლებსაც შეუძლია დაბლოკოს იმ ვებგვერდებზე შეღწევის მცდელობა, რომლებიც შეუთავსებელია განათლების მიზნებსა და ამოცანებთან.

„ჩატარებულმა პროფილაქტიკურმა სამუშაომ საშუალება მოგვცა, თითქმის 18%-ით შეგვემცირებინა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ჯგუფური დანაშაულის რაოდენობა, 20%-ით — რაოდენობა დანაშაულებისა, რომლებიც მათ ჩაიდინეს ჯგუფში სრულწლოვნებთან ერთად“, — განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა.

ეს არ არის ერთადერთი ზომა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მატების საწინააღმდეგოდ. 2018 წლის შემოდგომაზე რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ წამოაყენა წინადადება იმ პირების სისხლის სამართლის კოდექსით დასჯის შესახებ, რომლებიც არასრულწლოვანს დაიყოლიებენ, ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედება. დეკემბერში კი სახელმწიფო სათათბირომ მესამე მოსმენით საბოლოოდ მიიღო კანონი ე.წ. კოლუმბაინ-თანამეგობრობის ბლოკირების შესახებ. ეს ე.წ. თანამეგობრობა ცდილობს, დაიყოლიოს მოზარდები, ჩაიდინონ ძალადობა.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**



**სან მარინოს გრან-პრის რბოლისას ჯერ ორი მრბოლის ავტომობილები შეეჯახა ერთმანეთს (ავტომობილების ნამსხვრევებმა 3 მაყურებელი დააზიანა), შემდეგ საათში 310 კმ სიჩქარით მიმავალი სენას ავტომობილი მოსახვევში ტრასიდან გადავიდა და კედელს შეასკდა. ავარიის ადგილას მისულმა ექიმებმა საშინელი სურათი ნახეს — სენას თავი ჰქონდა დაზიანებული და სისხლში ცურავდა.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ფორმულა 1»-ის «წვიმის კაცი»

**„ფორმულა-1"-ის სახელგანთქმულმა პილოტმა აირტონ სენამ 10 წლის განმავლობაში 60-ზე მეტი რბოლა მოიგო და დაამყარა რეკორდი პოულ-პოზიციების (ავტომობილის ხელსაყრელი მდგომარეობა, რომელსაც მრბოლი იკავებს კვალიფიკაციიდან გამომდინარე) რაოდენობის მიხედვით, რის გამოც ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა მას „ჯადოქარი" შეარქვეს. ცნობილია აირტონ სენას კიდევ ერთი მეტსახელი — „წვიმის კაცი", რომლითაც ის დააჯილდოვეს იმისთვის, რომ წვიმაში რბოლისას, როცა ხდება მძლავრი, აეროდინამიკური ბოლიდების უპირატესობის ნიველირება და ტრასაზე სიჩქარეები მნიშვნელოვნად მცირდება, სენა პირიქით იქცეოდა — სიჩქარეს უმატებდა, მაქსიმალურად ავლენდა თავის შესაძლებლობებს და ხშირად იმარჯვებდა.**



1994 წლის 1 მაისს სან-მარინოს გრან-პრის რბოლაში მისი ტრაგიკული სიკვდილი რომ არა, „სამეფო რბოლები" ბევრისთვის ასოცირებული იქნებოდა არა „წითელ ბარონ" **მიხაელ შუმახერთან**, არამედ **აირტონ სენასთან.** ლეგენდარული ბრაზილიელი პილოტი 34 წლის იყო, როცა ტრაგიკულად წავიდა ამ ქვეყნიდან. ავტომობილის მოყვარულები პატივს მიაგებენ ხსოვნას ამ ადამიანისა, რომელმაც სახელი გაითქვა როგორც არა მხოლოდ სპორტსმენმა, არამედ, როგორც ფილანტროპმა.

## ბავშვობა და სიჭაბუკე

მომავალი ავტომრბოლი 1960 წლის 21 მარტს ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ სან-პაულუში დაიბადა. ბიჭს გაუმართლა, რომ უზრუნველყოფილ ოჯახში გაიზარდა. მამამისი — **მილტონ და სილვა** ცნობილი ბიზნესმენი გახლდათ და მატერიალურად უჭერდა მხარს ვაჟიშვილის სურვილებს. აირტონი ბავშვობაში ძალიან მოუხეშავი იყო — ძლივს დადიოდა და ხშირად ეცემოდა.

ცნობილია, რომ მილტონ და სილვას ძალიან უყვარდა ავტორბოლები და სპორტის ამ სახეობის გასავითარებლად ფულს ხშირად სწირავდა. როდესაც აირტონს 4 წელი შეუსრულდა, მამამ მას სპორტული ავტომობილი აჩუქა. ავტომობილით მოხიბლული პატარა ბიჭი საჭეს მიუჯდა და... ცხოვრება ავტომობილებს მიუძღვნა. ბიჭს მხარს უჭერდა მამა, ოღონდ ცდილობდა, რომ აირტონს ოჯახური ბიზნესისთვისაც მოეკიდა ხელი.

როდესაც აირტონს 13 წელი შეუსრულდა, მამამ, რომელიც ხედავდა შვილის სურვილსა და პოტენციალს, ავტორბოლებში ოსტატობის ასამაღლებლად პირადი მწვრთნელი დაუქირავა — **ლუსიო გასკონი.**

ლუსიოს თქმით, აირტონ სენა იყო მიზანდასახული ადამიანი, რომელიც დამარცხებას არასოდეს ეგუებოდა. 13 წლის აირტონს დებიუტი ჰქონდა რბოლებში, 17 წლისამ კი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა მოიპოვა კარტინგში (მარტივი სარბოლო ავტომობილების შეჯიბრება).

## რბოლები

1981 წელს აირტონი ინგლისში გადაბარგდა. პრესა აქებდა ბრაზილიელ ავტომრბოლს, ამიტომ მისთვის ნებისმიერი ტრასა ღია იყო. აირტონმა არჩევანი შეაჩერა „ფორმულის" ერთ-ერთ კარგ გუნდზე — Van Diemen-ზე. მოგვიანებით მას კონტაქტი გაუფორმეს „ფორმულა — 1600"-ში მონაწილეობაზე ბრიტანეთში. აირტონმა დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა და ახალ გზებსა და მანქანებთან შეგუება.

1981 წელს „ჯადოქარი" მონაწილეობდა კენტის საგრაფოში გამართულ რბოლაში, მაგრამ მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. მოგვიანებით კი ანალოგიურ რბოლაში



პირველი ადგილი დაიკავა. მრბოლი იგონებდა, რომ გამარჯვებაში წვიმა დაეხმარა. ამ გამარჯვებამდე რამდენიმე წლით ადრე წვიმამ ხელი შეუშალა საპრიზო ადგილის დაკავებაში. მიზანდასახულმა ახალგაზრდამ უყურადღებოდ არ დატოვა ეს ფაქტი და ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ისწავლა, როგორ ემართა ავტომობილი წვიმიან ამინდში სველ ტრასაზე. სწორედ ამიტომ შეარქვეს მას „წვიმის კაცი".

1982 წლიდან აირტონი რბოლებში მონაწილეობდა დედის ქალიშვილობის გვარით — სენა. ეს აიხსნება იმით, რომ მამის გვარი ბრაზილიაში ძალიან პოპულარული იყო, ყმაწვილს კი არ სურდა, ოჯახისთვის ზედმეტი პრობლემები შეექმნა.

## „ფორმულა-1"

აირტონის კარიერა „ფორმულა-1"-ში 1984 წელს დაიწყო ნაკლებად ცნობილ გუნდ „ტოულმენში". ახალგაზრდა პილოტმა თავის გუნდს პირველი ქულები 1984 წლის 7 აპრილს მოუტანა სამხრეთ აფრიკის გრან-პრის შეჯიბრებაში. „ტოულმენის" შემდეგ სენამ ძალები მოსინჯა უფრო ძლიერ გუნდებში: 1987 წლამდე ის „ლოტუსის" ღირსებას იცავდა, შემდეგ — „მაკლარენისა" და „უილიამსის".

## პირადი ცხოვრება

1981 წლის ზამთარში სენა დაქორწინდა მეგობარ ქალ **ლილიან და ვაშკონსელუშ სოუზაზე**, მაგრამ მალე გაეყარა. როგორც მრბოლმა განუცხადა ჟურნალისტებს, მათი ქორწინება დიდი შეცდომა იყო. განქორწინების შემდეგ აირტონს რამდენიმე ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, ერთ-ერთი, ჟურნალ „ფლეიბოის" ვარსკვლავი **მარსელა პრადა,** 1993 წელს ამტკიცებდა, რომ სენასგან გოგონა ეყოლა, თუმცა თვითონ სენა ამბობდა, რომ შვილი არ ჰყავდა.

აირტონის თაყვანისმცემლები იხსენებენ, რომ ის რბილი ხასიათის მომხიბვლელი ადამიანი იყო. სენა აქტიურად ებრძოდა სიღარიბესა და შიმშილს სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთაც. „ფორმულა-1"-ის მრბოლი საჯაროდ არაფერს ამბობდა გაკეთებულ კეთილ საქმეებზე, სენას საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეიქნა ცნობილი.

1994 წელს სენა გადავიდა იმხანად საუკეთესო გუნდ „უილიამსში", რომლისთვისაც, მისი თქმით, უფასოდაც იასპარეზებდა. სახიფათო მოვლენების გამო, რომლებიც რბოლის მომენტში ხდებოდა, სენა თითქოს დარწმუნებული იყო, რომ რაღაც ცუდი ელოდებოდა.

თავდაპირველად ავარიაში მოყვა **რუბენს ბარიკელო,** რომელსაც ცხვირი და ნეკნები დაემტვრა. მეორე დღეს რბოლის დროს დაიღუპა ავსტრიელი პილოტი **როლანდ რატცენბერგერი.** შეშფოთებული სენა ბარიკელოს დაელაპარაკა (ამისთვის საავადმყოფოს ღობეზე გადაძრომა დასჭირდა). საუბრის შემდეგ აირტონი მიხვდა, რომ „ფორმულა-1"-ის უსაფრთხოების სისტემას პრობლემები ჰქონდა. სენამ შეკრიბა პილოტები და მათთან ერთად დასვა საკითხი უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების შესახებ.

სან მარინოს გრან-პრის რბოლისას ჯერ ორი მრბოლის ავტომობილები შეეჯახა ერთმანეთს (ავტომობილების ნამსხვრევებმა 3 მაყურებელი დააზიანა) შემდეგ საათში 310 კმ სიჩქარით მიმავალი სენას ავტომობილი მოსახვევში ტრასიდან გადავიდა და კედელს შეასკდა. ავარიის ადგილას მისულმა ექიმებმა საშინელი სურათი ნახეს — სენას თავი ჰქონდა დაზიანებული და სისხლში ცურავდა. მას აღმოუჩინეს პირველი დახმარება და გაუკეთეს ტრაქეოტომია, შემდეგ კი ვერტმფრენით გადაიყვანეს უახლოეს ჰოსპიტალში, სადაც შეაერთეს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი შეიქნა, რომ მრბოლი კომიდან ვერ გამოვიდოდა და აპარატი გათიშეს.

აირტონ სენას, „ფორმულა-1"-ის რბოლებში გამარჯვებულ (1988, 1990, 1991) პილოტს, არ ივიწყებენ ავტომობილების ერთგული თაყვანისმცემლები, აგრეთვე, მისი მშობლიური ბრაზილიის მცხოვრებნი. მისი ხსოვნის პატივსაცემად იმართება შეჯიბრებები, სპორტსმენის საფლავის მოსანახულებლად კი უამრავი ადამიანი მიდის.

**ცნობისთვის:**

*** სენას სამშობლოში ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველაზე დიად ბრაზილიელად აირტონ სენა დასახელდა.**

*** აირტონ სენა იყო დამფუძნებელი საქველმოქმედო ფონდისა, რომელიც ეხმარებოდა ღარიბ ახალგაზრდა ბრაზილიელებსა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. ამ ფონდს სენამ დაუტოვა თავისი ქონება, რომელიც მისი სიკვდილის მომენტში 400 მლნ დოლარს შეადგენდა.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



აირტონ სენას ქანდაკება






# პენტაგონი იჩემებს უფლებას, პირველმა მიაყენოს ბირთვული დარტყმა

**ვაშინგტონმა უარი არ უნდა თქვას პრევენციული ატომური დარტყმის პოლიტიკაზე, — განაცხადა აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა ჯოზეფ დანფორდმა ამერიკის სენატში.**

**დანფორდის** აზრით, ვაშინგტონის ამჟამინდელი პოლიტიკა, რომლის თანახმად ნებადართულია ბირთვული დარტყმის დასწრება, აშშ-ის მოწინააღმდეგეებს შეტევის გადაწყვეტილების მიღების პროცესს ურთულებს.

დანფორდი ამ საკითხში ცვლილების შეტანის წინააღმდეგია, რადგან ცვლილების შემთხვევაში, მისი აზრით, ვაშინგტონის კონკურენტებს გაუმარტივდებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

იანვრის ბოლოს აშშ-ის კონგრესში განსახილველად შეიტანეს ორი კანონპროექტი პრეზიდენტისთვის ატომური დარტყმის უფლების შეზღუდვის თაობაზე.

ასეთი კანონპროექტი ადრეც არაერთხელ შეუტანიათ კონგრესში, მაგრამ წარუმატებლად. ინიციატივამ მხარდაჭერა მოიპოვა ხელისუფლების სათავეში **დონალდ ტრამპის** მოსვლის შემდეგ.

პრეზიდენტი **ბარაკ ობამა,** მასმედიაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით, ფიქრობდა პრევენციული ბირთვული დარტყმების პოლიტიკაში ცვლილებების შეტანაზე, მაგრამ ხელი აიღო განზრახვაზე.




თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22




# «აშშ ირანს ვერ დააჩოქებს!»



**ირანული საინფორმაციო სააგენტო ISNA -ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი წინადადებით გამოვიდა, ამერიკის სასანქციო პოლიტიკის გამო სარჩელი შეიტანოს საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებში.**

„აშშ-მა მკაცრი სანქციები დაგვიწესა. აღნიშნულმა გავლენა მოახდინა ეროვნულ ვალუტაზე, გაიზარდა ინფლაცია, თუმცა ჩვენ ამ გამოწვევას გავუმკლავდით. აშშ არასწორ გზას ადგას და ჩვენ ამას უნდა ვებრძოლოთ. აშშ ირანს ვერ დააჩოქებს“, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ „ირანმა სარჩელი უნდა შეიტანოს აშშ-ს წინააღმდეგ“.

# ლუკაშენკომ შეიძლება პრეზიდენტის პოსტი დატოვოს, ნაზარბაევი კი უკვე გადადგა

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ბელარუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო პრეზიდენტის პოსტის დატოვებას გეგმავს.**



როდის გავრცელდება დაწვრილებითი ინფორმაცია? ალბათ, აპრილში. მან უკვე განაცხადა, რომ აპრილში მოსახლეობისა და ნაციონალური საკრებულოსთვის მიმართვისას ილაპარაკებს ქვეყნის ახალ სტრატეგიულ ორიენტირებზე.

არ არის გამორიცხული, რომ სიურპრიზი პრეზიდენტის პოსტის დატოვების თაობაზე ლუკაშენკომ ამ ღონისძიებისთვის შემოინახა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თებერვალში მედიასთან გამართულ ფართო შეხვედრაზე ლუკაშენკომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა გამოთქვა, მაგრამ არ გამორიცხა, „რომ შეიძლება ვითარება შეიცვალოს და გადაიფიქროს“.

**P.S. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა 19 მარტს ქვეყნის მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიართვაში განაცხადა, რომ ტოვებს პრეზიდენტის პოსტს.**

# უკრაინიდან უკვე 10 მლნ ადამიანი გაიქცა

**10 მილიონზე მეტმა შრომისუნარიანმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და ახლა სხვა სახელმწიფოს ეკონომიკას ავითარებს, — განაცხადა ტელეარხ News One-ს ეთერში უზენაესი რადას დეპუტატმა ნესტორ შუფრიჩმა.**

„არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს, ადამიანების რა რაოდენობა იმყოფება კონკრეტულ დროს კონკრეტულ ტერიტორიაზე. ეს არის ე.წ. პურის მოხმარების ლიმიტის მეთოდოლოგია. გამოთვლილია, რომ დღეს უკრაინაში მუდმივად იმყოფება 28-29 მილიონი კაცი“, — თქვა **შუფრიჩმა.**

უფრო ადრე უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ საზღვარგარეთ მუშაობს 3,2 მლნ უკრაინელი. სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2018 წელს უკრაინელებმა საზღვარგარეთიდან გადმორიცხეს 9 მლრდ დოლარზე მეტი.




უკრაინის მოსახლეობის ბოლო აღწერა 2001 წელს ჩატარდა, იმხანად უკრაინელთა რაოდენობა 48,5 მლნ კაცი იყო.

სტატისტიკოსების გათვლებით, 2019 წლის 1 იანვრისთვის უკრაინელთა რაოდენობა 42,1 მლნ-ს შეადგენდა.


## ს ი ა ხ ლ ე !

## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- პროსტატი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- ნევროზი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

## სიმაღლეში მომატება!



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04

0790 30 94 35

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894